


საქართველოს
საზოგადოებრივი
ტელევიზია



ISSN 0130-1624

0563060


№ 1 1989

საქართველო

THE
RUSTAVELI THEATRE COMPANY
featuring
RAMAZ TCHKHIKVADZE

'This magnificent company...'
'Move fast to see one of
the world's greatest
acting troupes.'
— The Times

November
24 – 26
1988



THE RUSTAVELI THEATRE COMPANY
Leicester City Council



ახალი წლის სიხარული



სიმღერა სვანეთზე



ქალთა ძიუდო. სტუდენტთა X მსოფლიო ჩემპიონატი თბილისში.



დროშა


№ 1 (625), იანვარი, 1989

ჟურნალი გამოდის 1928 წლიდან
ყოველთვიური საზოგადოებრივ-
პოლიტიკური და სალიტერატურო-
სამხატვრო ჟურნალი

60

2-3

ოთარ ჭინჭლაძე
გამულო საქვარელო!



4-5

ალეკო მითაიშვილი
ფუძე ძლიერი

12

დავით რამიშვილი
სამრეკლოები

საქართველოს კვ ტა-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1989 წ.

მთავარი რედაქტორი

ოთარ ჭინჭლაძე

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ვახტაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ
ბერიშვილი, ვასილ გვეტაძე, ნათელა გიორ-
გოგინი, ოთარ დემეტრაშვილი, სერგო ღურ-
შიშიძე, ვახტანგ ახვანიანი, ჯემალ მახრი-
შვილი, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი),
ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღაძე, ნუზარ
ფოფხაძე, გიორგი ჩარკვიანი.

6-7

ვასილ გვეტაძე
არჩევანი



13

ეთერ ლონდარიძე
დიდი თეატრის სცენაზე



14-15-16

ირაკლი გოცირიძე
ჯიხვები მწვერვალზე კვდებიან

8-9


ვალერიან ჩიკურიშვილი
საზრუნავი კიდევ ბევრია

17-18-19

ვანო რამა

10

გენო უარეიძე
„ჩარხმუნებელი“ და ეკონომიკური
რეფორმა



20

გივი ჩიქვიშვილი
„ტიტულოვანია“

23

ნუნუ კუპრაიშვილი
„მუსიკალური მამნები
საქართველოდან“

11


მისეილ ზოფინაძე
ორი მოთხრობა

21-22

ირინე ტალიაშვილი
დედათა მონასტერი

24

კოსტოვოვი



საქართველოს
პროლეტარული
ბიბლიოთეკა

მეუღლე საყვარელო

შარშან ამ დროს ვინც დაიბადა, უკვე ერთი წლის გახდა. მათ მშობლებს უხარიათ: მალე კბილები ამოუვით და ცოტა ხანში ფეხსაც აიდგამენო. ღმერთმა ქნას, რომ უკლებლივ ყველა ახალშობილმა ქართველმა ფეხიც აიდგას და ცხოვრების დიდ გზაზეც ბედნიერად იმგზავროს. თითო წელი შეგვემატა ყველას. ახალგაზრდებს ეს უხარიათ, ხოლო ხნიერებს სხვა საფიქრალიც გაუჩნდათ. წელი წელს მისდევს და არც ცხოვრების გზა უღევი. ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიასაც კიდევ ერთი წელი შეემატა, მაგრამ ერი და სამშობლო უკვდავნი არიან. 1989 წელი.

ილია:

— აი მიწყდა ერთი წელიწადი კიდევ აწყყოსა და მიერთო იმ ვეშას, რომელსაც წარსულს ეძახიან და რომელსაც ამოდენა დრო და ჯამი გადაუყლაპავს და მოუნელეობა. წავიდა ძველი წელიწადი და მოვიდა ახალი. რომელი ერთი მოგილოცოთ, მკითხვლებს ვსთქვამთ, რომ ეს უკანასკნელი ოთხი-ხუთი წელიწადი როგორღაც, ცოტად თუ ბევრად, სანუგეშონი იყვნენ. ნამეტნავად ეს ძველი წელი ღირსშესანიშნავი წელიწადი იყო ჩვენთვის და ქართველმა მემკვიდრეებმა რომ ამ წელიწადს მხარი აუქციოს, არ უნდა ეპატივოს. ამ წელიწადმა ცხადის მაგალითებით დაგვიმტკიცა, რომ ქართველობამ, აქამდის ერთმანეთზედ დაშორებულმა, აქამდის ცალ-ცალკედ მოარულმა, იგრძნო, რომ ეგრეთ ყოფნა მწვადსაც სწვავს და შამფურსაც, თვითუფს კაცსაც ავნიებს და მთელს საზოგადოებასაც; იგრძნო ეს ტკივილი და მალამოც უბოვა. იგრძნო, რომ ღონე ერთობაშია, ერთად თავ-მოყრაში, ერთად საერთო უღლის წევაში, ერთმანეთის მხარის მიცემაში. იგრძნო და გაშალა ხელი კიდევ, რომ დაქსაქსული, გაფანტული, ცალ-ცალკედ მოარული ღონე-ქონებითი თუ გონებითი — ერთს კვალში ჩაეყენებინა საერთო და საყოველთაო მოქმედებისათვის.

ეს სტრიქონები ამ ას ათი წლის წინ — 1879 წელს დაიწერა.

და ამისდა მიუხედავად, მაინც აღძრავს ბევრ სადღეისო საფიქრალს, მაინც გვეხმარება ილიასეული სიბრძნე მოვიშველიოთ ამჟამინდელ მოვლენათა შეფასებაში და ის ტენდენციებიც ფხიზელი თვალით განვკვირვოთ, რომლებიც წინსვლის იმედებითაა გაცისკროვნებული.

ამისათვის კი აი, რა ყოფილა საჭირო.

ილია:

— ჩვენთვის ამჟამად საჭიროა ის კი არა, რა გაკეთდა, არამედ ის არის საჭირო, გაკეთებული რამან შექმნა, რამან გააკეთა და საიდან წარმოსდგა.

აი, ეს არის მთავარი.

და იმდენად მთავარი, რომ ამის გარეშე ჩვენი წარმატებული წინსვლა შესაძლოა შეფერხდეს.

გასული წელი უთუოდ არის ჩვენი ეროვნული თვითშეგნების აღზევების მაჩვენებელი. მისი საყოველთაო გამოვლენის, ახალ ხარისხში აყვანის, თვისებრივი ზრდისა და ღონის ამაღლების დასტური. ჩვენთანაც და სხვაგანაც. ყველგან. თვით რუსეთშიც კი.

კარგია ეს, თუ ცუდი?

რაღა თქმა უნდა, კარგი. ძალზე კარგიც, რამეთუ ეროვნული თვითშეგნების ზრდა, რამაც თავი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის, დემოკრატიზაციისა და საჯაროობის ვითარებაში იჩინა, სავსებით ბუნებრივი, ნორმალური და ჯანსაღი პროცესია.

და რამდენადაც ეს ასეა, ამ თვალსაზრისით შევხედოთ ჩვენს

გუშინდელ დღეს, რომელიც გასულმა წელმა ისტორიის კუთვნილებად გახადა.

მე თუ მკითხავთ, გასული წლის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენად ის მიმაჩნია, რომ სერიოზული სჯა-ბაასი გაიმართა და მეცნიერული კვლევა-ძიებაც დაიწყო ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ისეთ საკითხებზე, როგორცაა საქართველოს ეკონომიკური თვითუზრუნველყოფის პრობლემა, კერძოდ, სამეურნეო ანგარიში, როგორც რესპუბლიკის სუვერენიტეტის გაფართოების რეალური გზა. ეს სწორედ ის გზაა, რომელიც დაგვეხმარება საბოლოოდ განვიკურნოთ სხვისი მოიმედების მავნე სენისაგან და არამც თუ შევიმუშაოთ ეკონომიკური დამოუკიდებულობის სრულყოფილი მოდელი, არამედ განვხორციელოთ კიდევ იგი.

მაგრამ, უკვე გაკეთებული, სულ ცოტა და უმნიშვნელო, მაგრამ მაინც გაკეთებული, ხოლო კიდევ უფრო მეტი, წარმოუდგენლად მეტი გასაკეთებელი რამან შექმნა, რამ გააკეთა და საიდან წარმოსდგა?

იგი შექმნა გარდაქმნის კონცეპციამ, რომელსაც საფუძველი 1985 წლის გაზაფხულზე ჩაეყარა.

ამ კონცეპციის ღრმა და საფუძველიანი ცოდნაა საჭირო, მისი გააზრებაა, რათა ეს ცოდნა ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ გამოვიყენოთ, მის სამსახურში ჩავაყენოთ და ჩვენივე წინდაუხედაობით არ შევლახოთ.

ეკონომიკური აზროვნების არსებითი სრულყოფა, მისი ახალ თვისებრივ ხარისხში აყვანა და სახალხო მეურნეობაში დასაქმებული ყველა მუშავის განსაკუთრებით ხელმძღვანელების, სრული კომპეტენტურობა, რაც ყველა მოსალოდნელი ეროვნული და სოციალური ხასიათის შედეგების გათვალისწინების შესაძლებლობას მოგვცემს — აი, რა გვჭირდება ჩვენ დღეს.

ეს უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემა უშუალოდ უკავშირდება სწავლული ეკონომისტებისა და სახალხო მეურნეობის პრაქტიკოსი კადრების მომზადების, მათი გადამზადების მეტად საშუაო ამოცანის გადაწყვეტას.

განათლებულსა და მაღალი ზნეობის მქონე პატრიოტებს უნდა მოვს დღეს მამული საყვარელი.

ასეთ ვითარებაში, მართალი გითხრათ, გაუგებარია, როცა ჩვენი მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილი, რომელიც დიდ აქტიურობას იჩენს ეროვნული ინტერესების დაცვაში და ეროვნული თვითშეგნების მზარდი გამოვლენის მაგალითებსაც იძლევა, დასაბუნბუნად გულგრილობას ამჟღავნებს სწავლისა და არჩეული პროფესიის საფუძვლიანად დაუფლებილობაში. ყოველი ერის ღირსებას გამოჩენილი მეცნიერი, მწერალი, ხელოვანი იცავს და განამტკიცებს, აგრეთვე ცნობილი მკურნალი, მაღალი კვალიფიკაციის ინჟინერი, აგრონომი, მასწავლებელი და მუშა, რომლის ნაბეაღვს ოსტატობის ბეჭედი აზის. გლახიც, რომელიც გამორჩეულ პროდუქციას ქმნის. აბა, რა ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე შეიძლება სერიოზული ლაპარაკი ან რა ღონეზე და დამოუკიდებლობისაკენ მოწოდება გვიშველის, თუ ჩვენი ნაწარმი და ნაბეაღვი არავის დააინტერესებს. განა შეიძლება კაცს ჩვენს მიერ დამზადებული ნაწარმით მოწამლის ეშინოდეს და დასაშვებია სერიოზულად ვილაპარაკოთ ეროვნული თვითშეგნების ზრდასა და ეროვნული ინტერესების დაცვაზე, როცა ზოგიერთ ჩვენთაგანს სხვის ხარჯზე საკუთარი ჯიბის გასაქელების გარდა ამქვეყნად აღარაფერი აწუხებს და აინტერესებს?


ფუჭი და უნაყოფოა ყოველივე, თუ თითოეული ჩვენთაგანის შრომითი საქმიანობა კაცური კაცობით არ განიმსჭვალა და ეროვნულ ინტერესებს არ დაექვემდებარა.

ეროვნული თვითშეგნების მზარდი გამოვლენის ფართო ასპარეზი დაგვანახა სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებამ, რომელიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მოთაგრობის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პროგრამების დამუშავებასა და განხორციელებაში, აგრეთვე მათი შესრულების კონტროლში. სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება ყოველ ღონეს ხმარობს ეროვნული ძალების კონსტრუქციული, საქმიანი თანამშრომლობის, გონივრული და მაღალორგანიზებული კონსოლიდაციისათვის — გარდაქმნის, საჯაროობისა და დემოკრატიზაციის პოლიტიკის მხარდასაჭერად.

კიდევ ერთი, თუმცა სხვა საკითხთან დაკავშირებით გამოთქმული რჩევა, რომელიც ჩემის აზრით სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასაც გამოადგება.

ილია:

— თუმცა ამ საზოგადოებას ჯერ თავი არაფრით გამოუჩენია, მაგრამ ტვირთი მისი მეტად მძიმეა და საგანი მეტად რთული.



ლი და ამის გამო აქ „სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა“. ამ საზოგადოების რთულისა და მძიმე საქმის ჭეროვანს კვალში ჩაყენება ეგრე ადვილი არ არის, რომ სამ-ოთხ თვეში თავი გამოიჩინა. ამ საზოგადოებას წინ დიდი მანძილი აქვს გასაველი. დიდს მანძილს კაცი ქვენებით ვერ გაივლის. დიდს მანძილს ზომიერი და მტკიცე ნაბიჯი უნდა. ამით ჩვენ იმის თქმა კი არ გვინდა, რომ ფენის აჩქარება ამ საზოგადოებისათვის მავნებელი იყოს ყოველ შემთხვევაში. თუმცა არ არის სასურველი ეს საზოგადოება ისე აუჩქარდეს თავის საქმეს, რომ ზედ წააკლას არსებითი საგანი. მაგრამ არც ის არის სანატრელი, რომ მეტისმეტმა სიწყნარემ ობი მოკვიდოს იმ დედააზრს, რომლითაც იგი საზოგადოება უნდა სულდგმულობდეს.

იქნებ ეს ილიასეული შეგონებაც დავიგზავროთ ახალსა და მომდევნო წლებშიც. რამეთუ სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ტვირთი მართლაც მეტად მძიმეა, ხოლო საგანი მეტად რთული.

ასეა ეს. თუნდაც იმიტომ, რომ სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან შემოქმედებით კავშირებთან, ზოგიერთ არაფორმალურ გაერთიანებებთან და მოსახლეობის სხვადასხვა ფენების წარმომადგენლებთან ერთად, უთუოდ გახდება სახალხო ფრონტის ნაყოფიერი ფუნქციონირების ძირითადი დასაყრდენი ძალა.

ხოლო ძალა — ერთობაშია და ეს ახალი წელი ჩვენი ეროვნული ძალების შემდგომ კონსოლიდაციასთანაა დაკავშირებული.

რამ გამოაფხიზლა ქართველობა? ისევ და ისევ გარდაქმნის, დემოკრატიზაციისა და საჯაროობის ცხოველყოფილება იდებმა. რომლებიც მასებს დაეუფლნენ და მატერიალურ ძალად გადაიქცნენ.

ნათქვამის გათვალისწინებით, ეროვნული თვითშეგნების ზრდის მაჩვენებელია ის დიდი ზრუნვა, რასაც რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მხარდამხარ თითოეული ჩვენთაგანი იჩენს ახალი ქართული სოფლების დაბადებისა და კერების აღორძინებისადმი იქ, სადაც ოდესღაც ცხოვრება ჩქეფდა, მაგრამ სიაცემ ჩაკლა და ჩაფერფლა იგი.

მაგრამ, სიცოცხლე გრძელდება.

დმანისის რაიონულ ცენტრში ახლახან გაიხსნა ჯერ-ჯერობით ერთადერთი ახალი ქართული სკოლა. აქამდე სკოლის ასაკის ბავშვთა კონტინგენტის უქონლობის გამო აქ მცხოვრები არამრავალრიცხოვანი ქართველი ოჯახები, ერთადერთი ოცმოსწავლიანი დაწყებითი სკოლით კმაყოფილდებოდნენ და მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას, მშობლიურ ენაზე მიეცათ განათლება ბავშვებისათვის. ახლა ვითარება არსებითად იცვლება. აქაც, სხვაგანაც, ინტენსიურად, დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს ოცამდე ქართული სოფლის განაშენიანება. გათვალისწინებულია სამი ათასი სახლის აგება, რისთვისაც ასი მილიონი მანეთია გამოყოფილი. ორი ათასით გაიზარდა გასულ წელს დმანისის რაიონის მოსახლეობა. ეს სევანეთიდან ჩამოსახლებული ოჯახებია, რომელთა რიცხვი, აგრეთვე აჭარიდან გადმოსულებისა კვლავაც გაიზარდება. მიტოვებულ მიწას ქერემსა და უდაბნოში, ომალოსა და ხორნაბუჯში, სამთაწყაროსა და შატღლიში კვლავ უბრუნდება მათი კანონიერი პატრონი.

და ისევ იმის თაობაზე, რომ სტუდენტურ სამშენებლო რაზმებს, მათს ინიციატივას, მონდომებას, მამულისადმი სიყვარულს ბევრად შეუძლიათ ჩვენი ეროვნული კლიმატის გაჯანსაღება მარტოდონ სიტყვით კი არა, არამედ საქმით.

საქმე.
საქმემან შენმა გამოგაჩინოს.

პოზიცია ყოველთვის ობივიციას როდი ნიშნავს და ისიც მართალია, რომ სიტყვაც საქმეა. ზოგჯერ მეტად მნიშვნელოვანიც. მაგრამ გაუთავებელი, მით უფრო რეალობას მოკლებული ლაპარაკიც ბოლოდაბოლო მომავალზე უფრო ხდება. მე იმის შიშით გამიჩნდა, რომ ზოგიერთი ჩვენთაგანის არაფრისმთქმელმა და რეალობას მოკლებულმა გაუთავებელმა ლაპარაკმა ზიანი არ მიაყენოს გამოღვიძებული ეროვნული თვითშეგნების მატარებელ ახალგაზრდულ მოძრაობას და არ შელახოს მისი ავტორიტეტი.

მე ისიც მგონია, რომ რამდენადაც ჭეშმარიტება ყოველთვის კონკრეტულია და არა აბსტრაქტული, სასურველია, ჩვენც რეალურად მომწიფებულნი კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტისათვის ვიღვაწოთ. მიღწეულის შედეგი ახალ სტიმულს შობს და მორიგი ამოცანის დასახვა-გაზრდაშიც გვეხმარება.

ამ ახალი წლის ღამეს ეს ფიქრები აღმედრა და ბედობის დღესაც დამყვა. ამან იმედია იცოდა და შემართულიც. მე მაინც მგონია, რომ თუ ჩვენ სოფელს და გლეხკაცს ვუშველით,

მაშინ საქართველოსაც ეშველება.

გვატყუებდნენ და ვტყუვდებოდით. ვტყუვდებოდით ჩვენ და ჩვენვე სხვასაც ვატყუებდით. აქაოდა, საქართველო ჩამორჩენილი აგრალური ქვეყნიდან მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყნად გადაიქცაო.

როგორ გეკადრებათ, ბატონო ჩემო! არაფერი სამარცხენო არ არის აგრალურობაში და „გეორგია“ რომ მიწის მუშას ნიშნავს, მე, მაგალითად, ეს სრულიადაც არ მეთაკილება. პირიქით, საქართველო აგრალური ქვეყანა იყო და ასეთადაც უნდა დარჩეს მოწინავე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გონივრული გამოყენებით.

სხვა საზრუნავიც ბევრი გვაქვს ამ ახალი წლის დამდევს და ბევრ რამეს მყარი საფუძველი, სასურველია, ახლავე ჩაუყაროთ.

ერის ჯანმრთელობისა და სიჯანსაღეზე გვმართებს მეტი ზრუნვა. საქმით ზრუნვა. კერძოდ და განსაკუთრებით ახალგაზრდობის ტანის სიმრთელეზე, რამეთუ ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია. არ ეტანება ჩვენი მოსწავლე და სტუდენტობა ახალგაზრდობა სპორტს და ფრიად დამაფიქრებელია ეს. დაიკარგა ოდესღაც სახელგანთქმული და პოპულარული სტუდენტური სპორტი. აღარც საქვეყნოდ ცნობილი ტანმოვარჯიშეები, მძლეოსნები, ცხენოსნები და სხვა სახეობის პოპულარული სპორტსმენები გვეყავს. მაგრამ საქმე მარტოდონ ამაში როდია. სპორტს ბავშვი სკოლაშივე ასაქიდანვე უნდა ვაზიაროთ და იგი თითოეული ჩვენთაგანის მთელი ცხოვრების მუდმივ თანამგზავრად გავიხადოთ. არ შეიძლება, ქართველი კაცი ნარკომანი იყოს, არც ხულიგანი და გამოძალოველი, უდისციპლინო და პასუხისმგებლობის გრძობის მოკლებული.

სწავლა.
შრომა.
სპორტი.

ყოველივე ეს აკეთილშობილებს ადამიანს. შრომისმოყვარეს, შრომისუნარიანს ხდის მას და ზნეობრივ სისპეტაკეს უნერგავს. ძალიან გვკვირდება ეს ჩვენი.

იმიტომ უფრო გვკვირდება, რომ რალაც მოხდა ჩვენს სულიერ სამყაროში. ისეთი, რაც ვნებს ადამიანთა შორის ნორმალური, კეთილგანწყობილი ურთიერთობის საქმეს. უხეში და გაუტანელი გავხდით. ყველა თუ არა, ბევრი ჩვენგანი მაინც. ერთმანეთის ხელისშეწყობის, დახმარების, გატანისა და კეთილი საქმეების კეთების ნაცვლად, სიხარბემ და შურიანობამ გვძლია, ზოგჯერ ერთმანეთს კვანტსაც დავუდებთ ხოლმე და არ ვარგა მგონია მე ეს, არ გვეკადრება ასეთი რამ.


ჩავაბაროთ ეს უკადრისი მემკვიდრეობა წარსულს. გასულ წელს გავაყოლოთ იგი და ახალს განახლებულები შევეგებოთ. ახალგაზრდებს მაგალითი სჭირდებათ. კარგი, დადებითი, ზნეობრივი მაგალითი. მით უფრო, რომ უფროსი თაობისადმი უნდობლობამ უკვე გაიღდა ფესვი. კონფლიქტურმა სიტუაციებმა თავი ოჯახებშიც იჩინა, შრომით კოლექტივებშიც და საზოგადო საქმეებში მონაწილეობის პროცესშიც.

ბევრ რამეს ღირებულსა და ანგარიშგასაწევს გვკარნახობს ჩვენი ახალგაზრდობა და ღამის ნაყოფიც გამოიღოს ნათქვამმა.

მაგრამ...
მაგრამ ის, რომ დიდი სიღინჯე და წინდახედულება გვმართებს თითოეულს და ყველას ერთად.

ილია:
— ამ ღვაწლს ვერავინ შეეცილება ყმაწვილკაცობასა, რომელმაც, რაც კი შეეძლო, თავი არ დაზოგა და პირქვე დასამბობად მიწურული სურვილი კვლავ ფეხზედ წამოაყენა. ბევრს რასმე ემდურებიან ყმაწვილკაცობას, ზოგს სამართლიანად, ზოგს უსამართლოდ, მაგრამ აქ მოხსენებულს სამსახურს კი ჩვენის ქვეყნის წინაშე ვერავინ ჩამოართმევს. ყმაწვილკაცობამ ხელი ჩავლო პირველ ხანშივე მას, რაზედაც შეწყდა ჩვენი ცხოვრება. მან დააყენა ჩვენში ფეხზედ ქვეყნის სიყვარულიც, მამულის-შვილობაც. ერთსაც და მეორესაც რაც შეეძლო, გზა გაუკაფა, ფენი აადგმევინა. ერთის სიტყვით, ჩვენ, ერთმანეთზედ ზურგმუქეულნი კვლავს ერთმანეთისაკენ მიგვახედდა. დიან, ყმაწვილკაცობის მადლიერნი უნდა ვიყვნეთ, რომ ჩვენ საერთო, საყოველთაო სურვილი გავვიახლა, საერთო გულის-ტკივილი ჩავვიახლა, ჩვენის თავის იმედი მოგვცა და ერთობ გამოგვადგინა, გამოგვაფხიზლა. ერთობის მღაღადებელთა არ გაუცუვდლათ დალაღება და აი დღეს იმასა ვმკით, რაც ყმაწვილკაცობის უანგარო ღვაწლით წინა წლებში დათესილი იყო.

დათესილს მოვლა-პატრონობა სჭირდება. და ეს ახალი წელი გვინდა უხვი და დოვლათიანი იყოს. ეს ჩვენზეა დამოკიდებული. მამულისადმი ჩვენს სიყვარულზე. მრავალ ახალ წელს!



ამავალით პიროვნება, კომუნისტი, თავაკი, ჭკვიანი ორგანიზატორი, გაბედული აზრის ადამიანი, — აი შტრიხები, რომლითაც შეიძლება თამამად შევამოთ ჩვენი გმირა. მას არასოდეს ჰქონია თავაკობის პრეტენზია. თავისი დღე და მოსწრება ჩაის ფაბრიკაში მუშაობდა და ბოლოს, ნახევარ საუკუნეს მიღწეული კაცი, კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს.

მხეილ ლომია.

ზუგდიდის რაიონის სოფელ ნარაზენის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ასეთია მისი საეიზიტო ბარათი.

არ ვიქნებით მართალი, თუ ვიტყვით, რომ მიხეილ ლომიაზე არაფერი გაცემებულა ნარაზენში. პირიქით, ბევრი რამ გაცემდა, მაგრამ არ იყო ეს თამამი აზრის მარცვალი, რომელაც შეიძლება კეთილად აღმოცენებულიყო და ნარაზენი სანიმუშო კოლმეურნეობებს შორის ჩამდგარიყო. იმხანად ნარაზენელთა დეპუტატი გახლდათ ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, საყოველთაოდ აღიარებული სახელოვანი მეჩაიე ქალი თამარ ყუფუნია. სწორედ ქალბატონმა თამარმა წამოაყენა მიხეილ ლომიას კანდიდატურა. თამარის აზრი სარწმუნო იყო და მას მხარი დაუჭირეს სოფლის ვეტერანმა კოლმეურნეებმა ამბაკო ახალიამ, ვლადიმერ ჯანჯღავამ და ვარლამ ყვანიამ...

თავსატეხი გაუჩნდა კოლმეურნეობის ახალ თავაკს.

საიდან, როგორ დაეწყო?

აი რა გვითხრა მიხეილ ლომიამ ამ დღესთან დაკავშირებით:

— 1979 წლის 24 დეკემბერს ნარაზენას კოლმეურნეთა საერთო კრებამ ერთხმად ამირჩია კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. ყველა წავიდ-წამოვიდა. დავრჩი თავმჯდომარის პატარა ფიცრულ ოთახში საკუთარ თავთან მარტო. საერთოდ წარმოდგენა არ მქონდა კოლმეურნეობის თავაკის მუშაობის პრინციპებზე. ერთი კა იყო, კოლმეურნეობის გასაპირი შესანიშნავად ვიცოდი. რაც მთავარია, ხალხი არ მყავდა გასაცნობი, ყველა მისლობელი და ნაცნობი მეგულებოდა, რადგან ამ სოფელში დავაბადე და გავიზარდე. ერთი სიტყვით, უკან დასახევი გზა არ მქონდა.

...პირველი სამუშაო დღე ფერმიდან დაიწყო. გული ეტკინა: ქოხანები, სიბინძურე... გაძლტყავებული საქონელი ძლივს დასალასებდა. ერთი კვირის შემდეგ გარკვეა, რომ მთელი ფერმა ბრუცელოზით ყოფილა დაავადებული. გამგეობის სხდომაზე გადაწყდა, საქონელი მთლიანად მოესპოთ. ბევრმა წინააღმდეგობა გაუწია ახალ თავმჯდომარეს, მაგრამ მიხეილმა მანც თავისი გაიტანა. სამასი სულა პირუტყვი ფერმიდან გაიყვანა, ფერმის ფარლალა ფიცრული დაწვა.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ფერმის გარეშე ხომ არ შეიძლება არსებობა. ფერმა აუცილებელი იყო თუნდაც იმისათვის, რომ კოლმეურნეობის საბავშვო ბაგა-ბაღები რძით მოემარაგებინათ.

გადაწყდა, პირველ რიგში მეცხოველეობის ახალი ფერმა აეშენებინათ. შესაფერისი ადგილი გამოიხატა. შეუსის ტრაქტორები, ბულდოზერები, გათხარეს ფუნდამენტი, მოხილეს სანაშენებლო მასალა და თითქმის ერთდროულად დაიწყეს ახალი ფერმის ექვსა ბლოკისა და სხვა დამხმარე ნაგებობების მშენებლობა, რომელიც სწრაფი ტემპით წარიმართა. 1980 წლის გაზაფხულზე ფერმა უკვე მზად იყო.

შეიძინეს საფურაჟე ძროხები, დეკეულები. გადაწყვიტეს საკვები ბაზის შექმნის პრობლემა და გაზაფხულზე მეცხოველეობას ფერმა მუშაობას შეუდგა.

ორ-სამ წელიწადში ნარაზენის ფერმის სულადობამ ოთხას გადააჭარბა, მალე კი ექვსასამდე ავიდა. მომდევნო წლებში ფერმაში თითოეული სა-

ფურცელი

ფურაჟე ძროხიდან 3000-3500 ლიტრი რძე ჩამოწვეს. პირუტყვის გამოზამთრებასთან დაკავშირებით ნარაზენელმა მეცხოველეებმა ოთხჯერ ზედზედ გაიზარჯვეს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

გვესაუბრება ნარაზენის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი რობერტ თოდუა:

— გულწრფელად ვიტყვა, რომ ნარაზენში გარდაქმნა სწორედ ახალი თავმჯდომარის მოსვლის დღიდან დაიწყო. ძირფესვიანად შეიცვალა მუშაობის სტილი, მეთოდები. ვადახალისდნენ ადამიანები. გარშემო შემოაქრია აქტივისტები, ენთუზიაისტები, ინიციატორები, ხელოსნები. დამთავრა ოცი წლის წინათ დაწყებული კანტორა-კლუბის შენობა. ქუთაისიდან ქვის ხუროები და მომპირკეთებლები ჩამოიყვანა. დამხმარე ადგილობრივი ხელოსნები მიუჩინა, თან გააფრთხილა, გულდასმით ადევნეთ თვალი, ყველაფერი დეტალურად შეასწავლეთ, რადგან მერე დამოუკიდებლად მუშაობა მოგეწევთ.

ასეც მოხდა. ორი თვის შემდეგ მიხეილმა მოწვეული ხელოსნები დაითხოვა და ადგილობრივი ძალებით გააგრძელა მშენებლობა.

ახალბედებმა ორჯერ უკეთესად იშრომეს და, როგორც ხედავთ, შესანიშნავი შენობა ააგეს. საოცარი ნიჭი და უნარი გამოამჟღავნეს. დღეს ყველას ხიბლავს მათი ნახელოვი აფთიაქი, სკოლა, საბავშვო ბაგა-ბაღები, საეპრო ცენტრი, კინოთეატრი. უახლოეს ხანში გაიხსნება საჭადრაკო კლუბი და საბილიარდო. აქვე გავხსნით სახაჭაპურესა და ვაზიანი წყლის პატარა ჭიხურს, ევრეთ წოდებულ „ნარაზენის ლაღის წყლებს“.

— ახალი მშენებლობა ხომ არ გაქვთ გათვალისწინებული?

— ახალი მშენებლობის გარეშე ჩვენი თავმჯდომარე ვერ მოისვენებს. წლებულს სოფლის ცენტრში დაიწყება ცენტრალური საბავშვო ბაღის მშენებლობა. პროექტი უკვე მზადაა. მისი მშენებლობა დაახლოებით 250 ათასი მანეთი დაჯდება. გათვალისწინებულია საყოფაცხოვრებო სახლის მშენებლობა. მისი პროექტიც მზადაა... ახალგაზრდობის პარკში აშენდება მოდური სპორტული კომპლექსი, რომლის ღირებულება დაახლოებით 700 ათას მანეთს აღემატება. აქვე გაიხსნება საუნის ტიპის აბანოც.

— ნარაზენელ კომუნისტებზე რას იტყვით?

— ოო, მათზე ბევრი კარგის თქმა შეიძლება, — თვალები აუციმციმდა რობერტს, — თუ ტრაბახში არ ჩამომერთმევა, ალბათ სოფელში არ მოიპოვება კომუნისტი, რომელიც სამავალითო არ იყოს ყვე-

ლასათვის. ძნელია რომელიმე მათგანის გამოყოფა, ყველა კეთილსინდისიერად და თავდადებით შრომობს...

შუალდეს გადაცილებული იქნებოდა, როცა ჩაის პლანტაციაში შევხვდი სოციალისტური შრომის გმირს, პარტიის ზუგდიდის რაიკომის წევრს, რაიონული საბჭოს დეპუტატს, მეცხრე საწარმოო ბრიგადის ბრიგადირს ქსენია ბიგავას, რომელმაც ჩვენთან საუბარში თქვა:

— დიდი ხანია ნარაზენში ვცხოვრობ. სიხარულიცა და გაჭირვებაც გვინახავს. თავმჯდომარეც ბევრი გამოგვიცვლია, მაგრამ ის, რაც ჩვენმა მიხეილმა გააკეთა ამ რვა წლის მანძილზე, ყოველად წარმოუდგენელია. არ ვიცი, რა ენერგია, რა ძალა და როგორი მონდომება აქვს ამ კაცს, როგორ ასწრებს ყოველივეს. ახლა, ჩემო ბატონო, ნარაზენში მოსვლას რა სჯობს. დამშვენებული და გაკეთილშობილებულია ჩვენი სოფელი.


თავისი აღფრთოვანება ვერ დაფარა ნარაზენის უხუცესმა კოლმეურნემ ორესტი ბეჭვიამ, როცა მიხეილ ლომიაზე ჩამოვარდა სიტყვა:

— მე, ჩემო ბატონო, უხუცესი კაცი ვარ ამ სოფელში. ბევრი მძიმე დღეები მიხანავს და დღევანდელ ცხოვრებასაც ჯანმრთელი მოვესწარი. შრომასა და ჯაფაში გავატარე, თოლიგე, ჩემი ცხოვრება. დღეს ნარაზენს რომ ვუყურებ, ძალიან მიხარია. ჭკვიანი კაცი უდგას ჩვენს სოფელს სათავეში. ბევრი რამე გააკეთა და ალბათ ბევრსაც გააკეთებს კიდევ. მოხუცი კი ვარ, მაგრამ მინდა, კიდევ დიდხანს ვუყურო ჩვენი სოფლის აღორძინებას, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების ბედნიერებას...

როცა მზე დასავლეთისკენ გადაიხარა, მიხეილთან ერთად მეცხოველეობის ფერმას ვეწვიეთ.

თავმჯდომარე პირველი სამუშაო დღე ფერმიდან დაიწყო. მას შემდეგ არ უღალატია ჩვეულებისათვის. მისი ყოველა სამუშაო დღე ახლაც ფერმიდან იწყება. აქ მოდის იგი პირველად. გაიგებს, თუ რა უჭირთ, რა სურთ მეცხოველეებს და მერე მისი სხვა ობიექტებზე.

შარშან, წლის ბოლოს, საკავშირო და რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნდა სოციალისტურ შეჯიბრებაში მეცხოველეობის დარგში გამარჯვებულთა სია. ნარაზენის კოლმეურნეობა ისევ გამოვიდა გამარჯ-



ვებულო, ზედისე მეთხედ მოიბოვეს ეს ჯილდო. ამ წარმატებას ისიც დაემატა, რომ ნარაზენის მეცხოველეობის ფერმა დაჯილდოვდა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მიღწევათა გამოფენის პირველი ხარისხის დიპლომითა და ავტობუსით. აღრე, 1986 წელს, ნარაზენელმა მეცხოველეებმა მესამე ხარისხის დიპლომი დაიმსახურეს. ზედაზედ ოთხჯერ საკავშირო შეჯიბრებაშიც ავტობუსი, ორი „რაფი“ და „მოსკვიჩი“ მიიღეს საჩუქრად.

ახლა ისევ მეცხოველეობის ფერმას მივხედოთ. ნარაზენის მეცხოველეობის ფერმაში იჯარულ ბრიგადას ხელმძღვანელობს ნიკოლოზ ჯანელიძე. აქ მუშაობენ ნორა, აბოლონ, მერაბ, ბესიკ და რაჟდენ ბერიშვილები, ზურაბ და მერი ჭიჭიბიძე, დალი ჯანელიძე. აქვეა ინგა ესებუა, ეკა ჯანელიძე, თალიკო სხულუხია, ორესტი ცირდავა, ტარიელ ლატარია, გურამ ქაჯია და ბიკო თოდუა.

— ჩვენი ფერმის სახელი შორსაა გავარდნილი. ამის მაგალითია ინგა ესებუა, რომელიც კომპიუტერული საგზურით მეზობელი სოფლიდან მოვიდა აქ სამუშაოდ. იგი მუყაითი და მშრომელი ქალიშვილია. ყველა კმაყოფილია მისი მუშაობით, — გვეუბნება მიხეილ ლომიაძე.

— თვითონ თუა კმაყოფილი?
— ამ შეითხვანზე, ალბათ, თვითონ ინგა გიბასუხებთ!

— კმაყოფილი რომ არ ვიყო, აქამდე რახანია დავტოვებდი ნარაზენის ფერმას, — იღივება ინგა. ძალიან ყურადღებიან გარემოცვაში ვარ, მუშაობა სახალისოა და ანაზღაურებაც კარგი მაქვს. თითქმის ოთხას მანეთს ვიღებ ხელზე. ვასაოცარ ყურადღებას იჩენენ ჩემ მიმართ ბატონი მიხეილი, ფერმის გამგე, ყველა ჩემი კოლეგა და მეც, რასაკვირველია, ხალისით ვმშრომობ.

საუბარს განვაგრძობთ.
— ბატონო მიხეილ, როგორც ჩანს, აჯარამ თქვეთან ძალიან გაამართლა, ხომ ასეა?

— რასაკვირველია, გაამართლა. იცით, რატომ გაამართლა? იმიტომ, რომ აქ სხვა პრინციპებს აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობა.

— რა პრინციპებია ასეთა?

— იჯარა მეცხოველეობაში დამოკიდებულია საბოლოო შედეგზე. წინათ მწველავე პირველი თუ მეორე ხარისხის რძეს ჩააბარებდა, ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. ახლა პირიქითაა. პირველი ხარისხის რძის ჩაბარებასათვის მოიჯარეებს ღირებულების სამი პროცენტი ეძლევათ. ამიტომ ყველა მონდომებულია, რაც შეიძლება მეტი უმალესი რძე გაგზავნოს რძის კომბინატში. ამასთან, ისინი ფერმის

მცირეფასიან საგნებს, წვრილ ინვენტარს სათუთად უვლიან, რადგან იციან, რომ წლის ბოლოს მიეცემათ ინვენტარის ღირებულების 70 პროცენტი. აქ კიდევ ისიც მოქმედებს, რომ გემის ზევით გაიქცემა რძის ღირებულების 40 პროცენტი. ყოველივე ეს საბოლოო შედეგთანაა დაკავშირებული. ეს იციან მათ და ამიტომაც მუშაობენ გულმოდგინედ. საერთოდ, იჯარული ბრიგადის წევრები ყოველგვარ ოპერაციას თვითონ ასრულებენ.

— როგორია ფერმის მუშაობა სოციალურ-კულტურული ცხოვრება?

— ნამდვილად, საუკეთესო პირობებში მუშაობენ. ფერმას აქვს საკუთარი აბანო. უფასოდ ემსახურება საეკიალური სასადილო. თანამშრომლები გადაგვყავს სპეციალური ავტობუსით. ფერმაშია ტელევიზორი, ყურნალ-გაზეთებია. მეცხოველეები შეუბუღების დროს საგზურებით ისვენებენ, დადიან ექსკურსიებზე. შარშან ფერმას ვაშოყყო სამი ტურისტული საგზური ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში. ფერმას მუშაკებმა ნიკოლოზ ჯანელიძემ, ეკა ჯანელიძემ და ბესიკ ბერიშვილმა უკვე მოიარეს ბულგარეთი.

— როგორია მეცხოველეობის ფერმის შარშანდელი მაჩვენებლები?

— ძალიან კარგი, მე კმაყოფილი ვარ!.. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სფეროში შემცირდა თვითღირებულება. ეს განსაკუთრებით დაეტყო მეცხოველეობის ფერმას. აქ გემიანი თვითღირებულების შემცირების შედეგად კოლმეურნეობამ თერამეტი ათასი მანეთი მოგება მიიღო. ჩაბარებული პირუტყვის საშუალო წონა 360 კილოგრამს აღემატებოდა. აქედან ოთხმოცდათხუთმეტი პროცენტი უმალესი შესორცებისაა. ერთა საფურაჟე ძროხიდან მიიღეთ 3100 კილოგრამი რძე, რაც ჩვენთვის ძალიან დიდი მიღწევაა. მეცხოველეობის ფერმის წარმატებებში გარკვეული წვლილი მიუძღვით საკვებმომპოვებლებს. აქაც იჯარული ბრიგადა მუშაობს. მათი ბრიგადირია ელდარ ბერიშვილი, ბრიგადის წევრები ჯემალ და ზენერ ბერიშვილები, დემურ და მურთაზ მესხები, არველოდი გოლობიანი და ვალიკო თოდუა.

— როგორი გამოუმუშავება აქვთ ფერმის მუშაკებს?

— თვითრად საშუალოდ 400-450 მანეთი!
— სოფლის ახალმშენებლობებზე რას იტყვიან?

— ამაზე უკვე მოგითხროთ პარტიული კომიტეტის მდივანმა. მე ერთს დაუვამატებ მხოლოდ: წლებულს განსაზღვრული გვაქვს, დაეწყოთ მესამე რიგის მშენებლობა. ეს იქნება ორსართულიანი კაპი-

ტალური ნაგებობა, რომელშიც განლაგდება ფოსტა-ტელეგრაფი, სასოფლო საბჭოს აღმასკომი და სოფლის სასტუმრო.

— რამდენია სოფლის შემოსავალი?
— შარშან ოთხ მილიონ მანეთს გადააჯარა!
— თქვენი სამომავლო გეგმები?

— ჩვენი კოლმეურნეობა ახალი წლიდან უკვე გადავიდა თვითდაფინანსებაზე და ამან კარგი შედეგი მოგვცა. სხვათაშორის, ფერმა უკვე დიდი ხანია გადასულია თვითდაფინანსებაზე. დიდი სურვილი გვაქვს, სოფელში ავაშენოთ ჩაის მიკროფაბრიკა და შემდეგ შევქმნათ ნარაზენის აგროფერმა.

— თუ არ ვცდები, ასეთი აგროფერმა უკვე შეიქმნა ნატანებში.

— დიას, სწორი ბრძანდებით. ჩვენც თუ შევქმნით, მაშინ უფრო გავიმართებთ წელში. მაგალითად, თუ რძის გეგმას შევასრულებთ და ას ტონას კიდევ ჩამოვწველით, მაშინ ამ ნამეტს ჩვენვე მოვიხმართ. დავამზადებთ ყველს, სულგუნს, მაწონს და თავისთავად ორმაგ მოგებას მივიღებთ. გვექნება საკუთარი წარმოება.

— ერთი სიტყვით, „კომერსანტი თავმჯდომარე“ უნდა გავხდეთ, — იღივება მიხეილი და მერე ისევ განაგრძობს:

— გავხსნით თბილისში პატარა მაღაზიას, რომელსაც ყოველდღიურად მოვამარაგებთ საჭირო პროდუქტებით. აგროფერმას დიდი მომავალი აქვს. თუ დღეს სახელმწიფო გეგმა გადაკარბებით სრულდება, აგროფერმის შექმნის შემდეგ შემოსავალი ორმაგად გაიზრდება და კოლმეურნეთა საყოფაცხოვრებო პირობებშიც ერთი-ორად გაუმჯობესდება. ასე შესაძლებელია მე ჩემი სოფლის ზეაღინდელი დღე.

● ამ საეურნალო ნარკვევში ძნელია, ყველაფერი მოუთხრო მკითხველს.

მთავარი კი უკვე ითქვა: ნარაზენის კოლმეურნეობამ უკანასკნელ წლებში არაჩვეულებრივი ნახტომი გააკეთა. ესაა შემოქმედებითი და შრომითი მიღწევების წლები. და ამაში თავისი წვლილი შეიტანა მიხეილ ლომიაძემ.

მისი შრომითი საქმიანობა მისაბაძი და სამაგალითოა.

სოფლის თავკაცის აღიარება, უპირველეს ყოვლისა, მშრომელი ადამიანების აღიარებაა. ბარაქალა თქვენს შრომას, ნარაზენელებო!

● ნარკვევი უკვე აწყობილი იყო, როცა მიხეილ ლომიაძემ ტელეფონით შემატყობინა:

— რვა სექტემბრისათვის კოლმეურნეობის ყველა სახის გეგმა წარმატებით შესრულდა. ავიღეთ 1400 ტონა სიმინდი, მოკარიფეთ 2881 ტონა ჩაი, ჩამოვწველეთ 398 ტონა რძე, დამატებითი 120 ტონა რძე სოფლის მოსახლეობაზე გავყიდეთ და ასი ათასი მანეთი მოვიგეთ, ჩავაბარეთ 1300 კილოგრამი აბრეშუმი, 140 ტონა ზოსტენული, 2000 ტონა სილოსი, 300 ტონა სენაჟი, 300 ტონაზე მეტი ციტრუსი. ავაშენეთ და მალე ექსპლუატაციაში შევა რიგით მესამე საბავშვო ბაღი სოფლის ცენტრში. უკვე დაეწყოთ საყოფაცხოვრებო სახლისა და სასოფლო-საბჭოს ახალი შენობების აგება, მომავალ წელს სოფლის ამბულატორიას გადაეცემა კეთილმოწყობილი და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი შენობა. საკუთარი ხარჯით სამი ორსართულიანი საცხოვრებელი სახლები ავუშენეთ მექანიზატორებს, განზრახული გვაქვს კიდევ ორი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. ჩვენი კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა წლის ბოლოსათვის 5 მილიონ მანეთს გადააჭარბა. ბანკში ჩვენს ანგარიშზე უკვე ირიცხება ორ მილიონ მანეთზე მეტი.

ბოლოს ბატონმა მიხეილმა ბრძანა:

— ბედნიერ ახალ წელს ვუსურვებ ყველას, ვისაც უყვარს შრომა და მშვიდობიანი ცხოვრება!

პასილ გვიტაძე

— სხვა კაცი, — ამბობს ხოლმე ხალხი თავის გამორჩეულ პიროვნებაზე, როცა ხედავს, რომ ეს „სხვა კაცი“ სხვანაირად ცხოვრობს, სხვანაირად ფიქრობს, სხვანაირად აზროვნებს. თითქოს ცალკეა გამდგარი. სინამდვილეში კი მულამ ხალხთანაა და მისი ფიქრი და აზრი საქმეს არ შორდება.

ამაირი „სხვა კაცი“ ჩვენს მწერლურ ოჯახს ჰყოლია ადრეც და ჰყავს ახლაც. ამჯერად მუხრან მაჭავარიანზე გესაუბრებით.

მუხრანი ამბობს:

— ძნელია, ძალზე ძნელია, მკითხველის გული იპოვოს ლექსმა, ამისათვის საკმარისი არაა არც საჭირობოროტო თემატიკა, არც ლექსის მხატვრული სახეებით დახუნძვლა. ხმაა მთავარი! — სათქმელის შესატყვისი ხმა. ხალხი ლექსს მხოლოდ მაშინ გაითავისებს, როცა ლექსში ხმა და სათქმელი ერთმანეთზეა მორგებული.

ორმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული გაისმის სათქმელზე მორგებული ეს ხმა საქართველოში, ყველა სხვა ხმისგან რომ გამორჩევა ძლიერი და მსუყე, მაღალი ბანით. ამ ხმის პატრონი კაცი შესახედაობითაც იოლად გამოსარჩევია სხვებში.

ბეჭდებში ლაღად გაშლილი, წარმოსადეგი, თვალადი, ტანადი. მიძიმე, აუჩქარებელი ნაბიჯებით მოსიარულე...

სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო „საბას“ ავტორი და უეჭველად ასეთი ხმა უნდა ჰქონოდა მას.

ახალია ეს ხმა, აქამდე არც ერთ თანამედროვე ქართველ პოეტს არ უთქვამს თავისი სათქმელი ამნაირად, ამნაირი ლაზათით, მადლითა და სითბოთი.

ტრადიციული ქართული ლექსი თავის გულისთქმას დაუმორჩილა. უფრო გადსწია და გადახსნა მისი ჩარჩოები. გააგანერა, განაერცო და გააფართოვა, რითაც მეტი გასაქანი მიეცა ფიქრს და სიტყვა მელერი და ხმოვანი ვახლა.

გულზე მოსახვედრი, ტკივილიანი სტრიქონები დაიტეხა, დაიმტვრა, თუ შეიძლება ასე ითქვას, თუმცა იმგვარად კი არა, როგორც ამას ბარეორი შეეცადა შემდეგ.

ამრიგად, შეიქმნა შინაგანადაც და გარეგნულადაც გამორჩეული ახალი სალექსო ფორმა, ახალი რიტმი.

მაგრამ ძველიცაა მუხრანის ლექსი, იქნებ უძველესიც, რაკი მისი მწვანე ყლორტი ძველ ძირსა და ფესვზეა ამოყრილი და სულიან-ხორციანად გაქლენთილია ქართული სულით:

სიტყვებს, წინაპართ მიერ გახედნილთ,
დიდი რუსთველის უღელში ნაბამთ,
შობილთ კლარჯეთით, ქართლით,
კახეთით,
ერთად შეკრიბა რომელნიც საბამ, —
ვეალერსები, ვითარცა ყვავილთ,
სიცოცხლე მარტო იმიტომ მინდა,
რომ ჩემს საფლავზე ყაყაჩოსავით
ჰყვაოდეს სიტყვა, ქართული სიტყვა.

მწვანე ბალახისა და წითელი მზის ემბაზშია გაბანილი ეს სიტყვა და ფეროვანია და ნედლი ისე, როგორც არაგვის ტყე-ჭალა.

მშობლიურ მდინარესთან, ასე გგონია, ერთიმეორის მიყოლებით ჩამოიარეს წინაპართა ლანდებმა და გრგვინვა-ბუნუნით ამოვსებულ ხეობაში ჟანგვიანი ნატეხებით მიმოიფანტა მათი ხმები.

ტალღების ინტონაციაზე აყოლილ სტრიქონებში მოდის და მოდგაფუნობს არაგვი. ტყიანი მთები სულის საამოდ შემოსწობიან ვარშემო. ლაჩარი და მხდალი ვერ იქნება აქ, ამ მიწაზე გაზრდილი კაცი. რაც არ უნდა უგულო იყოს, ლოდებზე მოგორავე არაგვის ერთი თვალის შევლებაც ეყოფა, რომ აღფრთოვანდეს და გახარებულმა წამოიძახოს:

ტა, ტა, ტა, ტა!
რანაირად ბრდღვინავს არაგვი...
ცოტა ქვემოთ, მთებისა და ტყეების იქით, შუაგულ მზეში, მწვანე წალკოტია და ზღვა, რომელსაც „შავი“ ჰქვია, ალბათ, წარსულ სიდუხჭირეთა გამო, თორემ „შავი“ რატომ უნდა ერქვას აყვავებული ბაღა-ბაღების კიდებზე სილურჯეში ჩაქცეულ ვეება სივრცეს.

გასაკვირია, ამ ვეება სივრცის დამნახველმა კაცმა თავისდაუნებურად რომ წამოიძახოს ხმამაღლა?

ხო, ხო, ხო, ხო!
ხმელეთს როგორ ეხეთქება ზღვა...
ყველასათვის დასანახად, ხელშესახებად, უბრალოდ, სადად დაინახა სამშობლოს ტყე-ჭალებში არაერთხელ დანახული ჩვეულებრივი სურათი. თუმცა, ახლა ის ჩვეულებრივი აღარაა და კეშმარიტი ოსტატის ხელით მოხატული გარემო-მიდამოს ფონზე, სხვანაირად გამოიყურება.

სხვანაირად ხმაურობს არაგვი, ეს მთა, ეს ტყე, ეს ზღვა. სხვანაირია თვითონ მიწა, რძისა და თაფლის წვეთებით გამბალი.

ამ სამოთხეში გაზრდილსა და მაცხოვრებელს, რა სკირს სხვისკენ მისახელი, ანდა ვისი რა უნდა შემუშორდეს.

შეუძლებელია უკვე სიჩუმე. მოუხერხებელია უკვე დუმბილი. და აი, ყველაფერს ამბობენ სიტყვის კაკლებით წამოყრილი სტრიქონები:

მე — პატრონმა, მე — პატრონმა ამისთანა ზღვის, მე — პატრონმა, მე — პატრონმა ამისთანა ცის, თუ ღმერთი გწამს, თუ კაცი ხარ, სხვას მივბაძო?! ვის?! რა გინდა რომ აქ არ იყოს, ენა იტყვის რას! სიტყვა გინდა?! მარტო წვიმას აქვს სახელი ცხრა. მე შენ გეტყვი, არ გეყოფა სიტყვის მარაგი... არა! სხვისი მისაბაძი რა მჭირს, თვარა, კი!..

გარეგნული მორთულობითა და სამკაულებით კი არ მოგჭრა თვალი ლექსმა, მისმა შინაგანმა სითბომ გავატბო, მსუბუქი და გამჭვირვალე სტრიქონებიდან შუქივით ამოფრქვეულმა სიმართლემ გავაოცა. გულში ტკბილად ჩაღღვა ლექსი, ყრფილითა და ყრვილით ჩაიარა ძარღვე-

ბში, და ერთხელ წაკითხულმა სტრიქონებმა, მეორედ, მესამედ წაგაკითხა თავი. ორფრთიანია, თურმე, მამულის სატიკვარზე ნათქვამი სიტყვა უტყუარი პოეტის ხელში და შეკრულია და შეკვიდილი ისე, როგორც პატარა, ლამაზი ხატი.

და მაინც მთავარი ისაა, სათქმელი აქვს... დიახ, სათქმელი აქვს ამ სიტყვებით მოლაპარაკე კაცს:

— ლაპარაკი ვერცხლია, დუმბილი ოქრო, — ამბობდნენ ჩვენი ძველები. ჩემი ოქრო და ჩემი ვერცხლი ჩემი სამშობლოა. ვყვირი! მისთვის ვყვირი! ვდუმვარ! მისთვის ვდუმვარ! მხოლოდ ჩემთვის, ღმერთმა ნურც დამაყვიროს და ნურც დამადუმოს...

რასაც ამბობს, არა ცალკეად, გულსავსედ ამბობს. რასაც გეუბნება, გჭერა. გეუბნება კი, აი რა:

— ვის გაუმარჯოს? რას გაუმარჯოს? ეგეც არ იცი? ვაი შენს პატრონს! მას გაუმარჯოს, სწორედ მას, მარტო, და ღმერთმა ხელი მას მოუშარტოს, ხმა ილიასი რომელსაც ახსოვს: — ჩვენ უნდა მივცეთ მერმისი ხალხსო.

ხომ ესაა შენი საფიქრალიცა და საოცნებოც. ხომ იგრძენი, რა გეტყვი და რა გვაწუხებს. თვითონ მონახა ხომ სათქმელმა შესატყვისი ხმა და გაიწკრილა შენში. თვალი აგინილა და გონება შეგიფხიზლა სიტყვამ, რომელსაც იქნებ შენც იტყუდი, მაგრამ ვიღაცისა და რაღაცის გამო ვერა თქვი;

— იმდენი კარგი ვაქცაცი მოკვდა, იმათზე კარგი ვინ უნდა მოკვდეს! მაგრამ მე მაინც სევდას მგვრის ახლა არც ისე იგი, რაც უკვე მოხდა, როგორც ის, აწი რაც უნდა მოხდეს!


საფიქრალი რომ ბევრია და ფიქრი ხალხთაში ვერ იმაღავს თავს, ეს ყველამ კარგად ვიცით, მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, ქვეყანაც რომაა დაღუპული მაშინ:

— თუ არ წაგიღო ოცნებამ გზებზე, ხანდახან მაინც გზას თუ არ ეძებ, თუ არ იფიქრე: ვერ შევძლებ? შევძლებ? თუ არ გაივლე გულში, თუნდ ერთხელ: კეთილი, მაგრამ ასი წლის შემდეგ, შთამომავლობა რას იტყვის ჩემზე?!

სურვილი, მოთხოვნილება იმისა, რომ მომავალს თვალეზში შეხედო, თავისთავად ბევრ რამეზე შეტყვევებს. არაა ეს უბრალო ფიქრი. ეს ის შინაგანი ძალაა, რომლითაც მთელი მისი შემოქმედებაა გაქლენილი. ეს ის სიმართლეა, რომ გარყევს და გონებას გიხსნის. შენი ქვეყნის ცხოვრებით იცხოვრე, მისი ჰიროთა და ლხინით, თორემ ძნელია ხვალინდელ დღეს გაუსწორო თვალი დღევანდელ დღეში თვალდახუჭულმა კაცმა:

...შნიშნი, ბაღიშნი, ლაზი ფარტაზის, გაღეშილები, არა ფხიზელნი, ხშირ შემთხვევაში მსხდარნი პანტაზე, ვაკეში წვანან სასპინქენი. კმარა, გვიანლა იქნება მერე! გვიახლოვდება, ეხედავ, წერტილი... და საქართველოს უკვდავი მტერი — სიცილით კვდება ჯალალედინი.

ვერ დაინახო ის, რასაც ყველა ხედავს, სხვა რომ არაფერი იყოს, სირცხვილია. კიდევ უფრო მეტი სირცხვილია დუმბილი.



ოლონდ ხმის ჩახლეჩამდე ყვირილიც არაა საკადრისი. ამიტომ ითქვა ასე მოგუდული, დარდიანი ხმით:

— საქართველოში მრავალჯერ თუმცა სიკვდილის მოდგა ელჩი; გუგულის კვერცხი ესოდენ უხვად ჯერ არ ყოფილა ჩვენში! დოლაბი ბევრი ბრუნავდა, თუმცა ქართველი ხალხის თხემზე, გუგულის ბარტყი ესოდენ ურცხვად არ მოქცეულა დღემდე! მრავალჯერ თუმცა ვაჟკაცთა საფლავს დედის ათოვდა თმანი; სიტყვა ქართული ესოდენ მძაფრად არ სწყურებია დმანისს! საცაა გუგულს, ვიცი და ვიცი, — ბუდე დარჩება მერცხლის... სირცხვილით იწვის, სირცხვილით იწვის, კრწანისის ველზე ცეცხლი!

იცით ხომ, როდის დაიწერა ეს ლექსი? თუ არ გახსოვთ, გეტყვით — ზუსტად ოცდაათი წლის წინათ. ისიც ხომ ვიცი, რა შეიძლება მოჰყოლოდა ამას... მიუხედავად ამისა, მაინც ხომ დაიწერა? რატომ წერდნენ სხვები სხვანაირად? რატომ ვერ თქვეს ის, რისი თქმაც უნდოდათ? ვერ მოახერხეს? მაშ, მუხრანმა როგორღა მოახერხა.

ქვეყანა მლიქვნელებითა და ტაშისმკვრელებით რომ აივსო, პოეტებიდან მარტო მუხრანისა და კიდევ ორი-სამი კაცის მეტს ვერ უნდა მოეხერხებინა ხმამაღლა ამის თქმა? აბა, ერთხელ კიდევ გადავიკითხოთ იმ დროს „ცისკარში“ დაბეჭდილი სტრიქონები:

— როგორც ახალი ნაკინკრაქალი, ტოკავს ასკილი, ანდა გრაქალი, ზუსტად იმგვარი, ზუსტად ისეთი — ყველა სიგლახის როა მიზეზი: სუყველაფერზე თავის კანტური, საქციელია არაქართული,

ვაი ჩვენს პატრონს, თუ იმას ვფიქრობთ, ამ ქვეყანაზე მარტო ჰამა-სმისათვის მოვედითო და გასაკეთებელი სხვა აღარაფერი გვაქვსო. ისიც ხომ გვახსოვს, ამისთვის როგორ შემოუტიეს...

მაგრამ მუხრანი მაინც მუხრანად დარჩა და სწორედ მაშინ, იმ დღეებში, უფრო აიმაღლა ხმა:

— დიდო კოლხეთო, დიდო ქართლო, დიდო შამქორო, ვერ დამადუმონ, ვერ დამძალონ, თუნდა ჩამქოლონ... ვერ შეაჩერებს ვერაფერი სიტყვას გაბედულს, — ფრთები მასხია თქვენგნით... მხოლოდ თქვენგნით რამეთუ.

ქართული სული ბობოქრობს მასში ყოველთვის. ეს ასეა მაშინაც, როცა მას ჩქმალავენ.

ხელი ყველას მოუმართოს ღმერთმა, მაგრამ ცოტა უხერხული ხომ არაა: მსახიობს, რომელიც მის ლექსებს ოსტატურად კითხულობს სცენაზე, რუსთაველის პრემიას ანიჭებენ, ხოლო იმას, ვინც ეს ლექსი დაწერა, რა?! არაფერი?!

მერედა, რა ლოგიკაა ამაში და რითი შეიძლება ამის გამართლება?

გულზე ხელი დავიდოთ და ისე ვთქვათ: ხალხი, უფლება რომ ჰქონოდა, ხომ პირველთა შორის მიანიჭებდა მას ამ დამსახურებულ პრემიას... გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ: ახლა, როცა უფლება მოგვეცა, ხომ ჩვენ, ხალხმა, მწერლებმა, ავირჩიეთ იგი, მეოცე საუკუნის მიწურულში, ქართული მწერლობის წინამძღვრად.

1988 წელი. 10 ნოემბერი. პროფკავშირების კულტურის სასახლე. ქართული მწერლობა თავის საერთო კრებაზე, საბჭოთა ხელისუფლების წლებში პირველად, ყოველგვარი მაღლიდან კარნახის გარეშე, თვითონვე ირჩევს თავის წინამძღვრს.

არჩევნებში მონაწილეობს მწერლობის არამარტო „ნაღები“, რიგითი „ჯარისკაცობაც“. ოთხი კანდიდატიდან ერთი უნდა ავირჩიოთ.

რაც არ უნდა დახუჭო ამ დროს თვალი, სინამდვილეს მაინც დაინახავ. დაინახავ იმ კეთილ ნაყოფს, რომელიც უკვე გამოიღო დღევანდელმა დღემ.

დავასახელოთ, კენჭი ვუყარეთ და ავირჩიეთ.

— სხვა დროსა და სხვა ვითარებაში, თუნდაც შარშან და შარშანწინ, ამირჩევდა კი არა, უბრალოდ, დასახელებითაც ვერ დამასახელებდა ვერავინ. კიდევაც რომ დავესახელებინე ვინმეს, თვითონვე ვიქნებოდი წინააღმდეგი. ვეცდები გავუმართლო იმედი იმათ, ვინც ხმა მომცა.

იმათ კი, ვინც გულცივი დარჩა ჩემ მიმართ, ცოტა ხანში სინანული ეგრძნოთ ამის გამო, — ყოველგვარი პატივმოყვარეობისა და უხვსიტყვაობის გარეშე, დაახლოებით ასე თქვა მუხრან მაჭავარიანმა თავის სიტყვაში იმ დღეს, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ.

ჩვენ კი, გულწრფელები იმაში, რომ სწორია ჩვენი არჩევანი, ბევრ რამეს მოველით მისგან. გვჯერა და გვწამს, ერთიმეორისგან განუყოფელი მისი სიტყვა და საქმე, როგორც ეს სამართლიანად აღინიშნა კიდევ ქართულ პრესაში, ამ მაღალი პოსტიდან უფრო მეტად გამოადგება თავის მშობლიურ ქვეყანას.

პალეოან ჩეკურიზმილი

ვისაც ამ ათიოდე წლის წინათ მიაკოვსკის რაიონი უნახავს და მას შემდეგ იქ აღარ ყოფილა, ახლა თვალნათლივ შეამჩნევს სასიკეთო ცვლილებებს: ბევრმა ორგანიზაციამ და დაწესებულებამ დაიდო ბინა ახალ შენობაში, გაიზარდა და გაფართოვდა კულტურულ დაწესებულებათა ქსელი, კეთილმოეწყო ქუჩები და სკვერები...

ეს პროცესი ახლაც გრძელდება. ასევე იცვალეს იერ-სახე რაიონის სოფლებმაც. კოლმეურნეები ერთმანეთზე უკეთეს საცხოვრებელ სახლებს იშენებენ. შეხედვით მათ სახლ-კარს და ვაგისარდება — სადამდე ამოღდა ჩვენი გლუხკაცის ეკონომიკური სიძლიერე!

ასეთია რაიონის გარეგანი მხარე... ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს გარდაქმნა, რომელმაც გვიქარნახა, რომ აუცილებელია მართვის ახალი სამეურნეო მექანიზმის შემოღება.

დაღა დრო, როცა ახლებურად უნდა ვიზაროვნოთ, ახლებურად ვმართოთ მიმდინარე პროცესები ცხოვრების ყველა უბანზე, ახლებური დამოკიდებულება უნდა გამოვიჩინოთ საზოგადოებრივი საქმისადმი.

არადა, გარდასაქმნელი ძალიან ბევრი დაგვიკოვდა. ჩვენი ფსიქიკა თითქოს მიეჩვია კიდევ, ვთქვათ, იმ ამბავს, რომ ჩამორჩენილი კოლმეურნეობა შეიძლება ჩამორჩენილი იყოს დაუსრულებლად და იარსებოს სახელმწიფოს ხარჯზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი პერიოდულად ისმენს პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივანთა ანგარიშს იმის შესახებ, თუ როგორ გარდაქმნიან მუშაობას. მოისმინეს პარტიის მიაკოვსკის რაიონის ანგარიშიც, რომლის განხილვის დროს საქმიანი სჯაბასი გაიმართა, გამოვლინდა მთელი რიგი ნაკლოვანებები, ხარვეზები.

— რა დასკვნები გააკეთეთ იმ კრიტიკიდან და შენიშვნებიდან? — ვკითხეთ პარტიის მიაკოვსკის რაიონის პირველ მდივანს გაიოზ ნოზაძეს.

— პირველ რიგში საკადრო პოლიტიკის განხორციელებას საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე მივითითეს. მაშინ აღინშნა, რომ რაიონში ჯერ კიდევ ადგილი ჰქონდა ხელმძღვანელი კადრების დაუსაბუთებელ და ნაჩქარევ გადაადგილებას, დაწინაურებას, განთავისუფლებული მუშაკების კვლავ პასუხსაგებ თანამდებობაზე დანიშვნას, როცა მათი საქმიანი და მორალური თვისებები ბოლომდე არ გვექონდა შესწავლილი. ეს კი უნდობლობას იწვევდა საზოგადოებაში.

ამ და სხვა დარღვევებს პრინციპული შეფასება მიეცეით პარტიის რაიონის პლენუმებსა და ბიუროს სხდომებზე. შევიმუშავეთ და დავამტკიცეთ პროგრამა, რომლის განხორციელებაზე დავაწესეთ კონტროლი. ძირითადად გვაუქმობეს მუშაობა ახალგაზრდა, პერსპექტიული კადრების გამოსავლინებლად, მათ

აღსაზრდელად, დასაწინაურებლად. პრაქტიკაში დავამკვიდრეთ ხელმძღვანელ მუშაკთა საკონკურსო წესით არჩევა. მაგალითად, შარშან ამ წესით ავირჩიეთ ოცამდე მუშაკი, მათ შორის რაიონის მთავარი ექიმი, მისი ორი მოადგილე, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის დირექტორი, პურკომბინატის ტექნიკური ხელმძღვანელი, ოთხი საშუალო სკოლის დირექტორი და სხვები.

— ბატონო გაიოზ, ასეთი წესით არჩეული ყველა მუშაკი ამართლებს თუ არა?

— უმრავლესობა კი, მაგრამ ყველა არა!

— იქნებ დაასახელოთ ისინი.

— მაგალითად, ვერ გაამართლა მონადირეთა და მეთევზეთა რაიონულმა საზოგადოებებმა თავმჯდომარე მ. ზივივაძე. მისი ხელმძღვანელობის არცთუ დიდი ხნის მანძილზე ამ საზოგადოებაში შეიქმნა უკონტროლობისა და მოშველებლობის ატმოსფერო. ამით ისარგებლა კომუნისტმა კ. ჩივაძემ და დიდი კომუნობით დაიტაცა სახელმწიფო ქონება. პარტიის რაიონის ბიურო ამგვარ ფაქტებს მკაცრ შეფასებას აძლევს. პარტიულ და სახელმწიფო დისციპლინის უხეში დარღვევებისათვის პარტიის რიგებიდან გაირიცხა 30-ზე მეტი კაცი, თანამდებობიდან გათავისუფლდა 83 ხელმძღვანელი მუშაკი. თვით პარტიის რაიონის აპარატის თითქმის ნახევარი გადახალისდა.

— 30 კაცის გაირიცხვა პარტიის რიგებიდან და 83 ხელმძღვანელი მუშაკის გათავისუფლება ბევრი ხომ არა ისეთი რაიონისათვის, როგორც მიაკოვსკია?

— შეიძლება ბევრია, მაგრამ სხვაგვარად აღარ შეიძლება. ადამიანებმა უნდა შეიფარონ, რომ დანაშაულისათვის აუცილებლად დისციპლინა.

— პარტიის რაიონი, რაისაბჭოს აღმასკომი რა ღონისძიებებს ატარებენ სოციალური საკითხების მოსაგვარებლად?

— ჩვენ ამ სფეროშიც გვაქვს პროგრამა, რომელსაც თანდათანობით ვახორციელებთ. მიმდინარე ხუთწლიურ აშენდა და მწყობარში ჩაღდა სოციალურ, კულტურულ და საყოფაცხოვრებო დანიშნულების 70-მდე ობიექტი. მათ შორის, სამი ზუსთარა, თულიანის საცხოვრებელი სახლი, შენდება კიდევ ორი, აშენდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა. არც ერთი სოფელი არაა დარჩენილი სკოლამდელ დაწესებულებების გარეშე, მალე საქსპლულატაციოდ გადაეცემა 140-ადგილიანი ზაგაბაღის შენობა ქალაქში. ასევე 190-ადგილიანი საბავშვო ბაღი აშენდა სოფელ ოჩახში. მწყობარში ჩაღდა № 69 პროფტექნიკური სასწავლებლის შენობა თავისი საყოფაცხოვრებო ბლოკით, ახალგაზრდული კლუბი, საზაფხულო კანოთეატრი, ავტოსადგური. რომელი ერთი ჩამოვთვალო. მაგრამ ისე არ გამოვით, თითქოს მიაკოვსკის რაიონში ყველა სოციალური პრობლემა უკვე გადაჭრილია და საფიქრალი აღარაფერი გვექონდეს. ის, რაც მოგახსენეთ, სოციალური პროგრამის განხორციელების პირველ ეტ

აბად მიგვაჩნია. ნაკლოვანებები და გადასაწყვეტი პრობლემები ძალზე ბევრი გვაქვს. ავიღოთ, მაგალითად, „საქკოლმეხმარებლობის“ საირმის 160-ადგილიანი სანატორიუმის მშენებლობა, რომელსაც — საქაგრომშენის“ ზესტაფონის № 14 სამშენებლო ტრესტის მიაკოვსკის № 5 მოძრავ-მექანიზებული კოლონა აშენებს (ტრესტის მმართველი ი. ისაკაძე, კოლონის უფროსი ჯ. ხუდაგიანი), ბოლო ხუთ წელიწადში მათ მიერ აუთვისებელმა თანხამ ერთ მილიონ მანეთს გადააჭარბა.

რაიონის მშრომელები სერიოზულ უკმაყოფილებას გამოთქვამენ მომსახურების სფეროში ჯერ კიდევ არსებულ ნეგატიურ მოვლენებზე, მომსახურების დაბალ კულტურაზე, ფასდაზანებებზე, უქვითრო ვაჭრობაზე, უბილეთო მგზავრობაზე. ვერ იქნა და ვერ დაეამყარეთ წესრიგი კურორტებზე — საირმესა და ზეკარში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შარშანდელ პლენუმებზეც გვისაყვედურებს: ანგარიშგება-არჩევნების კამპანიას უპრინციპოდ ატარებთ, ჯერ კიდევ

სო ორგანიზაციამ ხარალით დამთავრეს სამეურნეო წელი. შარშან რაიონის საზოგადოებრივი მეთვრე ბებს დოტაციის სახით მიეცათ 539 ათასი მანეთი, ხოლო ფაქტობრივად სახით მილიონ 605 ათასი მანეთი.

ეკონომიკურად ასეთი სუსტი საზოგადოებრივი მეურნეობების სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლა ადვილი საქმე როდია. არ შეიძლება, იგი ხელის ერთი მოსმით გავუთდეს. ამიტომაც აგროსამრეწველო გაერთიანებას ძალზე მოქნილი და დამაბული მუშაობა უხდება იმისათვის, რომ სასურველ შედეგებს მიაღწიონ. ეს კი შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ გარდაქმნის გზით.

საზოგადოებრივ მეურნეობებსა და სამრეწველო საწარმოებში რომ წარმატებით დაენერგათ შრომის მეცნიერული ორგანიზაციის პროგრესული ფორმები, მიაკოვსკის რაიონში დახმარების მიზნით დედაქალაქიდან ჯერ კიდევ შარშან გაიგზავნა სპეციალისტები. მათი ახსნა-განმარტებით, რჩევითა და დახმარებით კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სამრეწველო საწარმოებში

საზოგადოებრივი კულტურის სფერო

ვერ. შექმენით პირობები გერგოლიანობისა და პრინციპულობის, დემოკრატიისა და საჯაროობისთვისო. რასაკვირველია, კრიტიკა სამართლიანი იყო და ჩვენ იმ დღიდანვე შევუდექით ამ ნაკლოვანებების გამოსწორებას.

ერთი სიტყვით, საქმე და საზრუნავი ძალზე ბევრი გვაქვს და ისიც ვიცი, ჩვენს გასაკეთებელს სხვა არაფერია გააკეთებლს.

პარტიის რაიონმა და რაისაბჭოს აღმასკომმა მომთხოვნელობისა და ჩამორჩენილობისადმი შეუთვრებლობის ატმოსფერო შექმნეს რაიონში. ისიც აშკარად იგრძნობა, რომ აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭო (თავმჯდომარე რომან მალაქელიძე) საზოგადოებრივ მეურნეობებსა და სამრეწველო საწარმოებს უქმნის ხელშეწყობ პირობებს, რათა თანდათან სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადავიდნენ. სხვაგვარად მუშაობა აღარ შეიძლება, რადგან 1987 წლის სამეურნეო მაჩვენებლებს თუ გადავხედავთ, საკმაოდ არასახარბიელო სურათი იხატება. ცამეტმა კოლმეურნეობამ, ორმა საბჭოთა მეურნეობამ და ორმა სამეურნეობათაშორის

შეიქმნა კოლექტიური, ბრიგადული, საოჯახო, ინდივიდუალური იჯარები, რამაც შემდეგ თავისი დადებითი შედეგები გამოიღო. წინა წელთან შედარებით გაიზარდა ხორცისა და რძის წარმოება, ნამატის მიღება-გამოზარდა. საგრძობლად შემცირდა დანახარჯები პროდუქციის წარმოებაზე. ერთი სიტყვით, პირველი შედეგები კარგია, მაგრამ ეს სულაც არ იმლევა თვითდამშვიდების უფლებას, რადგან ამ შედეგების მიღმა არის სიჩითულები და პრობლემები, რომელთა გაუთვალისწინებლობა შეცდომა იქნებოდა.

ცნობილია, რომ სამეურნეო ანგარიშის ძირითადი პრინციპები მღვთვარეობს საწარმოთა დამოუკიდებლობაში, თვითანაზღაურებასა და თვითდაფინანსებაში. მეურნეობის მიერ გამოიმუშავებული სასხრებით უნდა იფარებოდეს ყველა მიმდინარე ხარჯები, მათ შორის შრომის ანაზღაურებაც. ამის მიღწევა კი იოლი საქმე არაა. მაგალითად, წითელხევის რუსთაველის სახელობის და მიაკოვსკის ლენინის სახელობის კოლმეურნეობებსა (თავმჯდომარეები გ. მალაქე-



ლიძე და ა. კიკნაველიძე) მალე აუ-
ღის ალღო ახალ ვითარებას. მეურ-
ნეობის ახლებურად გაძლიერების გზით
მათ უკვე მიაღწიეს ეკონომიკის ის-
ეთ განმტკიცებას, რომ უარი თქვას
სახელმწიფო სესხზე, დოტაციასა და
ფასდანიშნულზე. მაგრამ ყველა მეურ-
ნეობას და კოლმეურნეობას არა აქვს
თვითდაფინანსებაზე გადასვლის მს-
ონომიკური საფუძველი, რადგან ფი-
ნანსური მდგომარეობა ჯერჯერობით
არ იძლევა ამის საშუალებას.

რაიონის სოფლების 50 პროცენტი
მაღალმთიან ზონაში მდებარეობს
და მწვევედ განიცდის სახნავ-სათესი
მიწის სიმცირეს, ხოლო რაც აქვთ,
მისი დამუშავება ძვირი უჭდებათ.
მაგალითად, თუ ბარის ზონაში ერთ
ჰექტარზე ძირითადი კულტურების
მიხედვით საშუალოდ 524 მანეთი ეხ-
არებათ, მთის ზონაში ასეთივე და-
ნახარჯები 1049 მანეთს შეადგენს.
ასევე მეცხოველეობის პროდუქტების
წარმოება 166 მანეთით უფრო ძვი-
რი უჭდებათ ბარის ზონასთან შედ-
არებით. ეს კი იმითაა გამოწვეული,
რომ მთის ზონაში სამუშაოები ძირი-
თადად ხელით სრულდება. მაგრამ,
ამ შემთხვევაში, მიზეზი შედგის ვერ

ამართლებს. ამიტომ ახლა ასე დგას
საკითხი: კოლმეურნეობა, რომელიც
თავის თავს ვერ შეინახავს, შეწყ-
ვეტს არსებობას.

— ასეთ შემთხვევაში რა ელოდე-
ბა თქვენ რაიონის იმ მეურნეო-
ბებს, რომლებიც მთის ზონაშია გან-
ლაგებული და ეკონომიკურად სუსტ-
ნი არიან? — ვკითხეთ აგროსამრეწ-
ველო გაერთიანების თავმჯდომარეს
რომან მაღლაკელიძეს.

— ერთადერთი გზა არსებობს —
ფართოდ დაინერგოს ინდივიდუალუ-
რი და საოჯახო არენდული იჯარის
ფორმები, გასაქანი მიეცეს კოლმე-
ურთავეების ჩამოყალიბებას; ოღონდ
პროდუქციის მწარმოებელ კოლმეურ-
ნებს და არა ისეთებს, რომლებიც
სოფლის მეურნეობის პროდუქტებს
მაღაზიებში ან ბაზრებზე ყიდულო-
ბენ, მერე კი უფრო ძვირად ყიდიან.
ერთი სიტყვით, კოლმეურთავეების გან-
ვითარებამ სოფლის მეურნეობის პრო-
დუქტების გააფხვებას უნდა შეუწყოს
ხელი და არა — პირიქით. ამიტომ
იჯარის ფორმების დანერგვა მთის
ზონის ყველაზე სუსტ კოლმეურნე-
ობებში დაიწყეთ. ასე რომ, მთის
ზონის მეურნეობებს ძალზე კარგად

მოერგო ინდივიდუალური და საოჯა-
ხო იჯარის ფორმები.

— ეგ მთის ზონაში, ბარში?

— ამ ფორმებს ბარშიც ვიყენებთ.
ვარდა ამისა, ჩვენ ძალზე საიმედოდ
გაქვსახება ინტენსიური ტექნოლოგი-
ის დანერგვა. გამოანგარიშებულია,
რომ ამ გზით მკვეთრად გაიზრდება
საპექტარო მოსავლიანობა, ამასთან,
დანახარჯები ყოველ ჰექტარზე თი-
თქმის 150 მანეთით შემცირდება. სა-
პოლოო ჯამში მთელ რაიონში დანა-
ხარჯები მილიონ 753 ათას მანეთამ-
დე შემცირდება, ხოლო პროდუქცი-
ის წარმოება 9.300 ცენტრით გაი-
ზრდება.

...შემდეგ რომან მაღლაკელიძე
გვიყვება, როგორ სცადეს პირველად
სამარცხელ და სასილოსე სიმინდის
მოყვანა ინტენსიური ტექნოლოგიით
ვარციხის საბჭოთა მეურნეობაში. ექ-
სპერიმენტს გაუმართლებია, წელს კი
ინტენსიური ტექნოლოგია სხვა მე-
ურნეობებშიც დაუნერგავთ.

ვარციხის მეურნეობა ამ რამდენი-
მე წლის წინათ ერთ-ერთი ყველაზე
ჩამორჩენილი მეურნეობა ყოფილა
რაიონში. მაგრამ როგორც კი ახლე-
ბურად მართვას მოკიდეს ხელი, ეშ-

ველა; თურმე, მოშლილ შრომის ორ-
განიზაციას, ნელ-ნელა გამოსწორდა
ჩამორჩენილი დარგი, საგრძობლად
გაზრდილა პროდუქციის წარმოება
და შემცირებულა დანახარჯები. ამ-
ჰიგად, დებიტორიული დავალიანება
55 ათასი მანეთით შემცირებიათ.

„მაინც, გაკეთებული უფრო მეტია
თუ განაკეთებელი?“ — ვეკითხებო-
დი საკუთარ თავს უკან დაბრუნები-
სას.

მეხსიერებაში ამომიტივტივდა პარ-
ტიის მაიაკოვსკის რაიკომის პირვე-
ლი მდივნის გაიოზ ნოზაძის სიტყ-
ვები: „მაგრამ ისე არ მინდა გაში-
გოთ, თითქოს მაიაკოვსკის რაიონში
ყველა პრობლემა გადაჭრილია და
საფიქრალი აღარაფერი გვექონდეს.
ნაკლოვანებები და გადასაწყვეტი
პრობლემა ძალზე ბევრი გვაქვს.
ჩვენს რაიონში გარდაქმნა მხოლოდ
დაწყებულია, მას თანმიმდევრულად
უნდა განხორციელდეს...“

ასე რომ, მაიაკოვსკელები თვითო-
ნაც კარგად ამჩნევენ ნაკლს და იცი-
ან, რა აქვთ გასაკეთებელი, როგორ
წარმართონ მუშაობა. ეს კი წარმა-
ტების საწინდარია.



დღისგამომცემი
1988 წლის
ნოემბერი

„ჩარსუენაული“

ეკონომიკური რეფორმა

მიმდინარე წლის იანვრიდან თბილისის ჩარსუენაული საწარმოო გაერთიანება სრული სამეურნეო ანგარიშის პირობებში მუშაობს, რაც სამი ძირითადი პრინციპის — თვითანაზღაურების, თვითდაფინანსების და თვითმმართველობის გატარებას გულისხმობს.

დღეისათვის გაერთიანება უშუალოდ მსოფლიო სტანდარტის დონის სახარატო უნივერსალურ, მიღღამამუშავებელ და პროგრამული მართვის ჩარხებს, რომლებიც დიდი მოთხოვნით სარგებლობენ როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

გულახდილად უნდა ითქვას, რომ გაერთიანება თავისი მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო მოუშადებელი შეხვდა სრული სამეურნეო ანგარიშის პირობებში მუშაობას. სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა წენორმატიულმა ნაშთმა 1988 წლის პირველი იანვრისათვის 11.400 ათასი მანეთი, ხოლო ბანკისადმი დავალიანებამ 15.846 ათასი მანეთი შეადგინა. ყოველივე ამას ემატება ისიც, რომ შარშან მიწოდების გეგმის შეუსრულებლობისათვის ჯარიმის სახით წელს მიღებული მოგებიდან დაახლოებით 650 ათასი მანეთი გადავიხადეთ.

მეურნეობრიობის ახალ პირობებში მუშაობისას საწარმოებს უშუალოდ ზემდგომი ორგანოებიდან დამტკიცებადი ეკონომიკურ მაჩვენებელთა რაოდენობა. ჩვენი გაერთიანების მაგალითზე მან ასეთი სახე მიიღო: სამრეწველო პროდუქციის წარმოება სახელმწიფოებო ვალდებულებების შესრულების გათვალისწინებით; შრომის ნაყოფიერების ზრდა; ხელფასის ფონდის ზრდის ნორმატივი პროდუქციის მოცულობის ზრდის ყოველ პროცენტზე; მოგება; სახელმწიფო შეკვეთა ძირითადი ნომენკლატურისა და მისი მოცულობის განსაზღვრით; ეკონომიკური ნორმატივები — მოგების განაწილების, საშუალო ხელფასისა და შრომის ნაყოფიერების თანაფარდობის შესახებ.

ყველა დანარჩენი მაჩვენებელი (ნორმატიული წმინდა პროდუქცია, თვითღირებულება, მომუშავეთა რაოდენობა, ხარისხისნიშნები პროდუქცია და ა. შ.) გაანგარიშებულ მაჩვენებელთა რიგში გადავიდა.

გაერთიანებისათვის პროდუქციის ნომენკლატურისა და მოგების განაწილების განსაზღვრის შემდეგ თითოეული საამქროსათვის არსებული მეთოდების საფუძველზე დადგინდა საგეგმო დავალებანი შემდეგი ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით:

- სამრეწველო პროდუქციის წარმოება ნორმა-სათებში;
- ნორმატიული წმინდა პროდუქცია ათას მანეთებში;
- ლითონმშრელი ჩარხების დამზადება მანქანაკომპლექტებში;
- მოგება;
- ხელფასის ფონდის ზრდის ნორმატივი მოცულობის ზრდის ყოველ პროცენტზე.

გაერთიანების არაკონტრაქტული წესით განაწილებული ერთიანი მატერიალური წახალისების ფონდის დადგენის შემდეგ მოვალდინეთ მისი განაწილება საამქროების მიხედვით. საამქროებს საგეგმო დავალებები ეძლევათ კვარტალური დაყოფით, ხოლო კვარტალური დავალებები დაყოფილია თვეების მიხედვით და დამტკიცებულია გენერალური დირექტორის მიერ. ბრიგადებამდე მათი დაყვანა მტკიცდება საამქროს უფროსის მიერ. საამქროებისაგან განსხვავებით, ბრიგადებს ნორმატიული წმინდა პროდუქცია არ ეგეგმებათ, მუშებს კი განესაზღვრებათ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობისა და ნომენკლატურის დავალება მანქანაკომპლექტებში.

გეგმის ფორმირების შემდეგ ხდება მატერიალური რესურსების გაანგარიშება, გამოყოფა იმ რესურსების მოცულობა, რომელიც საჭიროა მოცემული დავალების შესასრულებლად. გარდა ძირითადი მასალებისა, პროგრამაზე გაინგარიშება საზე-

თი და საპოხი მასალები, სათბობი და ენერგია, ინსტრუმენტები და დამხმარე მოწყობილობა, სპეცტანსაცემელი თითოეული საამქროსათვის გადაყვანილია ფულად გამოსახულებაში.

აგრეთვე შემუშავებული და დამტკიცებულია დებულება, რომლითაც გათვალისწინებულია ეკონომიის შემთხვევაში მატერიალური რესურსების განაწილება. მაგალითად, საზეთი და საპოხი მასალების, ინსტრუმენტებისა და დამხმარე მოწყობილობების ეკონომიის შემთხვევაში მისი ღირებულების 50 პროცენტი რჩება საამქროს განკარგულებაში, სათბობისა და ენერგიის ეკონომიის შემთხვევაში კი 70 პროცენტი.

გარდა მატერიალური რესურსებისა, საამქროსათვის განსაზღვრული გეგმა უზრუნველყოფილია ძირითადი და დამატებითი ხელფასით, პრემიით ძირითადი ხელფასის ფონდიდან, მატერიალური წახალისების ფონდიდან. ძირითადი და დამატებითი ხელფასის განსაზღვრის ადრე მოქმედი მეთოდისა შეიცვალა ახალი დებულებით, რომელიც სრულიად განსხვავებულია ძველისაგან. ადრე პრემიის ფონდი განისაზღვრებოდა ძირითადი ხელფასის ფონდის 30-35 პროცენტის ოდენობით, იმ შემთხვევაში თუ შესრულებულია გამომუშავების ტექნიკურ-ეკონომიკური ნორმები.

ახლა პრემიის განაწილება შემდეგნაირად ხდება: 25 პროცენტი ნაწილდება მიწოდების გეგმის შესრულებისათვის, 10 პროცენტი პროდუქციის ხარისხის ამაღლების, ხოლო 5 პროცენტი წარმოების კულტურის დაცვისათვის.

ამ და ზოგიერთი სხვა ღონისძიებების გატარებამ მკვეთრად გაზარდა საწარმოო რგოლების (საამქრო, ბრიგადა) უფლება-მოვალეობანი. სრულიად შეიცვალა საამქროს ხელმძღვანელებისა და მუშათა დამოკიდებულება წარმოებისადმი, დაიწყო გარდაქმნა მათ ფსიქიკაში. ინჟინრული აზროვნების გვერდით ფეხს იკიდებს ეკონომიკური მიდგომა საწარმოო გეგმების განხილვისა და გადაწყვეტილებების მიღებისას.

სამეურნეო ანგარიშზე გადასულ ყოველ ბრიგადას მიმდგრებული ჰყავს ეკონომისტი და ახალგაზრდა სპეციალისტი, ინჟინერ-ტექნოლოგი. ისინი, ისევე როგორც საამქროს უფროსები, მათი მოადგილეები და ბრიგადირები სამთვინი სწავლების კურსს გადიან ჩვენი გაერთიანების ბაზაზე არსებულ კვალიფიკაციის ახალგაზრდა ინსტიტუტში. ისინი მუშებს მართო ცოდნას კი არ გადასცემენ, არამედ პრაქტიკულადაც ეხმარებიან ეკონომიკური და ხანძინრო საკითხების დაუფლებაში.

ყოველივე ეს იმას როდი ნიშნავს, რომ შიდასამეურნეო ანგარიშის დაწესება და გაერთიანების სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლა, ყოველგვარი პრობლემების გარეშე მიმდინარეობდეს. არა, გადასაწყვეტი პრობლემები სასურველზე მეტია და მუშაობის მსვლელობაში ვცდილობთ მათ დაძლევას. შევჩერდებოდი ზოგიერთ მათგანზე. მაგალითად, დებულებით (შიდა სამეურნეო ანგარიშის შესახებ) განსაზღვრულია, რომ ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შესრულების შემთხვევაში, საამქროს (ბრიგადის) უნდა გამოეყოს მოგების გარკვეული ნაწილი საერთო საწარმოო მოგებიდან.

დღეისათვის გაერთიანებაში სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საამქროებიდან (ბრიგადებიდან) ყველა ვერ შეასრულა საწარმოო გეგმები, მაგრამ მოწინავეებზე ფაქტიურად მოგების (მათი კუთვნილი ნაწილის) გაცემა ვერ მოვახერხეთ იმ „უბრალო“ მიზეზის გამო, რომ თვით საწარმოო გაერთიანებამ მოგების გეგმა ვერ შეასრულა და ეკონომიკური სტიმულირების ფონდების შესაქმნელად არც ერთი მანეთი არ ყოფილა დარიცხული, ე. ი. მოხდა ისე, რომ საერთო ფინანსური მდგომარეობის გამო საამქროს, ბრიგადამ ვერ მიიღო კუთვნილი მოგება. ამიტომ იძულებული გავხდით, გავეხსნა სპეციალური ანგარიში ცენტრალურ ბუღალტერიაში ყველა საამქროზე (ბრიგადაზე) და მოგვეხდინა ამ თანხების რეგულირება შემდგომში, წლის ბოლომდე განადგობით.

ერთ-ერთი მტკივნეული პრობლემა ისიც არის, რომ საწარმოო საამქროების უმრავლესობას არა აქვს ცალკეული შენობა-ნაგებობანი: ერთ საწარმოო კორპუსში მოთავსებულია რამდენიმე საამქრო, ყოველივე ამან გართულა სათბობის, ელექტროენერგიის, წყლისა და შეკუმშული ჰაერის ხარჯის აღრიცხვა. იმის გამო, რომ ტექნიკურად ძნელი გადასაწყვეტია ყველა საამქროში (მათ უმეტეს ბრიგადებში) მრიცხველების დამონტაჟება-დაყენება, დღეისათვის პრაქტიკულად შეუძლებელია ზუსტად განისაზღვროს მათი დანახარჯები.

დაბოლოს, შიდასამეურნეო ანგარიშის დაწესება ყველა სამუშაო უბანზე მჭიდროდა დაკავშირებული ადამიანის ფაქტორთან, მისი ფსიქოლოგიის გარდაქმნასთან, ხელფასის ღონისძიება და მატერიალური წახალისების სისტემის სრულყოფასთან.

გენო შარბიძე,

ჩარსსამშენებლო საწარმოო გაერთიანების საბავშო-ეკონომიკური განყოფილების უფროსი.



„ცოცხალთ მოვუხმობ,
მკვდართ დავტირი...“
ფ. შილერი

ეს უკვე მრავალი წელია გრძელდება. გარკვეულ საათებში — დილით, შუადღისას, საღამოთი, ჩვეულებრივ ზარების წკრიალი ეფინება თბილისს. მათი ხმა მრავალსაზოგადოებრივი და მრავალფეროვანი. მძიმე, დიდებულ შემოკრას საშუალო ცვლის, შემდეგ კი მათ უერთდება მომცრო ზარების წკრიალი. ეს თავს გვახსენებენ ქართული სიმღერის ის წმინდა ძეგლები, რომლებსაც სახელმწიფო იცავს: სიონი, ქაშვეთი, მამადავითი, სხვა ეკლესიები. ისინი არავის არ უშლიან ხელს, პირიქით, მოაგონებენ, რომ არ შეიძლება დაივიწყო ისტორია, რომ სასოებით უნდა სცემდე პატივს იმათ ხსოვნას, ვინც ამ ცხოვრებიდან წავიდა, რომ საღმრთოდ უნდა დაედო მოყვასს, შეუმსუბუქო ტანჯვა, იმედი შეეცქეროდე მომავალს... საიდუმლო ძალა ზარების რეკვაში. ყური მიუგდეთ მათ და დაინახეთ, რომ ნაღველს შეცვლის ყოფიერების სიხარული, წყაროსავით რომ მოჩქევს. ყური მიუგდეთ! ზარების რეკვა ვერ

შეაჩერებს ჩვენს ცხოვრებას, რევოლუციურ წინსვლას.

საქართველოში, ისევე როგორც აღმოსავლეთის სხვა ქრისტიანულ ქვეყნებში, სამრეკლოების გაჩენასა და გავრცელებას შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრების მკვლევარები მიაკუთვნებენ მეცამეტე საუკუნეს. მაგრამ გიორგი ჩუბინაშვილი ამტკიცებდა, რომ ისინი უნდა აშენებულიყო ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში, ნიკო მარი კი ასახელებდა კიდევ მონასტერს, სადაც მისი ვარაუდით იყო სამრეკლო. ეს არის ხანძითი მონასტერი კლარჯეთში. იგი ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა.

ხალხის ცხოვრების რა მოვლენები არ აღუნიშნავთ ძველად წკრიალა და მოგუგუნე ქართულ ზარებს! ქართული სამრეკლოები გამოირჩევიან თავისებური არქიტექტურული გადაწყვეტებით, რაც შთაგონებულია ეკლესიათა გუმბათების ფორმებითა და მორთულობით. საშენი მასალა, მისი დამუშავება, სამრეკლოების მშენებლობაში გამოყენებული ცალკეული კონსტრუქციები იგივეა, რაც გამოიყენება მონუმენტურ არქიტექტურაში. საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული უძველესი სამ-

რეკლოებია გუჯარეთისა, რომელიც დათარიღებულია XIII საუკუნის შუა წლებით, გუჯარეთისა, რომლის წარწერა გვაუწყებს, რომ იგი აშენებულია 1278 წელს. გუჯარეთის სამრეკლო ორიარუსიანია, მას აქვს თაღოვანი გასასვლელი და ოთახი მნათე ბერისათვის. ეს ოთახი ვიწრო სარკმლებით ნათდება, მისი ფასადი ჩუქურთმებითაა დამშვენებული. მე-13-14 საუკუნეების სამრეკლოთაგან ამათ გარდა ცნობილია აგარის, ეკის, საფარის, გელათის ეკლესია-მონასტრების, აგრეთვე ჭითახევის, იშხნის, ზარზმის, ხესტის, შორეთის, ლიკანის, ალვანის, ახალი შუამთის სამრეკლოები. მე-15-16 საუკუნეებში ასევე გამოირჩევა ხობის, ბოლნისის, ფიტარეთის, ურბნისის, არმაზის, სამთავისის, ლელიანის, ანანურის, ზედახნის, ბოჭორმისა და სხვა სამრეკლოები. მეტად საყურადღებოა ნინოწმინდის სამრეკლო — ეს უაღრესად დახვეწილი სტილის დასრულებული ნაწარმოებია. გიორგი ჩუბინაშვილის თქმით, იგი მთლიანი, მკაცრად გააზრებული არქიტექტურული ძეგლია.

ახლა თბილისის სამრეკლოების შესახებ.

პირველი, ვინც აღწერა თბილისის სამრეკლოები, იყო ცნობილი ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი. თბილისში იგი იყო 1673 წელს და თავის წიგნში „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“, წერს, რომ „თბილისში ეკლესიების რიცხვი თოთხმეტამდე აღწევს... ტაძარი, რომელსაც სიონი ეწოდება, მდინარის ნაპირზეა გაშენებული და ნაგებია მშვენიერი თლილი ქვით. იგი უძველესი ნაგებობაა და ჰგავს აღმოსავლეთის ყველა ძველ ეკლესიას, რომელიც ოთხი ნავისაგან შედგება. შუაში ოთხ დიდ ბურჯზე დაყრდნობილი გუმბათია აღმართული, მას ზემოთ კი სამრეკლოა... ეკლესია შიგნით ბერძნული სტილის მხატვრობითაა მორთული...“

შემდეგ შარდენი აგრძელებს: „სიონის შემდეგ მთავარი ეკლესია: თეთრაშენი, რომელიც მარიამ დედოფალს აუგია, და ანჩისხატი (როგორც შარდენი წერს, ანგესკატი)“, სადაც, როგორც ქართველებს მიაჩნიათ, ინახებოდა იესო ქრისტეს სასწაულმოქმედი გამოსახულება.

დაწვრილებით აღწერს შარდენი თბილისის სხვა ეკლესიებსაც.


ანჩისხატის ეკლესია უძველესია თბილისის შემონახულ არქიტექტურულ ძეგლთაგან. შავთელის ძველ, ვიწრო ქუჩაზე დგას მისი აგურის სამრეკ-

ლო.ამავე დროს ის ეკლესიასთან მისასვლელიცაა და ქუჩისა და ეკლესიის ეზოს კუთვნილი ნეთთან აკავშირებს. ამრეკლოს მეორე სართულსა და მესამედსა და მოვლილი საცხოვრებელი სადგომია. სამრეკლოს სახურავი წვეტიანი პირამიდის ფორმისაა. სამრეკლოს კარზე ამოტვიფრული წარწერის თანახმად, იგი აუშენებია დომენტის — ქართლის კათალიკოსს, 1673 წელს. ნაგებობა გამოირჩევა ქართული გვიანდრობის ლური ეპოქის არქიტექტურის ძეგლთა გარკვეული ჯგუფისათვის დამახასიათებელი ნიშნებით. სამრეკლოს კოშკი საკმაოდ ფართოა, რომ ხმა ვრცელდებოდეს არა ჰორიზონტალურად, დაუბრკოლებლად აღწევდეს ზეცას, და საკმაოდ დაბალია, რომ თავის ძალას არ ფანტავდეს, როცა დედამიწისკენ ეშვება. ეს სამრეკლო კოშკის კედელ ერთი ღრუბეა. მისი პირველი იარუსი მთლიანად ცარიელია და შესანიშნავი რეზონატორია.

არქიტექტორებისათვის დიდ ინტერესს წარმოადგენს ერეკლეს მოედნის მახლობლად წმინდა გიორგის ეკლესიის (კარის ეკლესიის) სამრეკლო. იგი დადგმულია ეკლესიის დასავლეთის ფასადის ბოლოში. ფასადებსა და სამრეკლოს აშკარად ატყვიანთ მე-19 საუკუნის კვალი (ეტყობა, მაშინ შეაკეთეს). ეკლესია აშენებულია მონოლოთა მიერ დანგრეული მიქაელ მთავარანგელოზის ძველი ეკლესიის ადგილას. მშენებლობა დაუწყია მეფე როსტომსა და დაუმთავრებია მეფე სვიმონს 1710 წელს. როგორც ჩანს, ეს სამრეკლო აგრეთვე ერთ-ერთი უძველესი იყო თბილისში და ისიც შემდეგ მრავალჯერ გადაკეთებულა.


1795 წელს სპარსელთა შემოსევისას დაინგრა მისი ზედა ნაწილი — სამრეკლო. ხოლო ის სამრეკლო-კოშკი, რომელიც ახლა სამრეკლოს აგვირგვინებს, აშენდა 1939 წელს, სამოცდაათიანი წლების დამლევს კი იგი რესტავრირებულია. სამრეკლო, რომელიც ტაძრის დასავლეთის მხრიდან ქუჩის გადაღმა დგას, აგებულია 1812 წელს. მისი პირველი იარუსი წარმოადგენს თავისებურ ტოსკანურ კოლონადას, მეორე დანაწევრებულია იონურ პილასტრებად. სამრეკლოს არქიტექტურა თბილისში რუსული კლასიციზმის ერთ-ერთი ადრეული მაგალითია.

სიონის სამრეკლოების საპირისპირო მხარეს არის ნორაშენის ცენტრალურ-გუმბათიანი ეკლესია, რომელიც აშენებულია 1793 წელს. მახლობლად XVI საუკუნის ეკლესია ჯვარისმამა. სამრეკლოები ისევე, როგორც თვით ეკლესიები,



ვარძიის ზარები.

ფოტო ბონდო დვალისვილისა



სოფელი უღე ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი.



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები აწყურის კათედრალური ტაძრის აღდგენით სამუშაოებზე.

ღვთის მოწყალების იმედით აღვსილი ყველას გულითადად გილოცავთ კურთხეულ ახალ წელს!

დაე, აკურთხოს ღმერთმა და განამტკიცოს ყოველი ოჯახი, თითოეული თქვენთაგანი.

განსაკუთრებით მინდა დავლოცო სნეულნი და მწუხარებასა შინა მყოფნი. მოგმადლოთ თქვენ ყოვლისშემძლე უფალმა შემწეობა.

ვიცხოვროთ რწმენითა და წრფელი გულით. სიყვარულითა და თანხმობით და ვიქნებით უძლეველნი.

დავით წინასწარმეტყველის სიტყვებით მინდა მოგმართოთ: დაე, „ჩვენი

ვაფები ნერგებივით იზრდებოდნენ. მათ სიჭაბუკეში, ჩვენი ასულნი, ვითარცა ოსტატურად თლილი სვეტები სასახლისა: ჩვენი ბედლები სავსე იყოს ნაირნაირი მოსავლით, ცხვარი ჩვენი ათასობდნენ, ათათასობდნენ ჩვენს სამოვრებზე. ჩვენი ხარები დატვირთულნი იყვნენ. არც ზარალი და არც დანაკლისი და არც გოდება ჩვენს ქუჩებში...“

იყავით ღვთისაგან კურთხეულნი, რათა გიხაროდეთ აწ და მარადის.

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი

ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.



ფოტო ედუარდ გიგილაშვილისა





„მცირე ბორცვზე დიდებული დადგმული უზარმაზარი ოთხკუთხედი
ლოდი თავის ავად შთამბეჭდავა, მაგრამ როცა ადამიანი იხილავს იმ ლო-
დის ერთ მხარეზე ამოკვეთილ ოყმისა და ვეფხვის გამოსახულებას, რომელ-
თაც ერთმანეთისათვის სიცოცხლე მოუსწრაფიათ, ძალაუნებურად მას ისეთი
ფიქრები აეშლება, რაც შესაძლებელია ქართული ბალადის ახლებურ გააზრე-
ბას შეეფერება და მხილველს ეუბნება: აღარ უნდა გაიმართოს ისეთი ბრძო-
ლა, რომელიც ორივე მტოქეს დაღუპავს.

ასე აღუქვამთ ვეფხვისა და მოყმის ამბავი ამერიკელ, ავსტრიელ, ფრანგ
თუ გერმანელ მოქანდაკეებს თუ სხვა პიროვნებებს, ვინც აქ მუშაობდა, ან
ამ მშენებელ წამოწყებას თვალყურს ადევნებდა“... — ეს სიტყვები ჩვენი ერო-
ვნული კულტურის დიდ მოამაგეს, გერმანიისტ ვანტანგ კუპრავას ეკუთვნის.
მას თავისი თვლით უნახავს „ვეფხვისა და მოყმის“ ეს დიდებული სკულპტურ-
ული ნამუშევარი ზაარის, საფრანგეთისა და ლუქსემბურგის საზღვარზე რომ
დგას. მასთან ერთად ყოფილა ქართველი ხალხის დიდი მეგობარი, საქართვე-
ლოსა და ზაარის მხარის დაახლოების წამომწყები და ინიციატორი, ჭეშმე-
რიტი ხელოვანი და ინტერნაციონალისტი ჰერმან ვედეკინდი. ვედეკინდს რო-
ცა ეს ნამუშევარი დაუთვლიერებია, სურვილი გასჩენია, მისი დიდი ზნის
ოცნების განხორციელება — ქალაქ ვადერნში დაიდგას რუსთაველის ქანდა-
კება, — „ვეფხვისა და მოყმის“ ავტორისათვის მიენდო.


ეს მომავლის საქმეა და ალბათ ამ ჩანაფიქრსაც მალე შეესხმება ფრთები...
დღეს კი საქართველოს სსრ დამსახურებულ მხატვარს, სამხატვრო აკა-
დემიის პროფესორ ლევან მხეიძეს ახალგაზრდა მხატვართა აღზრდის კეთილ-
შობილურ მისიასთან ერთად, მრავალმხრივი სამოქმედო ასპარეზი აქვს. ეწე-
ვა აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას, მონაწილეობს რესპუბლიკურ, სა-
კავშირო და საზღვარგარეთ მოწყობილ გამოფენებში, შესრულებული აქვს
მონუმენტური ძეგლები.

მოქანდაკეს არც სამამულო ომის თემა გამორჩენია მხედველობიდან.
ლევან მხეიძის სკულპტურული ნამუშევრები გამოირჩევიან ღრმა შინა-
არსით და ორიგინალური კომპოზიციური გადაწყვეტით. ამიტომაც იმსახურე-
ბენ განსაკუთრებულ ყურადღებას.





ეროვნული
ბიბლიოთეკა



სირიაში



ფოტო მაღსაზ დათესკაშვილისა





1961 წელს პირველად შევხვდნენ მაყვალა ქასრაშვილს, როდესაც ორივენი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტები გახდნენ. მართალია, ის ვოკალურ ფაკულტეტზე სწავლობდა, მე მუსიკათმცოდნეობაზე, მაგრამ არამუსიკალური საგნები ერთად გვიტარებდნენ და, ამდენად, ხშირი ურთიერთობაც გვქონდა ერთმეორესთან, გუშინდელი დღესავით მახსოვს იგი — ჩემი, მოკრძალებული, სავსე მთვარესავით გაშლილი პირისახისა, მაყვალისთვის მავთვალა, დამახასიათებელი აზრიანი, გონიერი გამოხედვით, ყოველთვის ნოტებით ხელში, საქმიანი, მუყაითი, დაუნარელი...

ვისაც კონსერვატორიაში უსწავლია, მისთვის ცნობილია ეგრეთწოდებული სახელდახელო საკლასო მუზიკირება სტუდენტების მონაწილეობით. ბუნებრივია, ასევე იყო ჩვენს კურსზეც. სწორედ აქ მოვუხსმინე პირველად მაყვალას, და შემდგომაც, სწავლის პერიოდში, არაერთხელ დავმტკბარვართ მისი თავანკარა, ულამაზესი ხმით, საოცრად სუფთა ინტონაციით. სიმღერის ფანატიკურად მოყვარული, დიდი ხალისით მღეროდა ნომრებს თავისი სპეციალობიდან, ახლაც მახსოვს მის მიერ უბადლოდ შესრულებული „აფე-მარია“, ნორმას არია (ვინჩენცო ბელინას ოპერიდან „ნორმა“). აკომპანემენტს უმეტესად მე და ჩემი თანაკურსელი ლია ყიფიანი ვუკეთებდით.

ყველასთვის აშკარა იყო მაყვალას განსაკუთრებული მუსიკალური მონაცემები, კარგი მომავალიც, მაგრამ ასეთს, რასაც მან მიაღწია, ვერავინ წარმოვიდგენდით. დიახ, ვერავინ ვიფიქრებდით, რომ ჩვენს შორის ტრიალებდა მომავალში თანამედროვეობის უთვალსაჩინოესი მომღერალი...

სულ რაღაც ოთხ წელიწადში რსფსრ სახალხო არტისტის, პროფესორ ვერა დავიდოვას ხელმძღვანელობით მაყვალამ სენსაციურ წარმატებებს მიაღწია, რაც იმით დაგვირგვინდა, რომ ჯერ კიდევ სტუდენტი მოსკოვის დიდი თეატრის დასში ჩარიცხეს სოლისტად.

ეს ასე მოხდა: მეოთხე კურსს ვამთავრებდით, როცა დიდი თეატრისათვის კარგი ხმების შერჩევის მიზნით მოსკოვიდან სპეციალური კომისია ჩამოვიდა სტუდენტი ვოკალისტების მოსამსენად, შერჩევა-მოსმენა მცირე საკონცერტო დარბაზში შედგა. იმ დღეს განსაკუთრებული სიჩუმე სუფევდა კონსერვატორიაში, რომ იტყვიან, ბუზის გაფრენასაც კი ვაიგონებდით. ყველას ყურადღება დარბაზისკენ იყო მიპყრობილი, ყველას აინტერესებდა, ვის შეარჩევდნენ, ვინ იქნებოდა ის ბედნიერი... და აი, კომისიამ ერთხმად მოიწონა მაყვალა ქასრაშვილი. აქედან დაიწყო მისი დიდებისაკენ სავალი გზა, გზა, რომელიც დღესაც გრძელდება.

დიდი თეატრის დასში მომღერლის მიწვევა ყველაზე დიდი დაფასება და აღიარებაა. ეს რჩეულთა შორის მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ქართველი მომღერლები ყოველთვის ამშვენებდნენ დიდ თეატრის სცენას. აქ სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ დავით ანდლულაძე და სერგო გოცირიძე, დიმიტრი მჭედლიძე და დავით ბადრიძე, დავით გამრეკელი, ზურაბ ანჯაფარიძე... რაც შეეხება ქართველ მომღერალ ქალებს, პირველად მაყვალას ხვდა წილად ეს ბედნიერება.

სამოციან წლებს უკავშირდება მაყვალას მონაწილეობა შემოქმედებით პაეტიკობებში, სადაც დიდ წარმატებებს აღწევს. ამიერკავკასიის ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსში პირველი პრემია, 1968 წელს სოფიის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IX საერთაშორისო ფესტივალზე ვერცხლის მედალი, 1973 წელს მონრეალში ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსზე მეორე პრემია... სწორედ აქედან დაიწყო მისი საყოველთაო აღიარება, მისი ხელოვნების დიდი დაფასება.

ბევრი საქმეაბარი სიტყვა ითქვა ქართველი მომღერლის მისამართით საბჭოთა თუ უცხოეთის პრესაში: „ქასრაშვილი — თანამედროვეობის უთვალსაჩინოესი მომღერალი“, „ქასრაშვილი — უმაღლესი რანგის ვოკალისტი“, „ქასრაშვილი — საოპერო ვარსკვლავი...“

დიდი თეატრის სწავლა

დღეს მაყვალა ქასრაშვილი დიდი თეატრის წამყვანი სოლისტია, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი. მან ოცამდე საოპერო პარტია განასახიერა. განსაკუთრებული წარმატება ხვდა მის დეზდემონას (ჯუზეპე ვერდის „ოტელო“) და ტატიანას (პეტრე ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“), აიდას (ჯ. ვერდის „აიდა“, ვიოლეტას (ჯ. ვერდის „ტრავიატა“), თამარს (ოთარ თავთაქიშვილის „მთვარის მონაცევა“)...

და მაინც, განსაკუთრებულია ქასრაშვილი — დეზდემონა. სოტკილავს ოტელოსთან ერთად მან შექსპირის გმირის ჭეშმარიტად ადექვატური მუსიკალური პორტრეტი გამოძერწა, რის გამოც ყოველი სპექტაკლი ხელოვნების ნამდვილი დღესასწაულია, ტრიუმფია.

მაყვალა ქასრაშვილი ფართო კამერულ შემსრულებლობასაც ეწევა. ერთნაირი მომხიბლობითა და ოსტატობით ასრულებს შუბერტისა და ჩაიკოვსკის, მუსორგსკის, დე ფალიას, გერშვინის, თავთაქიშვილის, მაჭავარიანისა და სხვათა რომანსებსა და სიმღერებს, ვოკალურ ციკლებს. მაყვალა ჩინებულად გრძნობს ავტორთა სტილს, წერის მანერას, ეროვნულ სულს, გულწრფელად გადმოსცემს ნაწარმოებთა თავისთავადობას, განუმეორებლობას, ეროვნულ სურნელებას... დიახ, სურნელებას, რომელსაც ასე ხარბად ეწაფება მომღერალი და მსმენელსაც უწილადებს ხოლმე. მის ხელოვნებასთან შეხვედრა თავისებური დღესასწაულია არა მარტო აქ, მის სამშობლოში, არამედ უცხოეთშიც. მან ტრიუმფით მოიარა იტალია და ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, ამერიკა...

დიახ, დღეს მაყვალა ქასრაშვილი საყოველთაოდ აღიარებული მომღერალია, ესტრა-კლასის ვოკალისტი. იგი საუკეთესო შემოქმედებითი აყვავების ხანაშია, მისი ჭეშმარიტი, დიდი ხელოვნება კვლავაც ბევრ სიხარულს გვპირდება.

ეთერ ლონდარიძე


ამჟამად არ მოქმედებენ. თბილისის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძველი ძეგლი იყო მეტეხის ღვთისმშობლის ტაძარი, რომელსაც ჩვეულებრივად მეტეხი ეწოდება. აქაც ყოფილა სამრეკლო, ამასთან ერთ-ერთი უძველესი საქართველოში. მაგრამ განვარძოთ საუბარი

სამრეკლოების შესახებ. ქაშვეთი. ულამაზესი ნაგებობა, ეკლესიის თანამედროვე შენობაა. აგებულია 1904-1910 წლებში ძველი ქართული სამთავისის ტაძრის ნიმუშის მიხედვით. ამ ეკლესიის სამრეკლო გამოირჩევა თავისებური არქიტექტურული გადაწყვეტით, ფორმითა და მორთულობის ელემენტებით. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ იგი მრავალგზის გადაკეთებულა... რა შეიძლება სჯობდეს ეკლესიათა ზარების რეკვას — მას იყენებდნენ თავიანთ ნაწარმოებებში კომპოზიტორები, უძღვნიდნენ ლექსებს და პოემებსაც კი, როგორც არის, მაგალითად, შილერის გენია-

ლური „სიმღერა ზარზე“. დღესაც მოგვესმის ზარის ხმა თბილისის, მთელი საქართველოს ეკლესიებიდან და ტაძრებიდან, იგი ადამიანებს მოაგონებს, რომ სიცოცხლე უსასრულოა და რომ ამ ქვეყნად მშვიდობიანად და მეგობრულად უნდა ვიცხოვროთ.

დავით რამიშვილი

ჯიხვეუბი ენგურკულაზე კვლევიან



ზარმა დარეკა.
ავდექი, კარები გავალე და... სახტად
დავრჩი:
— ბერნდ, შენ?! საიდან, როგორ?
ბერნდმა თითი ზემოთ აიშვირა, საიდან
და ზეციდანო, მერე ორივე ხელი მომ-
ხვია და მაგრად ჩამიკრა. მის უკან ჩემ-
თვის უცნობი მამაკაცი ილიმოდა. ორთა-
ვეს ვეებერთელა ზურგჩანთები ჰქონდათ
წამოკიდებული და რკინით მოჭედილი
ალბინისტური ფეხსაცმელები ეცვათ.
— შემოდით, შემოდით! თქვენ რა, გე-
რმანიიდან ჩამოხვედით თუ უკვე უშბი-
დან ბრუნდებით? — ვკითხე, როცა სტუ-
მრებმა ჰოლში შემოაბიჯეს და ბარგის
მოხსნას შეუდგნენ.
— გერმანიიდან. სვანეთში ხელ ვა-
პირებთ, დილით, — თქვა ბერნდმა. —
ეს ჩემი ამხანაგია, კარლ-ჰაინც შტეინ-
ბრეჰერი. უბრალოდ ესტე შევიძლია და-
უძახო.
— ძალიან სასიამოვნოა, — ჩამოვარ-
თვი ხელი წვრილულვაშებიან ცისფერ-
თვალემა ვაყუაცეს, — კი მაგრამ, რატომ
არ შემატყობინე ჩამოსვლის დღე, შინ
რომ არ დაგხვედროდი?
— წერილი არ მიიღე? — გაუკვირდა
ბერნდს.
— შე კაი კაცო, ორი თვის წინათ მი-
ღებულ წერილს ვენდობოდი? ეგებ შეი-
ცვალა რამე.
— რატომ არ ენდობოდი! მოგწერე,
ოცში ვიქნები, მანდ-მეთქი. ჰოდა, დღეს
ოცია.
მივხვდი, რომ ჩავიჭერი: მე ორი დღით
ადრე დაგვამილს ვერ ვასრულებ ასე ზუ-
სტად, ეს კი!.. რას იზამ, გერმანელია.
ბერნდ კიუნცლერი ჩემი ძველი ნაცნო-
ბია, ჩვენ სვანეთში გავიცანით ერთმანე-
თი: მე მაშინ ფილმის გადამღებ ჯგუფს
ვახლდი უშგულში, ის თავის საქმეზე იყო

ჩამოსული — მწვერვალზე „ხეტილო-
ბლა“. კარლ-მარქს-შტატიდანაა, გერმანი-
საბჭოთა კავშირის ერთობლივ სამშენებ-
ლო ორგანიზაციაში მუშაობს. მისი მუშაობის
ით ინჟინერია, მაგრამ ალბინიზმი და სხვა
ვარს, მგონი თავის ძირითად პროფესიაზე
მეტადაც. ალბინიზმის ასეთივე „პროფე-
სიონალი“ აღმოჩნდა მისი მეგობარი შტა-
ინბრეჰერიც, ისიც ინჟინერ-მშენებელი,
ოლონდ ქალაქ გერადან.
— საიუბილეო ასვლა გვაქვს უშბაზე,
— თქვა ბერნდმა, როცა სახელდახელო
საუზმეს მივუსხედით.
— ვის იუბილეს აღნიშნავთ? — ვერ
მივხვდი, რას გულისხმობდა სტუმარი.
— სამწუხაროა, რომ არ იცი: ზუსტად
100 წლის წინათ ადამიანმა პირველად შე-
დგა ფენი უშბის მწვერვალზე!
— ჰოო?... თუმცა, ვიცოდი, მაგრამ და-
მავეწყდა.
— იმიტომ დავაგვიწყდა, რომ არაფრად
ავღებ ამ ფაქტს, არადა ყოველნაირი მწვე-
რვალის აღება ღირს, შესანიშნავი მოვლე-
ნაა ადამიანთათვის... თუმცა, შენ ალბათ
ის უფრო დაგაინტერესებს, მე რომ ჩამო-
გიტანე...
ბერნდი ადგა, ჰოლში გავიდა და, რო-
ცა დაბრუნდა, მაგიდაზე რაღაც ქაღალდი
დამიდო:
— ინებე და დატკბი!
ქაღალდი ქსეროქსზე გადაღებულ ასლს
წარმოადგენდა. ავიღე, დიდხანს ვათვალი-
ერე, დიდხანს ვიკითხე და... გულიანად
გადავიხარხარე:
— მაშ, მართალი ყოფილა ის ამბავი!
მე კი მეგონა... სად იპოვე?
— მიუნჰენში, ალბინიზმის მუზეუმში.
ამის დედანი „ალბინიზმი და პერეტი“
ინახება. არის ასეთი ბიბლიოთეკა. ხომ
შეგპირდი შარშან, ვიპოვნი-მეთქი, ჰოდა,
აი, ჩამოგიტანე.
ასე გავხვდი მე ამ უნიკალური დოკუ-
მენტის ერთადერთი მფლობელი საქარ-
თველოში, დოკუმენტისა, რომელიც გვა-
უწყებს, რომ ჩვენი დადებული მწვერვა-
ლი უშბა თურმე... ქართველებს არ გვე-
კუთვნის, ის გახლავთ ერთი ვინმე გერ-
მანელი მანდილოსნის ცენძი ფონ ფიქ-
რის პირადი საკუთრება.
ეს მომხდარა 1903 წლის 25 ივლისს.
თუმცა უმჯობესია თავიდან დავიწყოთ.
უშბა, როგორც „ალბინისტური ობი-
ექტი“, ევროპელებმა ფაქტიურად XIX
საუკუნის სამოციან წლებში „აღმოაჩი-
ნეს“. 1868 წელს ჩვენში მოგზაურობდა
იმ დროს დიდად ცნობილი გეოგრაფი და
ალბინისტი დუგლას ვილიამ ფრეშფილ-
დი. მას, ისე როგორც რამდენიმე სხვა უც-
ხოელ მთამსვლელს, უკვე დალაშქრული
ჰქონდა იალბუზი, მყინვარწვერი და ახ-
ლა უშბას მიადგა. მიადგა და, მისი დამ-
ნახველი, მონუსხულივით გაქვავდა, ამ
აუწერელ დიდებულებას თვალი ვერ მო-
წყვიტა. ჯერ ხომ მისმა უჩვეულობამ გა-
აოგნა — ორთავამ, ზვიადმა, მრისხანემ,
კლდოვანმა, მერე აქედან მოსინჯა, იქი-
დან მოუარა. მის მწვერვალზე ასასვლე-
ლი გზა ვერ იქნა და ვერ გამოჩანა. ადგა
და ახლომდებარე გულბას მწვერვალზე
ავიდა, ეგებ აქედან განვსაზღვრო, რომე-
ლი მხრიდან შეიძლება უშბის დალაშქ-
ვრაო. ვერც აქედან იპოვნა გზა.
რას იზამდა. დაბრუნდა ინგლისში და-
ღერემილი, მაგრამ აღტაცებულიც „სვა-
ნური საოცრების“ ხილვით. იქ კი დაწე-
რა: უშბისნაირი რამ მე ჯერ არაფერი მი-

ნახავსო, ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, ამ მწვერვალის დაპყრობა საერთოდ შეუძლებელიაო; ალაგ-ალაგ 2.000 მეტრის სიმაღლის აბსოლუტურად ვერტიკალური კედლები ადის ღრუბლებში.

ფრეშვილის ასეთმა აღფრთოვანებამ მთელი ალპინისტური ევროპა ააფორიაქა, მითუმეტეს, რომ მაშინ იქ მთამსვლელობა აღმავლობას განიცდიდა და ყველა ეძებდა ახალ-ახალ მწვერვლებს დასალაშქრავად. უშაბზე ასევე არაერთმა სახელოვანმა თუ ახალბედმა მთამსვლელობა სცადა, მაგრამ ამ მრავალთაგან მხოლოდ სახელგანთქმულ ინგლისელ ალპინისტ კოკინს გაუმართლა და ისიც ოცი წლის შემდეგ: შვეიცარიელი გამყოლების ული აღმერისა და ქრისტიან რუდის დახმარებით 1888 წლის აგვისტოს მიწურულში ის უშაბზე ავიდა.

უშაბ ფაქტურად მაინც დაუპყრობელი დარჩა. საქმე იმაშია, რომ მას, როგორც ყველამ ვიცით, ორი მწვერვალი აქვს: ჩრდილოეთი მწვერვალი, რომლის სიმაღლეა 4.695 მეტრი და სამხრეთი მწვერვალი — 4710 მეტრი. ოღონდ აქ საქმე მხოლოდ ამ 15-მეტრიან სხვაობაში არ არის — ითვლება, რომ ჩრდილოეთი მწვერვალი უფრო იოლი დასაძლევია, ვიდრე სამხრეთი, თუკი იოლი გზა შეიძლება ეწოდოს თუნდაც ამ ორ მწვერვალს შორის არსებულ უნაგირისკენ დაქანებულ ციკაბო მყინვარს.

ასე იყო თუ ისე, ამის შემდეგ უშბის სამხრეთი მწვერვალი კიდევ თხუთმეტ წელიწადს რჩებოდა „ფენდაუდგმელად“, მაგრამ არა იმიტომ, რომ მას აღარავინ ეტანებოდა. პირიქით — ყოველ წელიწადს ორი თუ არა, ერთი ექსპედიცია მაინც ცდილობდა ამ „მოჯადოებულ“ მწვერვალის დალაშქვას. საიდან არ ჩამოდიოდნენ მთამსვლელები: ავსტრიიდან ინგლისიდან, გერმანიიდან, შვეიცარიიდან. მაგრამ ყველა — უნაყოფოდ! ზოგიერთი ბედგატრუებული უშბას ჯაერს კავკასიონის სხვა მწვერვალებზე იყრიდა — იალბუზზე, მყინვარწვერზე, შხარაზე, ჯანგიტაზე, თეთნულდზე, აილამაზე. უშაბი კი იდგა და იდგა — მიმზიდველი, მაგრამ უკარება, საოცნებო, არა ერთი და ორი ვაჟაკი დაიღუბა მის ციკაბოებზე.

მთამსვლელები კი სულ უფრო მეტად მძვინვარებდნენ: რა გახდა ეს უშაბი, დედამიწას მოწყვეტილი ხომ არ არის, რომ ვერ ავიდეთო! საქმე იქამდე მივიდა, რომ 1900 წელს ავსტრიის ქალაქ ვენაში საგანგებო საზოგადოებაც კი შეიქმნა, რომელმაც მიზნად დაისახა გაეერთიანებინა ალპინისტები შორეული კავკასიონის დაუთრგუნავი მწვერვალის დასაპყრობად. მისი დამაარსებელი გახლდათ ვილი რიკმერ-რიკმერსი, საკმაოდ ცნობილი მეცნიერი, მთამსვლეელი და მეთხილამურე. რიკმერსი შემთხვევითი აღამიანი არ ყოფილა ალპინიზმში — მან აქამდე უკვე ოთხჯერ მოასწრო შეჭიდებოდა უშბის სამხრეთ მწვერვალს, მაგრამ 4.000 მეტრზე მაღლა ვერ იქნა და ვერ ააღწია. „კავკასიონის კლუბმა“ მისი ხელმძღვანელობით რამდენიმე ექსპედიცია გამოგზავნა სვანეთში, მაგრამ უშაბს არავის დამორჩილა. მაშინ რიკმერსმა კიდევ ერთი თავგანწირული ნაბიჯი გადადგა: 1903 წლის იანვარში ვაზეთებში გამოაცხადა, რომ 1.000 მარკას მისცემს ყოველ ალპინისტს, ვინც მას წაჰყვება საქართველოში უშბის სამხრეთ მწვერვალის დასაპყრობად. როგ-

ორც ჩანს, ის არა მარტო ჟინიანი მთამსვლეელი, საკმაოდ მდიდარი კაციც იყო. რიკმერსის მოწოდებას თერთმეტი ავსტრიელი და უცხოელი ალპინისტი გამოემართა. მათ შორის ერთი ქალი იყო. ეს განსაზღვრავდა ცენძი ფონ ფიკერი, ინსბრუკში მცხოვრები გერმანელი ქალიშვილი, რომელიც, როგორც თვითონ აღიარებდა, ბავშვობიდან ოცნებობდა უშბის „დასაკუთრებაზე“.

და აი, რიკმერ-რიკმერსის საერთაშორისო ექსპედიცია, რომელშიც შედიოდნენ გერმანელი, ავსტრიელი, შვეიცარიელი და ინგლისელი მთამსვლელები, მათ შორის ერთი ახალგაზრდა ქალი, 1903 წლის 12 ივლისს უშბის ძირში დაბნაყდა.

ღირსეულად დახვდა ეცერელი თავადი თათარხან დადემშქელიანი ვეროპელ მთამსვლელებს. დააბინავა, დააპურა, დაამხარეები მიუჩინა. საღამოს სოფელში ძროხა დაკლეს და სტუმრებს ნადიმი გაუმართეს. სვანთა ღრეობამ გვიანმდე გასტანა. უცხოელთათვის აქ ყველა და ყველაფერი უსაზღვროდ საინტერესო იყო, მაგრამ ფონ ფიკერის ახალგაზრდა ასული

ლა, ციდა-ციდა, მაგრამ ჯიუტად და შეეპოვრად.

ორი მოიერიშე წყვილი უკვე მწვერვალის თხემზე გასასვლელად გამზადდებოდა, რომ მოიერიშეთა შორის ყველაზე გამოცდილი ადოლფ შულცე მოულოდნელად მოწყდა კედელს და ძირს დაქანდა. ბედად, ამ დროს ცენძი მას უყურებდა და რეაგირება მოასწრო — თოკით დაიჭირა. ასე ეჭირა, სანამ სხვები არ დაეხმარნენ. შულცე უგონოდ იყო, მას თავი გაუტყდა და მთელი სახე სისხლით შეეღება. გზის გაგრძელება შეუძლებელი შეიქნა. მაგრამ როგორი იყო თუნდაც ძირს დაშვება გულწასული ამხანაგითურთ! თანაც უძლიერესი ქარაშოტი მოძრაობის საშუალებას არ იძლეოდა. ამის გამო მოიერიშეები მთელი დღელამის განმავლობაში კლდის კედელზე იყვნენ მიკრულნი. ამ უმძიმეს სიტუაციაში ცენძი შულცეს საეჭირო დახმარებას უწყევდა. მან ისე შეასრულა ეს საქმე, რომ საბაზო ბანაკში ჩამოსვლისას ექსპედიციის ექიმმა თავყანისცემის ნიშნად ქალს თავისი ოქროს ჯვარი აჩუქა, მკერდზე რომ ატარებდა მო-



ყველაზე მეტად „ლილემ“ განაცვიფრა: — უშაბი და სვანები ერთი ხნისანი და ერთნაირად დიდებულები ხართ! — აღტაცებით ამბობდა გერმანელი ასული და ამით კიდევ მეტად იგებდა ზვიადი თავადის გულს, რომელიც სულ იმის ცდაში იყო, ქალის რაიმე სურვილი არ გამოჩენოდა შეუსრულებელი. ალბათ ეს გენეტიკური ჯენტლმენობაც ჰქონდა მხედველობაში ამ ექსპედიციის წევრს გეორგ ლოიჰს, რომელმაც შემდეგ იქ, გერმანიის, სვან თავადზე ასე დაწერა: „ჰემპარიტად, იგი ინგლისელი ლორდისა და აზიელი ყაჩაღის ნარევი ქმნილებათა“.

თუმცა, დაფუბრუნდეთ ექსპედიციას. მესამე დილით მთამსვლელებმა მწვერვალისკენ გაუტიეს. განა საჭიროა აღიწეროს თუ რაოდენ ძნელი იყო ეს ზესვლა?! ისინი ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწვედნენ მაღლა. ამინდი წამდაუწყვტად იცვლებოდა: ხან მზე გამოანათებდა და უშაბი გაოცებით დააქვრდებოდა თავზეხელაღებულებს, ხან ჯანს ჩამოიფარებდა მწვერვალი, რომ არ დაენახა ეს „თაველები“. ზოგჯერ თქვენი წამოვიდოდა. ან უძლიერესი ქარი ხოშკაკალას დაუშენდა, ვითარცა ტყვიებს. აღამიანები კი მიიწვედნენ და მიიწვედნენ ნე-

ნათლის დღიდან. საბედნიეროდ, ტრავმა არ გართულებულა, შულცე ორიოდ დღეში გამოძვინდა. რიკმერსს დამარცხებულად დაბრუნება არ შეეძლო და იერიშის გამეორება ბრძანა. მოიერიშეებს კვლავ შულცე ჩაუდგა სათავეში, ოღონდ მის გარდა ჯგუფში ყველა შეცვალეს, მათ შორის ცენძიც, რომელიც ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც უკიდურესად გადაიტვიტოდა. ამჯერად მთამსვლელებმა თავისას მიაღწიეს: ჩვიდმეტსაათიანი „ბრძოლის“ შედეგად მათ უშბის სამხრეთ მწვერვალზე შედგეს ფეხი. ესენი იყვნენ სამი გერმანელი — შულცე, რაინტი, შუსტერი და ორი შვეიცარიელი — ჰეიბინგი და ვებერი.

ასე დაიპყრო აღამიანმა პირველად უშბის სამხრეთი მწვერვალი.

ცენძი?... თავისი ამხანაგების წარმატებით განარებულნი, ის განმარტოებით იდგა უშბის ძირში და თვალტრემლიანი გაჰყურებდა მწვერვალს, რომელსაც ჯანლი მოემორებინა და მთელი თავისი დიდებულებით კაშკაშებდა.

— თქვენ ტირით, ფროილენ?! — განცვიფრებით აღმოხდა დადემშქელიანს, რო-

ცა ქალიშვილის ნატივ ლოყაზე ანაზღად ცრემლის წვეთი დაინახა.

იმავ საღამოს კვლავ დაიკლა ეცერში ძროხა. კვლავ გაიშალა ურატებქვეშ სუფრა. ვინ უთამაშებდა ამ გამოსათხოვარ ნადიმს, თუ არა თვით სვანეთის მბრძანებელი!

— თქვენ უშბას დაპყრობა გინდოდათ, — ყველას გასაგონად მიმართა დადუშქელიანიმა გერმანელ ასულს, — მაგრამ მდგომარეობამ მოითხოვა და ვერ აღსრულდა წადილი თქვენი. მე აღვისრულებთ ნატვრა-ოცნებას: მე გჩუქნით უშბას. ამიერიდან ის პირადი საკუთრებაა თქვენი, ასულო!

ეს რომ წარმოსთქვა, თავადმა ქალაღი მოატანინა და დამწერს უბრძანა, ჩაეწერა მისი კარნახი:

„მე, თავადი თათარხან დადუშქელიანი, ვჩუქნი ფროილენ ცენძი ფონ ფიკერს ქალაქ ინსბურგიდან ჩემს მწვერვალს უშბას. ასტრონომიულად მისი ნიშნებია და მოსჩანს იგი აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან, როგორც უმაღლესი ტოპოგრაფიული პუნქტი. თავადი თათარხან დადუშქელიანი.

ეცერი, სვანეთი, 12-25 ივლისი. 1903 წელი“.

კარნახს რომ მორჩა, თავადმა საბუთს ხელი მოაწერა, ზედ თავისი ბეჭედი დაუსვა, საჩვენებელ თითზე რომ ჰქონდა წამოცმული. ადგა და მოწიწებით მიართვა მას, ვისაც ეს უჩვეულო საჩუქარი ეკუთვნოდა:

— თქვენს მშვენიერებას და ძალას თქვენთვის ვეგებ მეტიც კი ეკუთვნოდეს, მაგრამ... — უთხრა მოკრძალებით და ხელზე ემთხვია...


რა უღმობლად მიედინებოდა ყოვლისშემძლე დრო! ერთნი მიდიან, სხვანი მოდიან...

უშბა კი დგას და დგას! აღარ არიან მომხიბლავი ცენძი ფონ ფიკერი, ლეგენდარული მთამსვლელი კოკინი, გულუხვი თავადი თათარხან დადუშქელიანი. აღარ არიან უფრო მეტნი, ვიდრე დღესა ვართ ცოცხალნი.

უშბა კი დგას და დგას! და კვლავ ათას ვინმეს უჭირავს თვალი მისი მწვერვალებისაკენ.

„რატომ დადიან ადამიანები მთებში? რატომ ადიან ისინი მწვერვალებზე? იქ ხომ „ხენით არავინა ხნავს და არც ვინ თესავს თესვითა“, მაშ, რა უნდათ ხრიოკ კლდოვან ადგილებში, თუ არც ნადირობენ, არც ცხვარს აძოვებენ, არც მადანს ეძებენ და არც გზა გაჰყავთ. რატომ დადიან უსაქმოდ, ადიან, რომ ისევ უკან ჩამოვიდნენ. ამ კითხვაზე ჯერ არავის გაუცია პასუხი. უფრო სწორად, ბევრმა სცადა პასუხის გაცემა, მაგრამ მათი პასუხიდან ვერაფერს ვერაფერი გაიგო. მათ შორის ვერც მე. კიდევ მეტი: თვითონაც ვერ გავეცი ამ კითხვაზე პასუხი...“

ეს ლიტერატურული პასუხი ჩვენი შესანიშნავი მთამსვლელისა და მეცნიერის ოთარ გიგინიშვილის წიგნიდანაა „მთამსვლელობა საქართველოში“. როცა ასეთი ავტორიტეტული „მთათამცოდნე“ ვერ პასუხობს ამ მუდმივ კითხვაზე, განა შეიძლება ეს ვიკისრო მე, ადამიანმა, მხოლოდ პლატონურად რომ ვარ შეყვარებული ალპინიზმზე? და მინც, სხვათა



მსგავსად, მეც მაქვს მასზე ჩემი პასუხი. ის მე თვით დიდმა ტენსინგმა მიკარნახა.

ნორგეი ტენსინგს 1961 წელს შევხვდი. ბევრი თბილისელივით მეც მძიმე სევდა მაწვა მაშინ გულზე: რამდენიმე თვის წინ პამირზე, მწვერვალ „პობედადან“ გამარჯვებით დაბრუნებისას ჩვენი სამი შესანიშნავი მთამსვლელი დაღუპა — ჯუმბერ მეძმარიაშვილი, თეიმურაზ კუხიანიძე და ილია გაბლიანი. ჯუმბერ მეძმარიაშვილი ჩემი მეგობარი იყო, ჩვენ კარგა ხანს ვმუშაობდით ერთად „ზარია ვოსტოკაში“. ტენსინგმა გულწრფელად გვითანაგრძნო. ეს საოცარი ალპინისტი, რომელიც ჯერ კიდევ სიცოცხლეში ღვთებად შერაცხა მისმა ხალხმა, შერბემა, ზედღედ სამჯერ შეეჭიდა ჯომოლუნგმას: 1851 წელს 8.600 მეტრზე ავიდა, 1952 წელს 8.000 მეტრზე, 1953 წლის 29 მაისს კი მან ადამიანთა შორის პირველმა შედგა ფეხი დედამიწის ამ უმაღლეს მწვერვალზე — 8.848 მეტრი (ტენსინგთან ერთად აქ, რა თქმა უნდა, ახალზელანდიელმა პილარიც უნდა გვახსოვდეს მუდამ).

— რა იმოქმედეთ, სულ პირველად მწვერვალზე რომ შედექით? — ვკითხე მაშინ ტენსინგს.

— პირველად?... ვილოცე. ისე ვილოცე, როგორც ბავშვობისას, ქვემოდან რომ შევყურებდი ჯომოლუნგმას და ვლოცულობდი.

— ბევრი მთამსვლელი დაიღუპა ჯომოლუნგმაზე, პამირზეც, კავკასიონზეც, ტიან-შანზეც.

— ბევრი... — მაინც არ ეშვებიან ადამიანები მწვერვალებს. რატომ დადიან ისინი მთებში? რატომ ადიან მწვერვალებზე?

ტენსინგმა პასუხი დაავიანა. მერე კეთილად, ძალიან კეთილად გაიღიმა (მე ახლაც მაქვს სახლში მისი მოლიმარი სურათი) და თქვა:

— ალბათ იმიტომ, რომ მწვერვალები არსებობენ.

მე მომეჩვენა, და დღემდეც ასე მგონია, რომ ეს არის ერთადერთი სწორი პასუხი მუდმივ კითხვაზე — „რატომ ადიან ადამიანები მწვერვალებზე“.

— „იმიტომ, რომ მწვერვალები არსებობენ“ — რა საოცარი განმარტებაა! მართლაც, წარმოვიდგინოთ, რანი იქნებოდნენ ადამიანები, მწვერვალები რომ არ

ეყოს, არა მარტო კლდოვანი, არამედ მეცნიერული, ტექნიკური, ზნეობრივი, ყოველნაირი და რომ ადამიანები, ამ მწვერვალებისკენ არ მიილტვოდნენ? როგორ იქნებოდა ჩვენი ცხოვრება, მწვერვალები რომ არ გვქონდეს და ამ ოცნების მიღწევისათვის არ მივისწრაფოდეთ? ალპინიზმი მით არის რომანტიკული, რომ კაცთა მოდგმის დაუოკებელ სვლას გამოხატავს შეუცნობელისა და საოცნებოსაკენ. და რა ბედნიერებაა, როცა მავანი ოცნებას აღწევს!.. თათარხან დადუშქელიანზე ვინმე იტყვის: ქარაფშუტა ქართველი იყო, ეფექტური ეესტიით უნდოდა თავის გამოჩენა, უცხოელს უშბა რომ „აჩუქაო“. ვითომ ასეა მხოლოდ? ერთმა ტყვედყოფილმა ქართველმა, რომელიც ცენძის შეხვედრია ინსბურგში, ამბავი ჩამოიტანა, იმ ქალს სიცოცხლის ბოლომდე თავის საწოლ ოთახში ეკიდაო თურმე უშბას სურათი და, როცა ვინმე ჰკითხავდა, ეს რა მთააო, ჩემი საკუთარი მთააო, ჩემი ახდენილი ოცნებააო, პასუხობდა იგი ჩუბჩულოთ...

— მე დიდად მადლობელი ვარ შენი, ბერნდ. ეს „სუვენირი“ რომ ჩამომიტანე, — გულწრფელად ვუთხარი ჩემს გერმანელ მეგობარს.

— ვიცოდი გავიხარებოდა და იმიტომაც ჩამოგიტანე. უბრალოდ მიპასუხა მან და მესამე ჭიქა ჩაი დაისხა, — გვიყვარს მთამსვლელებს ჩაი და რა ვქნა...

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ რატომ ქართველები არ ავიდნენ პირველნი უშბაზე? — იკითხავს ვინმე, — და საერთოდ, რატომ დაუთმეს მათ თავიდან პირველობა ევროპელებს კავკასიონის უმაღლესი მწვერვალების დალაშქვრაში?

ამ კითხვებზე პასუხი უბრალოა: იმიტომ, რომ ალპინიზმი, როგორც სპორტი, საქართველოში მხოლოდ 1923 წელს დაიწყო, როცა დაუვიწყარმა გიორგი ნიკოლაძემ შეინვარწვერი „აილო“! ევროპაში კი პირველი ასეთი მთამსვლელი აქცია 1786 წლით თარიღდება, როცა ფრანგი გლეხი ჟაკ ბალმა და მასი თანამემამულე ექიმი პიკარი ალპების უმაღლეს მწვერვალზე მონბლანზე ავიდნენ.

თუმცა... განა დასაჯერებელია, რომ მწვერვალებით გარშემორტყმული ქართველები საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მწვერვალებზე ასვლას არ ცდილან? ხომ აღმოაჩინეს მთამსვლელებმა უძველესი სალოცავისა და ადამიანის საფლავის ნაშთები ბრუსტამძელას მწვერვალზე! ან ის გამოქვაბული, მყინვარწვერის 4.100 მეტრის სიმაღლეზე რომ ნახეს, სადაც თურმე ადამიანს უცხოვრია. ანდა ის ფაქტი. იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ რომ არის: ვინმე მონხვევ იოსებ მღვდელი „მყინვარსა მთასა შინა, კაცთაგან შეუვალსა“ ასულა და იქიდან „სუვენირიც“ კი ჩამოუტანია მეფე ერეკლესათვის! მაგრამ ამ აქციის ზუსტი წელი არავინ იცის.

— იმიტომ, — ღიმილით ამბობს ტკბილმოუბარი ბატონი გიგინიშვილი, — ჩვენთვის ძნელია შევედავოთ ფრანგებს პირველობაში, აქაოდა სპორტულ მთამსვლელობას საფუძველი ჩაეყარა არა მონბლანზე, არამედ მყინვარწვერზე ასვლითო. მაგრამ დაველოდოთ დროს: ხომ შეიძლება ისტორიამ ამ „პრობლემაზე“ გამოგვირიყოს ზუსტი პასუხი თავის უძირო ოკეანედან...

სტუმრად უმცლანდიელთათვის

სტუმრად უმცლანდიელთათვის

თუმცა, აქვს განა ამ პრიორიტეტს ესოდენ დიდი მნიშვნელობა ჩვენს ცხოვრებაში? მწვერვალი ხომ ისედაც ბევრია ადამიანთა „ცდუნებისათვის“, და არა მხოლოდ კლდოვანი და თავდათოვლილი — არის მწვერვალები მეცნიერული, ტექნიკური, ზნეობრივი. ყოველნაირი...

ეს წერილი მე ერთი ამბით მიწა და ვამთავრო.

...პაპა-შვილიშვილი კლდოვან ბილიკს მიჰყვებოდნენ. ჩადებულ სიჩუმეში მხოლოდ მათი ფეხის ხმა ისმოდა. ყმაწვილს თოფი თოხივით გაედო მხარზე და ჩუმად ლილინებდა. მოხუცი მღუმარედ მიიბიჯებდა, მხოლოდ ხანდახან ასწევდა თავს და გამოცდილი მონადირის მზერას კლდოვან ქიმებს მოავლებდა.

ირიყრაყა.
ქვემოთ, ნათელში, ჯერ-ნისლის თეთრი ქულები გამოჩნდა, მერე ამ ნისლში ამოჩრდილი სვანური კოშკები და ბოლოს შორეულ ფერდობზე შეფენილი ციციქნა სოფელი.

უცებ მათ ერთდროულად დაინახეს ჯიხვი და ადგილზე გაირინდნენ. ცხოველი ქვის შევრთვით იდგა. ისე უძრავად იდგა, ქანდაკებას ჰგავდა.

სანამ ბიჭი მოისაზრებდა, მოხუცმა თვალის დახამხამებაში შეშარდა თოფი და... სასწაული მოხდა: შვერილი, რომელზეც ცხოველი იდგა, თავისით მოტყდა და ჯიხვიანად ძირს წავიდა.

მონადირეები სახტად დარჩნენ. მერე ადგილიდან მოწყდნენ და იქით დაქანდნენ, სადაც მოხეტიალი ლოდი და ჯიხვი დაენარცხნენ.

ბიჭი პირველი მივარდა ჯიხვს. ის ცოცხალი იყო. ადამიანები რომ დაინახა, წამოვარდა, მაგრამ იქვე დაეცა: უკანა ფეხი გადატეხილი ჰქონდა და ვერ ათირია.

— დაკალი, პაპა, დაკალი! — ანგარიშმიუცემლად იყვირა ბიჭმა. მოხუცი არ განძრეულა.

— გაიქცევა, პაპა! — კვლავ დაიძახა ბიჭმა და მოხუცის ხანჯალს წაეპოტინა. პაპამ ცივად აუკრა ხელი, პერანგის კალთა მოიხია და ჯიხვს ზემოდან დააწვა. ბიჭიც ანგარიშმიუცემლად დააწვა ცხოველს. ის მთელი ღონით ცდილობდა განთავისუფლებას, მაგრამ პაპა-შვილიშვილს მაგრად ეჭირათ. მოხუცმა ჯიხვს გადატეხილი ფეხი შეუხვია, მაგრად გაუკრა და ადგილი ძლივს მოასწრო, რომ ცხოველი წამოვარდა და ერთი ნახტომით თვალს მიეფარა.

— რა ჰქენი, პაპა!

— ბედმა უმუხთლა, უსამართლოა მისი დაკვა, — წარმოსთქვა მან და უცებ ორთავემ კვლავ დაინახეს დაპირილი ჯიხვი. ის წვალებით მიბობლავდა ზემოთ. ოღონდ უკვე მარტო აღარ იყო — მას მეორე ჯიხვი ეხმარებოდა ასვლაში. ის ხან თავით მიაწვებოდა დაპირილს, ხან ზემოდან მოუვლიდა და რქებს გაუყრიდა რქებში, რომ მალლა აეჭაჩა. ასე წვალებითა და ჯახირით ჯიხვები მწვერვალსკენ მიიწევდნენ.

— სად მიჰყავს?! — განცვიფრებით აღმოხდა ბიჭს.

— თავის მწვერვალზე. იქ უნდა მოკვდეს, — წყნარად უპასუხა მოხუცმა.

ყმაწვილი გაოგნებული შეჰყურებდა: არ გეგონოთ, ეს ამბავი ჩემი შეთხზული იყოს — ის მე თავად ბექნუ ხერგიანმა მიაძბო: თორმეტი წლისა რომ ვიყავი, მაშინ შევესწარი ასეთ რამესო...

ბუნებისგან გვესწავლოს ჩვენ-ჩვენს მწვერვალზე ასვლა და იქ სიკვდილი!

● პოლიციელმა ერთი შოტლანდიელი და ერთი ებრაელი მოსამართლეს მიჰგვარა, უგონო მთვრალები არიანო. მაგრამ ბრალდებულებმა დიდად იუარეს. მოსამართლემ პოლიციელს ჰკითხა:

- მაინც რატომ გგონიათ ესენი მთვრალები, თანაც უგონოდ მთვრალემა?
- რატომ, სერ, და, — მიუგო პოლიციელმა. — ეს ჩვენი სკოტი* აქეა-იქით ფანტავდა ფულებს.
- აჰა, მესმის, გასაგებია! ეს ებრაელი რაღად გგონიათ მთვრალი?
- ეგ კიდევ ამ ფულებს კრეფდა და უკან აყრიდა მაგას.

● აფთიაქის გამყიდველი: — ვაიმე, სერ, რა ვქნა, კარებს ერთი შოტლანდიელი მოსდგამია და ათცენტთან საწამლავს თხოულობს, თავის მოკვლა გალაუწყებია. რა ვქნა, როგორ გადავარჩინო?

— აფთიაქის პატრონი: — ორმაგად დაუფასეთ.

● — გვიგე, შენ და მეგი შერიგებულხართ და მალე გვირგვინსაც იფსკენით თურმე, უთხრა მაკფერსონმა.
— ეგრეა, მიუგო მაკინტოშმა, — აბა, რა ვქნა! ეგ მეგი ისე გასუქებულა, რომ თითღან ვერაფრით ვერ წავაძრეთ ნიშნობის ბეჭედი.

● შოტლანდიელი შეიდი წლის შემდეგ დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს და თავისი ძველი მიჯნური მოქმნა. აღმოჩნდა, რომ ეს უკანასკნელი ჯერაც არ გათხოვილიყო და სენდის კვლავ წამოეშალა ადრინდელი ვნებანი.

— აჰ, ჩემო მერი, — მივალერსა სენდი, — შენ ისეთივე ტურფა ხარ. როგორც ყოველთვის იყავი, და მეც არასდროს დამეწყებოხარ, ჩემო გოგონი.
— შენ კი, სენდი, — შეაგება მერიმ და მშვენიერი ცისფერი თვალეები მომხიბლავდ აუუუუნა. — ისეთივე მატყუარა ხარ, როგორც მუდამ ბრძანდებოდი, და მე მაინც ისევე მჯერა შენი, როგორც ყოველთვის.

● მღვდელი: — ვწუხვარ, რომ გუშინ წირვაზე ვერ გიხილეთ ეკლესიაში, ტომას.

ტომასი: — გუშინ ხომ საშინელი ამინდი იდგა და იმისთანა ძანძაყში ძალი არ გაივდებოდა გარეთ. ამიტომ ვეღარ წამოვედი. სამაგიეროდ ცოლი გამოვგზავნი.

● ერთი შოტლანდიელის ოცნება იყო ძვირფასი ბეწვის ქურჭი. რამდენიმე წლის მოპირნე ცხოვრების შემდეგ როგორც იყო, აისრულა სურვილი, ერთ დღეს ქუჩაში ნაცნობი წამოეწია.

— დილა მშვიდობისა, მაკლაფლინ, — მიესალმა მეგობარი და თან სიცივისაგან კანკალებდა. — მაგარი ყინვაა, არა?
მაკლაფლინმა ბეწვში ჩარგული სახე ამაყად წამოსწია და თქვა:
— ვერ გატყვი სწორედ, დღევანდელი გაზეთი არ წამიკითხავს.

● ორი სკოტი ფეხბურთის მატჩს უყურებდა. ერთს ბოთლი ეჭირა ხელში, მეორეს კი წყურვილით ხახა უშვებოდა. ბოთლიანი გაუთავებლად ლაპარაკობდა, თავი მოჰქონდა ფეხბურთის ცოდნით და ტრაბახობდა, მე თვითონაც გალასარევედ ვთამაშობდიო. თან წარამარა იყულებდა ბოთლს. ხახაგამურალმა უთხრა:

— როგორც ვხედავ, დრიბლინგები კარგი გცოდნია, მაგრამ პასის მიწოდება კი არ გხვევია.

● ლონდონში ჩასული შოტლანდიელი ავტობუსის მძღოლს მიადგა და ჰკითხა.

- რა ღირს ბილეთი სტრენდამდე?
- ორი პენსი, იყო პასუხი. — მაშინ სკოტმა გადაწყვიტა, ერთი გაჩერება სირბილით ევლო და გაჩერებაზე მძღოლს შეეკითხვა გაუმეორა.
- ორი პენსი, — კვლავ ვაისმა პასუხად.
- სენდიმ ერთი პენსის დაზოგვის იმედით კიდევ ერთი გაჩერება ირბინა და ისევ მიმართა მძღოლს:
- რა ღირს ბილეთი სტრენდამდე?
- სამი პენსი. თქვენ სხვა მხარეს გარბინართ.


● ლონდონში სტუმრად მყოფმა შოტლანდიელმა შოლინგი დაკარგა და მაშინვე პოლიციას შეატყობინა. ცოტა ხნის შემდეგ ერთ ქუჩაზე გავიდა, სადაც ახალი წყალსადინარი მიღების ჩასაყრელად ქუჩა მთელ სიგრძეზე გადაეთხარათ.

— ცმერთო ჩემო! — გაიოცა შოტლანდიელმა. — მეტისმეტი არ მოუნდო-მეზიათ?

* სკოტი იგივე შოტლანდიელია.



907 81 708



პაექრობა

საახალწლოდ ცოლმა ახალი ვარცხნილობა გაიკეთა, ქმარმა უსაუვედურა: — შე არ მინდა, თმას ასე მოკლედ რომ იჭრი! — ერთი ამის დამხედეთ! — მიუგო ცოლმა, — შენ მითანხმდებოდი, როცა მელოდებოდი?

თანაბრძობა

საახალწლო მეტლისზე, სადაც კარიერასა და წარმატებაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ერთ-ერთმა დამსწრემ დაიტრახა: — როცა კარიერას ვიწყებდი, არა გამაჩნდა რა, საკუთარი ჭკუის გარდა. — ი. მართლაც ძალზე მცირე კაპიტალით დაგიწყიათ! — მიუგო გვერდით მჯდომმა და ჭიქაში შამპანური დაუსხა.

საუვედური

— რანაირი კაცი ხარ! — უთხრა ოტოს საახალწლო წვეულებიდან დაბრუნების შემდეგ განაწყენებულმა ცოლმა: — არ შეგეძლო უბრალოდ გეთქვა, რომ ოცდაოთხი წლის ცოლ-ქმარი

უსაზღვრო გედნეობა

სმითმა ახალი წლის წინ ლატარიაში ასი ათასი დოლარი მოიგო. — შენი სიდედრი როგორ შეხვდა ამ ამბავს? — ჰკითხა მეგობარმა. — ო, განცვიფრებისაგან ენა ჩაუვარდა. — ღმერთო ჩემო, ერთბაშად რამდენი ბედნიერება!

გამგებლობა

ჩემმა ცოლმა დამავალა, ამ ახალი წლიდან ხელფასის მომატება ვთხოვო, — უთხრა თანამშრომელმა დირექტორს. — კეთილი, ამ საკითხზე ჩემს ცოლს მოველაპარაკები, — მიუგო მან.

თავის დაზღვევა

— ოტო, შენი აზრით, წლეულს როგორი მოდა იქნება? — ჰკითხა ცოლმა. — ზედმიწევნით უზუსტად შემიძლია გითხრა — ორგვარი ნიმუშის კაბებს ჩაიცვამენ: ერთს ისეთს, შენ რომ არ მოგეწონება, ხოლო მეორის საყიდლად შე ფული არ მეყოფა, — უთხრა ქმარმა.

პანორამა

ლუვრის სასახლე

ლუვრის სასახლის რთული კომპლექსის დაგეგმვა დაიწყო XIII საუკუნიდან. ასწლეულების განმავლობაში საფრანგეთის მეფეები აშენებდნენ შენობას, რომელიც გადაჭიმული იყო 800 მეტრის მანძილზე. მუზეუმის დაარსების ისტორია უკავშირდება საფრანგეთის დიდ რევოლუციას. 1791 წელს კონვენტმა დაადგინა „მეცნიერების და ხელოვნების ძეგლების“ შეგროვება ლუვრში. მუზეუმის საზეიმო გახსნა შედგა 1793 წლის 8 ნოემბერს.

1981 წელს მიღებული იქნა გადაწყვეტილება მუზეუმის რეკონსტრუქციისა და გაფართოების შესახებ. პროექტი, რომელმაც „დიდი ლუვრის“ სახელწოდება მიიღო, გადასცეს ამერიკელ არქიტექტორს ი. მ. პეიუს.

პროექტის მიხედვით აიგო მუზეუმის მთავარი შესასვლელი — 50-მეტრიანი პირამიდა ფოლადის არმატურით. მსახველები პირამიდაში მოხვედებიან სპეციალური გვირაბით, შემდეგ კი გაივლიან სამ ძირითად ექსპოზიციურ განყოფილებაში.

ფრანგულ პრესაში ულტრათანამედროვე მინის პირამიდის აგებამ მწვავე პოლემიკა გამოიწვია: „ნუთუ შეიძლება სხვადასხვა არქიტექტურული სტილის ასე თამამად შეხამება? არ დაირღვევა პირამიდის აგებით ლუვრის სასახლის ანსამბლის ერთიანობა და ჰარმონია?“

ალისასას ჩუპოტაქისაბან...

ალიასკა აღმოაჩინეს XVII-XVIII საუკუნეებში, რუსმა მოგზაურებმა. მისი პირველი გუბერნატორი იყო მრეწველი ალექსანდრე ბარანოვი, მაგრამ 1867 წელს

რუსეთის იმპერიის დროშამ, რომელიც ფრიალებდა ალიასკის თავზე, ადგილი დაუთმო ვარსკვლავზოლიან ტილოს. აშშ-ს იმდროინდელმა მთავრობამ მეფის ხელისუფლებისაგან შეისყიდა ნახევარკუნძული, რითაც თავისი ქვეყნის ტერიტორია 1519 ათასი კვადრატული კილომეტრით გაზარდა. XX ს-ის მიჯნაზე ალიასკამ განიცადა „ოქროს ციებცხელების“ შემოტევა.

გასული 120 წლის განმავლობაში ალიასკაში ბევრი რამ შეიცვალა. აქ აღმოცენდა ახალი ქალაქები, მსხვილი საწარმოები. დღეს ნახევარკუნძულის მოსახლეობის უმეტესობა, რომლის რიცხვიც 70 ათას აღამიანს შეადგენს, ცხოვრობს ორასამდე მცირე პუნქტში. ზოგიერთმა მათგანმა შეინარჩუნა რუსული სახელწოდება.

მინა — ქამელიონი

ფანჯრის მინა, რომელიც შეკვეთით იცვლის ფერს, დაამზადეს აშშ-ში, საცხოვრებელ ადგილებში ჰაერის გაწმენდისა და გათბობის მიზნით.

როგორც ამერიკელი ჟურნალი „დიზაინ ნიუსი“ იტყობინება, ზამთარში ამ მინას შეიძლება მისცე, მაგალითად, მწვანე ფერი და ის აღარ გაატარებს სხივებს, რომელიც სპექტრის მიხედვით უახლოვდება ინფრაწითელს, სპექტრს თან მიჰყვება სითბო.

საიდუმლო მარტივია. მინა ორმაგია პოლიანილინის სპეციალური შინაგანი ფენით. ნივთიერება მგრძობიარეა ელექტროდენის და დამაბულობის ცვლილებებისადმი. ამის შესაბამისად შეიძლება გახდეს გამჭვირვალე, მწვანე, ცისფერი ან მეწამული. პერსპექტივაში ამგვარი მინა გამოიყენება ფერადი ტელევიზორის კინესკოპებში.

თარგმან ნინო ონიანოვილი

გულმოსულმა მეტროტელმა უბნოდ გადახედა მათ და თავის ახალ სტუმრებთან ერთად სხვა კაბინისაკენ გაემართა.

ამ კოცნამ ქმარზე სასწაულებრივი ძალით იმოქმედა, ეს სულ არ ჰგავდა ნაძალადევს, ეს ისეთი კოცნა იყო, ქორწინების პირველი წლებიდან რომ ახსოვდა.

ცოლიც განცვიფრდა, ისიც გრძობდა, რომ ეს სულაც არ იყო კოცნა-ალიბი, რომელიც მეტროტელის დასახანად სჭირდებოდათ, თანაც კოცნა მათი წასვლის შემდეგაც გაგრძელდა.

— ესე იგი, გორკა, — დაიწყო ისევ ქმარმა, როგორც კი გონზე მოვიდნენ, — მოდი, შენ გქონდეს მთელი თავისი ფაიფურის ჭურჭლით.

— არა, არა, შენ გქონდეს!

— არავითარ შემთხვევაში! აბა, შენ როგორ შეეღვევი ბალერინას? ან წითელ ლარნაკს? მტირალა გოგონას? შენ ხომ ისინი ძალიან გიყვარს!

— განა შენ კი არ გიყვარს?

— როგორ არ მიყვარს!

— ან სურათი რიპლ-რონაი? რამდენჯერ დავმტკბარვართ მისი ცქერით.

— ან კიდევ „პეიზაჟი ტატრებში“?

— რამდენჯერ გვიოცნებია, იქ წავსულიყავით ტურისტული საგზურით!..

— მართლაც საჭირო იყო წავსულიყავით! მაშინ, ალბათ, ახლა... ცოლმა დაამთავრა ფრაზა: — მაშინ აღარ მოგვიწევდა განქორწინების პირობებზე ამდენი ლაპარაკი.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ბოლოს ქმარმა ჩურჩულით უთხრა:

— ექვსი კვირის შემდეგ რვადლიანი ტურისტული მოგზაურობა ეწყობა ტატრებში. გინდა? ერთად წავიდეთ?

ცოლმა მიმოიხედა და უპასუხა:

— აქეთ არავინ მოდის, მაკოც, სანამ ვინმე გამოინდებოდეს!

უნბრულიდან თარგმან ლილი მანისურაძე-მორგოშია.



ბ

უნდს კორდაბალე-ტიც შეუერთდა. მთელი ძლიერებით აქლერდა ორკესტრი. თავი გამოიდეს სოლისტებმა.

სპექტაკლმა კულმინაციურ წერტილს მი-აღწია. სცენაზე გაცილებით მეტი სახალხო და დამსახუ-რებელი არტისტი იყო, ვიდრე მაყურებელი დარბაზში...

ალარ გვიკვირს ასეთი სუ-რათი, რადგან საქართველ-ოში ხუთასამდე სახალხო და ათასშვიდასამდე დამსახურე-ბული არტისტი გვყავს. თუ მათ რვაასამდე ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწესა და ათასხუთასამდე კულტურის დამსახურებულ მუშაკს დავუ-მატებთ, თამამად ითქმის, რომ ათას სულ მოსახლეზე ტიტუ-ლოვან ხელოვნათა რაოდენო-ბით მსოფლიოში პირველ ად-გილს ვერავინ შეგვეცილება.

თქვენ ისიც კარგად მოგვხ-სენებათ, რომ ათას სულ მო-სახლეზე უმაღლესდამთავრე-ბულითა რაოდენობით პირვე-ლი ადგილი უკვე გვიკავია მსოფლიო მასშტაბით! ყოვე-ლივე ეს კანონიერი სიამაყის გრძობით გვახსებს. გაუგება-რია მხოლოდ, რატომაა, რომ ჩვენს უგანათლებულეს რეს-პუბლიკაში ყველაფერ იმ-პორტულზე გვიჭირავს თვა-ლი? რატომ არ გვყოფნის ერ-ოვნული თვითშეგნება, როცა არჩევანი სამამულო და იმ კ-პიტალისტური ქვეყნების ნა-წარმზე მიდგება, რომლებიც უმაღლესდამთავრებულ სპე-ციალისტთა რაოდენობით საგ-რძობლად ჩამოგვრჩებიან და, რომლებსაც საყოველთაო სა-შუალო განათლებას ვინ ჩი-ვის, წერა-კითხვის უცოდინა-რებიც კი ბლომად ჰყავთ?

ჩემთვის ისიც გაურკვევე-ლია, „ხელოვნების დამსახუ-რებული მოღვაწე“ „კულტუ-რის დამსახურებულ მუშაკად“ მიიჩნევა თუ არა? საერთოდ, სჭირდება მოღვაწის ცნებას დამსახურებით ხაზგასმა? შე-იძლება იყო მოღვაწე დამსა-ხურების გარეშე? მაგრამ ეს დეტალებია და ამაზე ყურად-ღების გამახვილება არც ღირს!

მთავარი ისაა, რომ ქართვე-ლებს არტისტული ბუნება, ში-ნაგანი არტისტიზმი გვახასია-თებს. მარტო თბილისში 19 თეატრი გვიმასპინძლებდა სპე-ქტაკლებით. ათას სულ მო-სახლეზე თეატრების რაოდე-ნობითაც ვერავინ შეგვედრე-ბა. მაგრამ ამასაც არ დავჭერ-დით და ცხოვრებაშიც ვთამა-შობთ. ხელგაშლილობა, დარ-დიმანდობა, გულუხვობა ხომ ჩვენი ეროვნული თვისებებია და ვარივებთ სათამაშოებივით ჯილდოებს, წოდებებს, პრე-მიებს.



გვივი ჩივილობილი

ყველა შემოქმედი ხომ ბავ-შევივით სათუთი არსებაა და გაუშვი, გაიხაროს! რა გვენაღ-ვლება, ან რა გვაკლდება? პირ-იქით, მეტი ზრუნვა გვმარ-თებს, რომ ხელოვნათა ტიტუ-ლოვან არმიას შემფასებელი და დამფასებელი არ მოაკლ-დეს. დარბაზში თუ ხალვათობა იქნება, ვის რაში სჭირდება ამ-ღენი სახალხო არტისტი, დამ-სახურებული მოღვაწე და მუ-შაკი?

ახლა, ვინც სცენაზე არ გა-მოდის, მაინცდამაინც იმათ რა დააშავებს? მე მგონია, არაფე-რი. ამიტომ აუცილებლად მი-მაჩნია, მაყურებლის წახალი-სებისა და სტიმულირების მი-ზნით შემოვიღოთ „დამსახუ-რებული მაყურებლის“ წოდე-ბა!

ისე, სხვათაშორის, დავინ-ტერესდი, გვეყოფოდა თუ არა დაფნის მოსავალი ყველა და-ჯილდოებულის გვირგვინით შესამკობად. კიდევ კარგია, რომ დაფნის გვირგვინმა სიმ-ბოლური მნიშვნელობა შეიძი-ნა, თორემ საკუთარი არ გვე-ყოფოდა და შემოტანილი, მძიმე ტვირთად დააწვევოდა რესპუბლიკის ბიუჯეტს. რად-გან ასეთი საშიშროება არ გვე-ლოდებოდა, ვადგათ ერთმანეთს თავზე სიმბოლური გვირგვი-ნები, დაფნის მოსავალს ხომ არაფერი აკლდება.

დაფნასთან დაკავშირებით რა გვიჭირს, მაგრამ როცა ხო-რცხე და ყველზე მიდგება სა-ქმე, აქ სიმბოლიკა ვეღარ გვი-შველის, არადა, რესპუბლიკა-ში 1400-ზე მეტი სოფლის მე-ურნეობის დამსახურებული მუშაკი ჯდა 1400-მდე დამსა-ხურებული აგრონომი გვყავს, ახლა თუ მათ „დამსახურებუ-ლი ზოოტექნიკოსის“, „დამსა-ხურებული ვეტერინარი ექი-

მის“, „დამსახურებული მექა-ნიზატორის“, „დამსახურებუ-ლი მელიორატორის“ და ა. შ. საპატიო წოდებით აღნიშნულთ დავუმატებთ, გამოდის, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობა არნახული აღმავლობის გზაზე დგას.

ჩემთვის პირადად გაუგება-რია, „საქართველოს სსრ სო-ფლის მეურნეობის დამსახუ-რებული მუშაკი“ შეიძლება იყოს თუ არა „საქართველოს სსრ მეცხოველეობის დამსა-ხურებული მუშაკი“? დამსახუ-რებული აგრონომის, მექანიზა-ტორის, ვეტერინარი ექიმის, ზოოტექნიკოსის, მელიორა-ტორისა და ა. შ. მიმართაც იგივე კითხვა მებადება.

ვერც იმაში გავრკვეულვარ, „საქართველოს სსრ მეცხოვე-ლეობის დამსახურებული მუ-შაკი“ ისევე, როგორც დამსა-ხურებული აგრონომი, მექანი-ზატორი, ვეტერინარი ექიმი, ზოოტექნიკოსი, მელიორატო-რი, შეიძლება თუ არა, მივიჩ-ნოთ „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსა-ხურებულ მუშაკად“?

ვთქვათ, „საქართველოს სსრ დამსახურებული ვეტერინარი ექიმი“, ისევე როგორც ზო-ოტექნიკოსი, შესაძლებელია თუ არა, იყოს „საქართველოს სსრ მეცხოველეობის დამსა-ხურებული მუშაკი“, ანდა პირ-იქით... მაგრამ ეს მეორეხარ-ისხოვანი საკითხებია. მთავარი ისაა, რომ სოფლის მეურნეო-ბის დარგის მესვეურთ ამოუ-წურავი ფანტაზია აქვთ და უკან ჩამოიტოვებს ჩვენი სახე-ლოვანი მეცნიერები.

სადღეისოდ რესპუბლიკა-ში 900-ზე მეტი მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე გვყავს! მეტიც გვეყოლებოდა, დამსახურებული ქიმიკოსის, ისტორიკოსის, ბოტანიკოსისა

და ა. შ. წოდებები რომ შემო-გველო. ამასთან, დავიჭვროთ, რომ მრავალრიცხოვანი, მხოლოდ ვაწიდან ყველას ვეტერინარი დამსახურება მისცეს! მეცნიერების წინაშე?

მეცნიერებს მართებს ამ სა-კითხებზე დაფიქრება და და-მატებითი წოდებების შემოღე-ბა. იგივე უნდა ითქვას დამსა-ხურებული მასწავლებლის, ჟურნალისტის, კინემატოგრა-ფისტის, ექიმისა და ა. შ. მი-მართ, მაგრამ ეს შორს წაგვი-ყვანს და, მოდით, უფრო ცხო-ვრებისეულ პრობლემებს, ყო-ველდღიურ საზრუნავს დავუ-ბრუნდეთ.

სოფლის მეურნეობის დარ-გში არსებული წოდებების რა-ოდენობით თუ ვიმსჯელებთ, ბაზარში საერთოდ არ უნდა გვიწვედეს სიარული. მაინც გვიწვეს და ამიტომ ხომ არ ჯობია, დავაწესოთ „საქართველოს სსრ დამსახურებული ყასაბის“, ანალოგიურად, მერ-იევის, მეშვენილის საპატიო წოდებები. მივანიჭოთ ისინი იმ „გლუნებს“, რომლებიც ბა-ზარში ტყავს არ გაგვაძრობენ და სახელმწიფო ფასში გაპყი-დიან ხორცს, ყველს, მშვენი-ილს, ხილს. შეიძლება ამით მაინც მოვახდინოთ სათანადო ზემოქმედება და გვეშველოს რამე.

ობიექტურები თუ ვიქნებ-ით, კიდევ ერთი ყველაზე სა-პატიო წოდებაც უნდა დავა-წესოთ და მივცეთ იმ პატრო-ნან მშრომელს, ხელოვანს იმ-ელზე რომ შედის ბაზარში და ჯამაგირით ინახავს ოჯახს. ასე-თებს უყოყმანოდ უნდა მიე-ნიჭოთ „დამსახურებული მყი-ღველის“, უფრო სწორად „დამსახურებული რაციონა-ლიზატორის“, ანდა „სახალხო გამომგონებლის“ ტიტული!

თუმცა რესპუბლიკაში 60-მდე საპატიო წოდებაა დაწე-სებული და ამ მაჩვენებლით არამარტო საკავშირო, არამედ ზოგადსაკაცობრიო რეკორდი დავაჩყარეთ, მაგრამ მიღწეუ-ლით არ უნდა დავკმაყოფილ-დეთ.

უფრო თამამად შევიტანოთ ჩვენი მჩქეფარე ცხოვრების მათიანეში ახალ-ახალი სახე-ლები, ნუ დავეყრდნობით „ხუთწლედის მათიანის“ პრე-მიას, რომელიც რვა წლის განმავლობაში 144 შემოქმედს მიეცა. შემოვიღოთ წლის, კვარტლის, თვის მათიანის პრემიები.

— მიყვარს შუმანი! — ოცნებით თქვა ნელიმ.
მუთაქა აიღო, ტახტზე ჩამოვდა და იდაყვებით ზედ
დაეყრდნო. მუშტებში ჩამალული სახე რეზინის
თოჯინასავით დაეჭმუჭნა, თვალები დაუწვრილდა:
— ისე, სკრიაბინიცი მიყვარს! — გააგრძელა დაფი-
ქრებით. „მიახლოვდება ნაცნობი ზმები... სკრიაბი-
ნია... საით გავექცე, როგორ გავექცე, მოახლოე-
ბულ ღმერთის ნაბიჯებს! ა? ხომ კარგია? — გა-
მოცოცხლებით შეხედა ნიკოს: — ხომ კარგია? —
გაუმეორა.

კაცი ტელევიზორთან ჩხირკედლობდა. სხვადა-
სხვა არხზე გადასასვლელი დილაკი მოშლილიყო
და ცდილობდა, გაესწორებინა.

— ეგ მაგაზე არ არის, — თავაღუბლივ გაე-
პასუხა. — ის სხვაა.

— ვიცი, — ამოიხრა ქალმა, — მაგრამ, როცა
სკრიაბინს ვუსმენ, ეს ლექსიც მაგონდება.

— კარგია-ა! — დამარცვლით, ანგარიშმიუცემ-
ლად ჩაილაპარაკა კაცმა და დილაკებს კლავიშები-
ვით აუყოლა თითები. — მოვიკვდა პატრონი!

ნელიმ ცოტა ხანს უყურა, მერე უცებ წამოხტა.
მუთაქა ცალი ხელით ზევით აავდო და ააბურთა-
ვა: — ჰე, ასსაა!

ნიკომ გამოხედა და ჩაიცინა:

— რა გული გამიხეტქე? ისევ დაღიხარ კარა-
ტზე?

— დავდივარ! — მებრძოლი პოზა მიიღო ნელიმ,
მუშტები ნიკაქვეშ ამოიტრიალა და ფეხი კედლი-
სკენ შეაქანა. — რაც კარატზე სიარული დავიწყე,
გული გამომისწორდა, სუნთქვა ისე აღარ მიჭირს.
სიგარეტსაც დავანებე თავი... ეჰ, ცოტა ახალგაზრდა
რომ ვიყო, ბრეიკსაც ვიცეკვებდი, მაგრამ... —
უცებ გასწორდა და მკლავები ჩამოყარა. — ისე,
ცეკვით ვცეკვავ, შეხედ! — სახე ნიღაბივით გაიქ-
ვა და ხელისგულები ტალღებივით აიქნია-დაი-
ქნია, — ხედავ?



დედათა

მონასტერი

ირინე ბალიაშვილი

კობრიძე

— ვხედავ, — გულგრილად, ენის ბორძიკით მი-
უფო კაცმა. ის ახლა სანთებელათი სადენის ბოლო-
ებს ცეცხლს უკიდებდა. იატაკზე ნაღვენთები ცვი-
ლივით ჩამოიქნა. კარგია, მე გული ვერაფერს
დავუღე. ქალები კატებივით ხართ, ოღონდ მოინ-
დომოთ და...

— ეჰ, მართო მონდომება რას უშველის, სკრია-
ბინია!... — წაიმღერასავით ნელიმ. — სიბერის ბრა-
ლია... გული მიკედება, როდესაც წარმოვიდგენ,
რომ ჩამიჩად უნდა ვიქცე. რატომ, რატომ არის
დროებითი ამქვეყნად ყველაფერი. არ მინდა, გე-
სმის? სულ მინდა, რომ ვინმეს თავს ვაბეზრებდე
და იმას კი მაინც არ ვებეზრებოდე!..

ნიკო ახლა ცალი თვალით თან ქალსკენ იყურე-
ბოდა, თან კბილებით სადენის ბოლოს კვნებდა.
რალაის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ მოახერხა.
ნელიმ გულხელი დაიკრიფა.

— სული მეხუთება სიცარიელისგან. სად წავიდე,
საით გავექცე ამ ოხერ საკუთარ თავს, რით ვანუ-
გეშო? ბოლოს და ბოლოს მეც ხომ ქალი ვარ? მი-
თხარი, რომ რალაია უნდა ვიწამო, მითხარი!..

ნიკომ, როგორც იქნა, სადენი გაკენიბა და გაში-
შვლებული, თმაზე უწვრილესი, ორი პრიალა მავ-
თული ერთმანეთში გადახლართა.

— რა უნდა გითხრა? — ღიმილით აიჩჩა მხრე-
ბი. — მე რომ შეგეყვარებინე, გეტყოდი... თავის
დროზე გითხარი კიდევ. ახლა რალა მაქვს სათქმე-
ლი?... ცოლად რომ დამომყოლოდი, დღეს უკვე
დარბაისლური კეთილმოწყობილი ოჯახი გვექნებო-
და. ბინას სამსახურიდან მოგვეცემდნენ. როგორც ხე-
ლოვნების მუშაკს, ერთ ოთახს ცალკე დაგიტომობდი.
მუშაობის დროსაც ხელს შეგიწყობდი. ფაჩუჩებს
შევიძენდი, რომ ჩემს ნაბიჯებს შენი ძვირფასი ყუ-

რები არ შეეწუხებინა... როცა დაიღუბოდი, მი-
ვუსხდებოდი ვიდემომაგნიტოფონს და რაც მოგვე-
პრიანებოდა, იმას ვნახავდი: მე, ალბათ, როგორც
ცოლიანი, ფრთებდაკეცილი კაცი, პორნოგრაფიულ
სურათზეც არ ვიტყვოდი უარს. შენ უფრო პოლივე-
ლის კინოვარსკლავების ცხოვრება დაგინტერესე-
ბდა. ვიდეო თუ მოგწყინდებოდა, ჩავსხდებო-
დი ახალთახალ ყიგულში, ან სხვა რომელიმე მა-
რკის მსუბუქ ავტომობილში და ქალაქგარეთ გავი-
სეირნებდი. ჩემთან ერთად თუ არ გენდომე-
ბოდა, მართოც გააქროლებდი. ამასობაში შეიღებ-
იც გვეყოლებოდა — ერთი ბიჭი, ერთი გოგო. გო-
გოს შესავით შავი კულულები და ჩემსავით ცი-
სფერი თვალები ექნებოდა. რადგან შენ ჩემზე მე-
ტად იქნებოდი დატირთული, მე უფრო ხშირად
ვისეირნებდი მათთან ერთად, ვეტყვოდი, დედიკო
მუშაობს-თუო და არა სცალია.

ნიკო დაბალი, გულიანი ხმით ლაპარაკობდა და
თვალებში სევდა უგუბდებოდა. ქალი თან უსმე-
ნდა, თან სახეზე მეოცნებე ღიმილი უკრთოდა.

— მართლა ასეთი იქნებოდი? — თქვა ბოლოს.

— აბა, როგორ? ანტენის შესაერთებელი მოძ-
ენბა. საოჯახო გრაფიკასაც კი შევადგენდი, რომ
ზედმეტად არ შემეწუხებინე. ისე, ხანდახან სანა-
დიროდაც წავიყვანდი.

— სანადიროდ? — ნელიმ აღტაცებისგან წამოი-
კვლა, — რა კარგი გამახსენე?! თოფის სროლაც
უნდა ვისწავლო, ეგლა მაკლია.

კაცმა სადენები გაჰიმა, ეკრანს ხელი გადაუსვა
და ჩამრთველი შეაერთა. — აი, მაშინ კი ნამდვი-
ლად, ახალი ქალობრიობის წარმომადგენელი იქ-
ნებოდი... ამაზონკა მოხარულ ჭინებში...

— ეჰ, — დაიბნეა ნელი, — მოხარული ამა-
ზონკა, ბებერი ამაზონკა! რალა დროს ჩემი გარ-
თობაა, ქრისტეს ასაკს მივალწიე. ახლა სადმე დე-
დათა მონასტერში უნდა ვეყოფილიყ და იღუმენიას
აღსარებას ვაბარებდე... დროებითია, დროებითია
ეს ჩემი აღტაცება. — ნელის ისეთი სასოწარკვე-
თილება გამოეხატა სახეზე, რომ ნიკომ ტელევი-
ზორი მიატოვა და ალურსიანად მოხვია მხრებზე ხე-
ლი.

— შენ და ასეთი სენტიმენტალობა?
ქალმა თავი ჩალუნა.

— მომწყინდა უიმედო, უმოძველო ოპტიმიზმი,
— ხელისხურვით ამოიწმინდა თვალები.

— შენც ხომ იცი, რომ ცოლად არ გამოვდგები,
არა? გოგონა ხომ აღარა ვარ, თავიდან დავიწყო
ცხოვრება, შეიღები გავაჩინო, ოჯახში ვიცქრილო,
სიხარულის უნარი დავკარგე, გესმის?

— კარგი, კარგი, ბავშვივით დაუყვავა ნიკომ—
ნუ ართულებ ყველაფერს. აი, წავიყვან ხეალ სანა-
დიროდ და ხალისიც დაგიბრუნდება. ჰა, წავიდეთ?
ნელიმ ცრემლით გაბრწყინებული, კამკამა თვა-
ლებით ახედა:

— არ მატყუებ?

— არა! — კვლავ ღიმილით დაუყვავა ნიკომ და
ჰაერში მკლავშემართული შეხტა. — მაშ, წავედით?!

... დილით აღრიხანად გავიდნენ ქალაქიდან, ორივე წინის ჩახუთულ შარვალსა და ყელიან ჯემპრში იყენენ გამოწყობილი. ეგონათ, შემოდგომის მზეს ძალა დაკარგული ექნება, მაგრამ დილაღამე სიცხე დაიჭრა. ჭკობაშეპარულ ჩირგვებსა და თხილნარებში თრიმლის ფოთლები სისხლისფრად ლივილებდნენ.

„ზაპოროვეცი“ წავიდნენ სანადიროდ. ნიკოსთვის უკვე ნაცნობი იყო გზაც, სანადირო ადგილებიც და ამიტომ უშინად, თავისუფლად მიჰყავდა მანქანა. გზაში სულ ხუმრობდა და იცინოდა. ნელიც ილიმებოდა, მაგრამ უფუნებობა ისე მიეძალო, სახე დაუგრძობდა და ჯემპრის საყელოზე პატარა ღაბაბი ჩამოეზარდა.

ნიკომ მთავარი გზიდან გადაუხვია. ქარსაცავი ხოლების იქით, ჭანჭანით შემოსილი, შეყვითლებული ფერდობი გამოჩნდა. ქვემოთ, სამიზნესავით მიხვეულ-მოხვეული მდინარე გაიკლანა. მანქანას თანდათან გაუჭირდა აღმართზე სიარული, ვაჩჩარა და კარი გააღო. ნელიმაც ისეუბრა, ჯემპრის საყელო ამოიწია და ჰაერი ხარბად შეისუნთქა. ნიკომ თოფი მხარზე გადაიკიდა. პატრონტაქე შემოირტყა და ბრუნდნის ჩანთა ქალს მიაწოდა.

ის ახლა წინ მიდიოდა და გზას უკაფავდა, ნელი ფხვდაფხვდა მისდევდა, ხანდახან დაიხრებოდა და შარვლის ტოტებზე წამოვარდნულ ეკალს იცლიდა. ნიკო ამ დროს ჩერდებოდა, უცდიდა და თან ქვემოთ ვადაშლივ, შემოდგომის ფერებით აღვარებულ ველს ჩაჰყურებდა. მზეს ძალა ემატებოდა და ცის სილურჯეც კამკამა ნათელში იბლანდებოდა.

სიარული თანდათან გაიოლდა. ფერდობი უფეროდ ჩადაბლდა. მოულოდნელად, გახშირებულ ჯაგებში, პატარა, ხისკარიანი ეკლესია და ციხე-გალავნის ნანგრევები ამოტივტივდა. ნელი არ მოელოდა, შეტუნებთ უკან ჭაიხია და ბაგზე ხელი აიფარა. ნიკომ გაიცინა.

— სწორედ ამიტომ წამოგიყვანე. ამ ადგილებში უწინ დედათა მონასტერი ყოფილა. ჰა, ხომ გინდოდა მონაზვნად აღკვეცა?..

ნელიმ მაღლივრებით შეხვდა. პატარა გოგოსავით გაცულქებული, ეკლესიისკენ გაიქცა. ნიკოც მიჰყვა. შიგნით გრილოდა. კედლებიდან ნოტიო მიწის სუნე უბერავდა. კვამლით შეჭვარტლულ ნიშთან დანთებული სანთლის კვალი მოჩანდა. ქალმა თითქმის გადაუსვა. ნიკომ ამასობაში გულდაგულ დაათვალიერა ეკლესია. დაქინებით აცქერდებოდა კედლებს, ზედ ხელებს აფათურებდა. ერთ კუთხეში რაღაცას წამოკრა ფეხი. ვერ ვაარკვია, რა უნდა ყოფილიყო. დაიხარა, ის „რაღაცა“ ხელში აიღო და უცებ სიცილი წასკდა.

— მოდი, აქა, — დაუძახა ნელის. — შეხედე, ნაჭერკუქინა!

ნელი მივიდა და ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა. მართლაც ტიკინა იყო. ჩვილი ბავშვისოდენა იქნებოდა, ნახშირით მოხატული ცხვირპირი ძლივს ეტყობოდა, აქეთ-იქიდან ფერადი ნაჭრებისგან დაწული კიკინები უკანწილდებოდა. ნიკომ რამდენჯერმე გადააბრუნ-ვადმოაბრუნა.

— მოიცა! — წამოიძახა უცებ სიხარულით. — ამაზე უკეთეს სამიზნეს ვერც მოგიფიქრებდი... წამოდე, თოფის სროლას გასწავლო.

ჩუჩქლას აქეთ-იქიდან ხელები ჩაჰკიდეს და გარეთ გამოიტანეს, ეკლესიის ეზოში მღვარი ბებერი აკაციის ტოტზე ნაწნავებით ჩამოკიდეს და ორი-სამი ნაბიჯით უკან დაიხიეს.

— კარგია! — კმაყოფილებით თქვა ნიკომ, თოფი გადმოიღო და ვაზნები ჩაალაგა. — მოდი აქა!

ნელი მივიდა და თოფის ბუდეს დააკვირა. — მე არ ჩამადებდნენ?

— ეგ მერე, ჯერ დამიხეხა ისწავლე... აბა, გახედე! თვალი გააყოლე ლულას... მოიცა, ნუ ჩქარობ... აი, ასე, ესეც სასწლეტი. დინჯად, დინჯად.

ნელის მღელვარებისგან ხელები აუკანკალდა. ჩახმანს თითი ძლივს ამოსდო.

— ყოჩაღ! ყოჩაღ! — ნიკო წაქვებდით მხარს ზე-

მოდან გადაჰყურებდა. თოფის ლულა ჩუჩქლასთვის სახეში დაამიზნებინა, მერე მუქაში მოიქცია მისი მართოლვარე ხელი და სასწლეტს თითი გამოაკრევიანა. თოფის გრილმა გადაურბინა ეკლესიის ეზოს, ჩუჩქლა შექანდა და ჭრილობასავით ორი ფართო ნახვრეტიდან ფქვილივით ნახვრები ჩამოიღვარა. ნელის ხელში ეჭირა ბოლადენილი თოფი და თვალები უბრწყინავდა.

— გაგიხმა ხელი და ქალობა, აბა. დაგიმიწდა მარჯვენა და დაგისამარდა, შე, გულმკედარო, შენა. რას გიშავებდა, ჰა, რას ერჩოდი? — ბებრული, შეგბნელი წყევლა თითქოს ზეციდან მოისმა. ნიკოც და ნელიც მკვიანა, დაზავებული ხმის გაგონებაზე დაიბნენ. უცებ, საიდანღაც, უფრო სწორად, ეკლესიის უკანა ეზოდან დაქრუტული, ჩია ტანის დედაბერი გამოქანდა მუშტების ქნევით. თავზე ბაწრის შავი თავშალი ჩალმასავით ეხვია. ფეხშიშველი ისე ყოჩაღად, ალქაჯივით მოჰქროდა, რომ ორივეს მოეჩვენა, ფეხისგულებიდან ნაპერწკლებს ჰყრისო. გაკაპასებული დედაბერი მამინევე ჩუჩქლას მივარდა, ტოტიდან ჩამოგლოჯა და მკერდზე ჩვილივით მიიხუტა:

— აჰავ, დედავ, დედაშვილობასა, ჩემო წმინდანო და მფარველო. ეს რა გიყვეს ამ ძუძუძილემა, როგორ დაგკოდეს და დაგიწყულეს — გული. სნება და არგახარება შენს დამაწყევლარს, ქირი და ლენცოფა, ვინც შენ დაგასახინრა და სიკვდილი დაგიბირა! იგავიხმა თავი, შე, ქალაბიჭავ, შენა, შე ბიჭაქუავ, შენა! — ნელისკენ წამოწაწადა გააფთრებული დედაბერი. — რას გიშავებდა, ჰა? რას გიშავებდა ერთადერთი სალოცავი ჩვენი საკურთხევლისა და ზედამის! ეს თუ ქალია და ჰკვაცანცარა, — მიუბრუნდა ახლა გახვედნულ ნიკოს, — შენ ხომ კაცი ხარ. მამამერთი გაგიწყრა, რაზე დამილუქე და გამიწბილე ჩემი წმინდანი დედა, ჩემი წმინდა ნინო. აი, ამ ადგილას დაადგა ფეხი პირველად, აი, აქა! — ფეხი დაარტყა ზედიზედ მიწას, — ჩვენმა დიდუფალმა, ჩვენმა სახელოვანმა ქალბატონმა. — დედაბერმა თანდათან დაუწია ხმას, ჩაუხრინწიანდა, ეტყობოდა, რისხვა უცხრებოდა, ბოლოს, სულაც გაუქრა წყევლის ხალისი. ტიკინა იქვე, ლოდზე, სათუთად მისხვენა და გვერდით მიუჯდა.

— კარგი სიგარეტი არა გაქვს? — შინაურჯოაო მიმართა ნიკოს და კაბის კალთაზე ხელი დაირტყა. — ქალაქელებს კი რამეები ჩამოგაქვთ ხოლმე. ამ კვირას ჩემს შვილიშვილს კაბა ვუყიდვ, ექსკურსანტები იყვნენ, ორი ბიჭი, ორი გოგო.

დედაბერმა ლაქლაქი შეწყვიტა, კაბის უბეში ხელი შეიყო, პატარა კოლოფი გამოიღო, ერთი მწიკვი ბურნუთი მობლუჯა. ცხვირში შეიყარა და გულიანად დააცხიკინა, მერე დამუნჯებულ სტუმრებს დაექვებით გადახედა და ნაწყენივით იკითხა:

— რა იყო, ჰა, ვანა გულითა გწყევლიდით, რო... ღმერთსაც თუ თავი არ მოუქონე, რა იცი, რა ხდება? ჩემი მამაპაპა ეკლესიის მრევლი ყოფილა. მეც ერთგულად ვემსახურებდი. მაშ, რა ვქნა? აგე, გორაკს გადმა, სახლის სახურავი რომ მოჩანს, ჩემი სამოსახლოა. მარტო ვცხოვრობ, შვილები სხვა უბანში დასახლდნენ.

ნიკომ კისერი წაიგრძელა, მაგრამ ვერც სახლი დაინახა, ვერც სახურავი, ნელი ხომ საერთოდ გაშტერებული იდგა. დედაბრის წყევლისგან მოჯადოებულს ჰგავდა, თითქოს ენა ჩაუვარდა. ნიკომ მხრებზე ხელი მოხვია და შეანჯღრია, ქალი ძლივს გამოერკვა, გაგონებული თვალები შეანათა, აცახცახდა და შეშლილივით მარჯვენა ხელს დააშტერდა. დედაბერი ამასობაში კომბოსტოსავით იფქვენებოდა. შეიღფენად ჩაცმული ქვედა კაბის ბოლოებს იკვცავდა და დიდ-დიდ ჯიბეებში ხელს აფათურებდა. ბოლოს, უკანასკნელ ჯიბეში მიაგნო, რასაც ეძებდა, რამდენიმე ცალი სანთლის ღერი ამოიღო და ნელის გაუწოდა:

— აი, შვილო, იაფად მოგყიდი! ..სალიარკაში მოხელილი ძაღლის ქონისგან კი არ არის გაკეთებული, სუფთა თაფლის სანთელია, მისისისა... რომ

ანთებ, სუნით დაითვრები, ვანა კუბარში არეული ცვილივით იჭვარტლება? ისეთი კამკამა სუფთა ალი აქვს, შიგ გაძრომა მოგინდება... ჰა, ჰყიდულობ? იაფად მოგცემ. აბა, რა ვქნა? ეს არცაქვს შენთვის... ნელის, ეტყობოდა, დედაბრის-ლაპარაკე ექსკურსანტებთან მოდა. გაფშევილი თითები სახესთან მიქცნა და გონებადაფანტული ათვალეიერებდა.


— ნელი! — ნიკომ ფრთხილად შეანჯღრია, — გესმის, ნელი? თუ გინდა, ვიყიდოთ სანთელი და ავანთოთ. ჰა, გინდა?

ქალმა კისერი მოღრცა და მხერა თითებიდან კაცზე გადაიტანა, უცებ მის მხარზე გადაკიდებულ თოფს ისე დააჩერდა, თითქოს პირველად დაინახათ. თვალები ელამივით გადაატრიალა.

— არ მომეკარო! — დაიწვილა კანკალით. — შენი ბრალია, ყველაფერი შენი ბრალია. ხელი მიხმება, შეხე, ხელი, — ყვიროდა და თან უკან-უკან იხვედა. ნიკო მიხვდა, ქალი თავის თავს აღარ ეკუთვნოდა. დასამწვიდებლად ვერაფერი მოახერხა, მხარში მტკივნეულად ჩაავლო ხელი და ზედიზედ სახეში გაარტყა. ქალმა ჯერ წამოიკვლა, მერე ამოიზღუქუნა და სახეზე ხელებფარებული მიწაზე დაეშვა. შეშინებულმა დედაბერმა ვიწვივით მიიღო ბაგეზე თითები, სანთლები ჩაბლუჯა, პირჯვარი გადაიწერა და ეკლესიის კარებისკენ წახუსუსდა: — დიდება შენდა, ღმერთო! — მიბუტბუტებდა გახვლებული — გიყვები არიან, ჰა, მაშ, რა არი, შენი ჭირივე. გიყვები!..

მოლოცვლივით მუხლებზე წამოჩოქილი ნელი წყნარად, ჩუმად ტიროდა. თოფზე დაყრდნობილი ნიკო თვალებით მიაცილებდა დედათა მონასტრისკენ მიმავალ, ტიკინამოჩრილ დედაბერს.





არავითარი ბრჭყვიანობა და ზიზილობილობები არ მიიქცევს აქ თქვენს ყურადღებას, მხოლოდ სურათები, აფიშები, კუთხეში მიდგმული როიალი და სათუთად შეფუთული ვიოლინო და კიდევ უამრავი ქებისა და მადლობის ბარათი, ჩვენი თუ საზღვარგარეთის პრესის რეცენზიები... აი, მთელი ის სიმდიდრე, რაც ასე გვხიბლავს და წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს ჩვენზე.

აქ, სწორედ ამ მყუდრო ბინაში, გაატარა ბავშვობის წლები, აქ იზრდებოდა და შემოქმედებითად იფურჩქნებოდა დღეს უკვე საქვეყნოდ ცნობილი მუსიკოსი და მევიოლინე ლიანა ისაკაძე.

— ამ ოთახს ლიანა თავის მუზეუმსაც ეძახის, — ღიმილით გვეუბნება ლიანას დედა, ქალბატონი გალინა და სათითაოდ გვაცნობს „მუზეუმის“ ამ მართლაც საინტერესო „ექსპონატებს“. ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოგვითხრობს ყოველ მათგანზე.

— მაინც საიდან მოდის მუსიკის ეს ფუნატიკური სიყვარული? — ვეკითხები ქალბატონ გალინას.

— ალბათ, მშობლებისგან. ჩვენ, არაპროფესიონალ მომღერლებს, თავდავიწყებით გვიყვარდა მუსიკა. ზეპირად ვიცოდი სხვადასხვა არიება და მთელი დღეები ვლილინებდი ჩემთვის. და აი, ჩემს გაცნობას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ძუძუს საწოლებზე გამხადებულ ბავშვის ბაგეს როზინას არიის ბგერები მოწყდა. ის მაშინ მხოლოდ ათი თვისა იყო... კიდევ იცით რა, ეტყობა ძმამ, ელდარ ისაკაძემაც იქონია დიდი გავლენა ლიანას მუსიკალური ნიჭის გამოვლენაში. ორი წლის ბავშვს შეეძლო, საათობით მჯდარიყო გარინდული როიალის ქვეშ, ელდარის ფეხებთან და ესმინა მუსიკა. შემდეგ კი ფეხის წვერებზე შემდგარი, თავისი ნამცეცა თითებით ცდილობდა, მიეხამა ძმისთვის.

...ოთხი წლისას უკვე ჰქონია ბახის თემაზე შექმნილი საკუთარი ნაწარმოები.

— არ ვიცოდი, როგორ მოგქცეოდი ამ უცნაურ პატარა მუსიკოსს, — განაგრძობს ქალბატონი გალინა, — და რჩევისათვის მუსიკალური ათწლეულის მაშინდელ პედაგოგებთან გივი სვანიძესთან და ბიჭიკო ბარნაბიშვილთან მივიყვანე. მათ გულდასმით მოუსმინეს ოთხი წლის ლიანას და მირჩიეს, ხელი არ შეგვეშალა მისი ბუნებრივი ნიჭის გამოვლენისათვის და მხოლოდ შვიდი წლისა მიგვეყვანა აუცილებლად ვიოლინოზე, რადგანაც მათი აზრით, მის მუსიკალურ მონაცემებს ფორტეპიანო ვერ დააკმაყოფილებდა.

შემდეგ მუსიკალური ათწლედი, პროფესორ ლეო შიუკაშვილის კლასი, პირველი კონცერტები და პირველი წარმატებები...

შვიდი წლისა პირველად გამოსულა მსმენელის წინაშე კონცერტით. მის მიერ შესრულებულ ზაქარია ფალიაშვილის „რაჭულ სახუმაროს“, როგორც ქალბატონი გალინა იგონებს, მთელი დარბაზი აუტირებია. კიდევ რვა თვე და ოპერაში მიუღია მონაწილეობა უნგრელებთან ერთად.

ამ სურათში კი, დედასთან ერთად რომა გადაღებული, მოსკოვში, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად გამგზავრების წინა მომენტი ალბეკილი. მატარებლის საფეხურზე მდგარი ლიანა სახეგაბრწყინებული ემშვიდობება მამას, ახლობლებს; მაშინ ის მხოლოდ ათი წლისაა. მისი სიფრთხანა კაბის გულისპირს კი უკვე ბაქოში, ამიერკავკასიის მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსის მონაწილის მედალი ამშვენებს.

როცა საქვეყნოდ ცნობილია მევიოლინემ — დავით ოისტრახმა მოუსმინა მას, განცვიფრებული დარჩა და როგორც გამონაკლისს, ნება დართო, მონაწილეობა მიეღო კონკურსში, სადაც პროფესიონალი მუსიკოსები და კონსერვატორიის სტუდენტები გამოდიოდნენ.

შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ჟიურის წევრები ულოცავდნენ ლიანას ხელმძღვანელსა და პირველ მასწავლებელს ლეო შიუკაშვილს თავისი მოწაფის დიდ წარმატებას.

კონცერტის შემდეგ მასთან მისულა ცნობილი მუსიკოსი, იტალიელი დირიჟორი კარლო ცეკი, თითები ფრთხილად შეხებია პატარა მევიოლინეს და ალტაცებულს უთქვამს, — ნუთუ ეს ცოცხალი არსებიაო. მასვე შეუთავაზებია ლიანასთვის ერთობლივი ნაწარმოების მომზადება.

დაც პირველი პრემიის — გრან პრის მფლობელი ხდება. აქ საინტერესოა ერთი მომენტიც. დასაჯილოდებულმა სცენაზე ასული ლიანა როდესაც ამის გამოხატვის სიხარულისგან თავს ვერ შეიკავებს და იქვე ატირდება.

აქედან იწყება მისი ხანგრძლივი საგასტროლო მოგზაურობა პოლონეთში, იაპონიაში, პოლანდიაში, ფინეთში, დასავლეთ გერმანიასა და თითქმის ყველა სოციალისტურ ქვეყანაში...

ფინეთში, სიბელიუსის სახელობის კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ჩასულ ლიანას, სადაც მან I პრემია და სპეციალური პრიზი დაიმსახურა, ფილმსაც უღებენ, ფილმში სიბელიუსის კონცერტს ლიანა ისაკაძე უყრავს.

მოსკოვის ფილარმონიის სოლისტი, ამავე დროს, საქართველოს დამსახურებული კამერული ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მხატვრული დირიჟორია.

მუსიკის ფენომენალური ნიჭი, თავდაუზოგავი შრომა და ძლიერი ნებისყოფა, აი, ის სამი ძირითადი კომპონენტი, რომელთა ურთიერთკავშირმა აზიარა ქართველი

ეუსიკალური ეპონისი საქრსულოსან

ასევე ალტაცება ვერ დაუფარავს თერთმეტი წლის ლიანა ისაკაძის საშემსრულებლო ხელოვნებით მოხიბლულ ამერიკელ მუსიკოსს, ჩაიკოვსკის სახელობის კონკურსის პირველი პრემიის ლაურეატს ვან კლიბერნს და მასთან ერთად სამახსოვრო სურათი გადაუღია.

აი, რა უთქვამს იმხანად ერთ მცოვან ადამიანს ლიანას დედისთვის: — თქვენი შვილის უბადლო საშემსრულებლო ხელოვნებამ ისე მოგვხიბლა და დაგვიპყრო, ნაცნობები ერთმანეთის შეხვედრისას გამარჯვებისა და მოკითხვის მაგივრად იმას ვეუბნებით, ლიანა ისაკაძეს თუ მოუსმინეო.

თოთხმეტი წლისა მონაწილეობას ღებულობს საბჭოთა კავშირის მუსიკოს შემსრულებელთა II კონკურსში, სადაც კონკურსის ლაურეატობა და II პრემია მოიპოვია.

მეათე კლასის მოსწავლეს მოსკოვში იწვევენ კონსერვატორიაში სწავლის გასაგრძელებლად. იგი უგამოცდოდ ჩარიცხეს პირველ კურსზე.

მეორე კურსის სტუდენტი პარიზში მიემგზავრება მარგარიტა ლონგისა და ჟაკ ტიბოს სახელობის საერთაშორისო კონკურსზე მონაწილეობის მისაღებად, სა-

მევიოლინე წარმატების ზენიტს.

„ოისტრახის მიერ გაკაფულ გზაზე ლიანა ისაკაძე მოაბიჯებს“, „მუსიკალური მაგნიტი თბილისიდან“, „მსოფლიო კლასის მევიოლინე“ — ასეა დასათაურებული საზღვარგარეთის პრესაში დაბეჭდილი ზოგიერთი რეცენზია, რომელიც ლიანა ისაკაძის მაღალ საშემსრულებლო ოსტატობაზე მოგვითხრობს.

ქეშმარიტი ხელოვნება ყოველთვის ზეიმობს თავის გამარჯვებას. გასულ წელს ლიანა ისაკაძეს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა.


ეს კი ხელოვანის უდიდესი აღიარებაა. სიმბოლურია ისიც, რომ ლიანა ახალი წლის დადგომას ყოველთვის თავისი განუყრელი ვიოლინოს ჰანგებით ვეგებდა. ამ ჰანგებით ლოცავს ის მთელ ჩვენს ხალხს, მთელ საქართველოს:

— მსურს, რომ ქვეყნად მშვიდობა სუფევდეს, მინდა, რომ ჩემი ხალხი მუდამ ბედნიერი და გამარჯვებული იყოს. მინდა, ისეთი სიტკბო და სიხარული დაგებდეთ, როგორსაც მე მუსიკა მანიჭებს, როგორსაც ახალი წლის დადგომისას განვიციდი!

ღე ასეც იყოს!

ნუნუ კუპრაიშვილი

ქროსკორდი



თარაზულად: 4. ვენციური ნავი; 5. ქვეუნი ნაწილი; 6. ღრუების გამოყოფი თხელი ქსოვილი; 8. ქართული კომპოზიტორი; 9. ქართული ზუროთ-მოძღვრების ძეგლი; 11. რისამე ნაწილების ერთმანეთზე გადასაბმელი ჩხირი, ჭანჭიკი; 18. საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის მოღვაწე ქალი; 15. შუაკაცი მოდავე მხარეთა შორის; 17. მოძრაობა კლასიკურ საბალეტო ცეკვაში; 18. რთული თანხმოვანი; 20. სპორტსმენისათვის შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლების ჩამორთმევა. 22. მუშაობის ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის რიგებში ყოფნის ხანგრძლივობა; 25. პატარა ფიცრული სავაჭრო, კიოსკი; 27. დიპლომატიური წარმომადგენელი; 29. საფრანგეთის ქალაქი; 30. სპორტული კლუბი; 31. მდინარე ლენტეხის რაიონში; 32. ვერტიკალურად დადებული ძელი; 33. აფრიკის სახელმწიფო; 34. განცხადება.

შვეულად: 1. ჩაცმა-დახურვის, ყოფა-ცხოვრებისა და სხვა გარეგნული ფორმების მოკლე ხნით გაბატონებული გემოვნება; 2. თაფლში მოხარშული წვრილად დაჭრილი ნივთი, ნუში ან თხილი; 3. ქვაზე მხატვრული ჭრის ხელოვნება; 5. სოფელი ბოლნისის რაიონში; 7. სამხედრო სასწავლებლის მოსწავლე ძველად; 9. რისამე მეორეხარისხოვანი ელემენტების სახეცვლილება; 10. გამოუწვავი აგური; 11. დასრულებული აჭრის მქონე სიტყვათა წყობა; 12. სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში; 14. რუსი საბჭოთა მწერალი; 16. სახელდახელოდ ნაგები შენობა; 19. ფერწერულ ნაწარმოებთა საცავი ძველ საბერძნეთში; 21. სპორტული ნავი; 22. საქონლის საკვები; 23. მცირე ზომის პოეტური ნაწარმოები; 24. აღმოსავლური საკრავი; 26. აჭარის სოფელი; 28. მსოფლიო XXIV ოლიმპიური თამაშების დედაქალაქი.

კროსკორდი შეადგინა გიორგი ჭურღოვანიძემ

მე-12 ნომერში გამომქვეყნებული კროსკორდის პასუხები:

თარაზულად. 1. მონოგრაფია; 5. „ნავარა“; 6. „ფატიმა“; 8. მანტია; 10. კამარა; 12. კურანტი; 15. იმპერია; 16. ფირნიში; 17. ტერმინი; 19. კორსიკა; 24. ტრამალი; 26. კრმაწილი; 28. ობიექტი; 30. არნადი; 31. „ილიადა“; 32. იმპერიალი.

შვეულად: 1. მავრი; 2. ორატორი; 3. რეფერენი; 4. არიკა; 5. ნონა; 7. ალაო; 8. მინიატურა; 9. აკრი; 10. კილი; 11. აპლიკაცია; 13. სეიმი; 14. ანისი; 18. ნატი; 20. ოფიო; 21. ბადრიძე; 22. საწმისი; 23. ზმნა; 25. დიბა; 27. ზონდი; 29. პლაცი.

გარეკანის პირველ გვერდზე: საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი გივი ბერიკაშვილი. ფოტო იური რიდალოვისა.
მეორე გვერდზე: გულაურის მთებში. ფოტო მალხაზ დათიკაშვილისა



ათი წლის ლიანა მიემგზავრება მოსკოვში საგასტროლოდ.




პირველი მასწავლებელი ლეო შიუკაშვილი (მარცხნივ) და იტალიელი დირიჟორი კარლო ცეკი (მარჯვნივ) — პატარა ლიანასთან.

გადაეცა წარმოებას 17. 11. 88. ხელმოწერილია დასაბუქდალ 27. 12. 88. უფ 01609. ქალაქის ზომა 70x108/8. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 4, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 5,6, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,69. ტირაჟი 50 000. შეკვეთა 2928. ფასი 35 კაპ.

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კვ ცვ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.
Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი:
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებათა გამგეების — 98-28-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.
რედაქციაში შემოსული გასალა აპროს არ უბრუნდება.



ლიანა ისაკაძე



გუდაური



ეროვნული
ზღაპრითა

ფოტო მალბაზ დათიკაშვილისა

